

უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი კანონმდებლობა



Journal DOI: <https://doi.org/10.52340/bal>

N1. 2026



N1. 2026

www.ojs.b-k.ge

ISSN
2960-9801
(online)

Business & Law

ბიზნესი კანონმდებლობა



საერთაშორისო სამეცნიერო- ანალიტიკური ჟურნალი

ინდექსირებულია საერთაშორისო
საძიებო ბაზებში, მათ შორის:
ERIH PLUS და **Google Scholar**

რეცენზირებადი და
რეფერირებადი 2008 წლიდან



ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი
პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი
შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას.
შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა
სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

Business & Law



INTERNATIONAL SCIENTIFIC- ANALYTICAL JOURNAL

Indexed in the International
Search Systems, including:
ERIH PLUS and **Google Scholar**

Recensented and
Referenced since 2008



The Journal is governed by free press principles.
The editorial board point of view may not necessar-
ily agree with the point of view expressed by the
authors. Therefore the Editorial Board does not
pledge any responsibility on the content of the
articles submitted by the Authors.

გამომხეველი

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსური მენეჯერთა ფედერაცია

ორგანიზაციულ-აღმინისტრაციული საბჭო

ზაურ ნაჭყებია, იური პაპასქუა, დავით ჯალაღონია, ირმა დიხამინჯია, ილონა ადამია

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

აბულაძე კოტე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **ბედიანაშვილი გივი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ბოლქვაძე ბესიკ** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **გრიგალაშვილი ლევანი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **დიხამინჯია ირმა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ელიავა ლია** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **თაკალანძე ლარისა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **კაკაშვილი ნატო** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **კვარაცხელია დემნა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **კვამილავა კახა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ლიპარტია ზურაბ** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **მამუკა თავხელიძე** - გრიგოლ რობაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **მეჭვადიშვილი ელგუჯა** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **პაპასქუა ვლადიმერ** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **პავლიაშვილი სოლომონ** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **პაპასქუა იური** - მთავარი რედაქტორი, საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **სილაგაძე ავთანდილ** - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **საბაური ლევანი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ფუტყარაძე სულიკო** - წმინდა ტბელაბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო; **ღავთაძე გიორგი** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **შონია ნანა** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჩიხლაძე ნიკოლოზ** - ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო; **ცინარიძე რამინ** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჭითანავა ნოდარ** - საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო; **ჭიჭინაძე ბორის** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ხომერიკი თემურ** - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისია, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო; **ჯალაღონია დავით** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; **ჯიბუტი მიხეილ** - თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, საქართველო.

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის უსსოელი წევრები

გრიგორი ლილია - მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, მოლდოვეთი; **დიომედა ფედერიკო** - ევროპის ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ბრიუსელი, ბელგია; **დნესი ვ. ანტონი** - ნორტცენტრალის უნივერსიტეტი, არიზონა, აშშ; **იარვერსი რობინ** - ინგლისისა და უელსის ნაფიცი ბუღალტერთა ასოციაცია, დიდი ბრიტანეთი; **კარმანსკა ანნა** - ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლა, პოლონეთი; **მაკვი ვ. რობერტ** - აშშ ფაეტევილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ; **რიაშენკო ვიქტორია**, გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ISMA), ეკონომიკის დოქტორი, პროფ., ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერტი, ლატვია; **ნოვრუხოვი ვაჰიდ ტაჰდიგი** - აზერბაიჯანის რესპუბლიკის აუდიტორთა პალატა, აზერბაიჯანი, **ჯონსონი რ. ვინსეტ** - სანტ-მარის უნივერსიტეტი, სანტ-ანტონიო, ტეხასი, აშშ.

PUBLISHER

The Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Georgia

ORGANIZATIONAL-ADMINISTRATIVE COUNCIL

Zaur Nachkibia, Yuri Papasqua, Davit Jalaghonia, Irma Dikhaminjia, Ilona Adamia

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

Bedianashvili Givi - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Bolkvadze Besik**, Shota Rustaveli State University of Batumi, Georgia; **Grigalashvili levani** - Technical University of Georgia, Georgia; **Dikhaminjia Irma** - Sukhumi State University, Georgia; **Eliava Lia** - National University of Georgia, Georgia; **Takalandze Larisa** - Sukhumi State University, Georgia; **Kakashvili Nato** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Kvaratskhelia Demna** - Technical University of Georgia, Georgia; **Kvashilava Kakha** - Sukhumi State University, Georgia; **Kldiasvili Panteleimon** - Kutaisi University, Georgia; **Lipartia Zurab** - Sukhumi State University, Georgia; **Tavkhelidze Mamuka** - Grigol Robadzidze University, Georgia; **Mekvabishvili Elguja** - Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Papava Vladimir** - National Academy of Sciences of Georgia, Iv. Javakhishvili Tbilisi State University; **Solomon PavliaSvili** - National Academy of Sciences of Georgia, Technical University of Georgia; **Iuri Papasqua** - Editor-in-Chief, Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Sakartelo, Sukhumi State University, Georgia; **Silagadze Avtandil** - National Academy of Sciences of Georgia, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Putkaradze Suliko** - St. Tbel Abuseridze University of Education, Georgia; **Ghvtadze Giorgi** - National University of Georgia, Georgia; **Shonia Nana** - Akaki Tsereteli State University, Georgia; **Chikviladze Mikheil** – Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia; **Chikhladze Nikoloz** - Kutaisi University, Georgia; **Tsinaridze Rammin** - Batumi Shota Rustaveli State University, Georgia; **Chitanava Nodar** - Georgian Academy of Agriculture, Technical University of Georgia, Georgia; **Chichinadze Boris** - Akaki Tsereteli State University, Georgia; **Khomeriki Temur** - Energy and Water Supply Commission of Georgia, National University of Georgia, Georgia; **Jalaghonia Davit** - Sokhumi State University; **Djibouti Mikheil** - Chairman, National Academy of Sciences of Georgia, Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia.

FOREIGN MEMBERS OF THE SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

Grigoroï Lilia - Moldovan Academy of Economic Sciences, Moldova; **Diomeda Federico** - European Federation of Accountants and Auditors, Brussels, Belgium; **Dnesi V. Anthony** - Northcentral University, Arizona, USA; **Yarvers Robin** - Association of Chartered Accountants of England and Wales, Great Britain; **Karmanska Anna** -Warsaw School of Commerce, Poland; **Mcgee v. Robert** - USA Fayetteville State University, USA; **Riashchenko Viktoriia**, University of Applied Sciences (ISMA), Doctor of Economics, Prof., Expert of the Latvian Academy of Sciences, Latvia. **Novrupjv Vahid Tapdig** - Chamber of Auditors of the Republic of Azerbaijan, Azerbaijan; **Johnson R. Vincent** - Sainte-Marie University, USA.

შინაარსი CONTENT

ნოდარ ჭითანავა მიწის რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება – ეკონომიკის მდგრადი განვითარების მთავარი ფაქტორი -----	7
Nodar Chitanava EFFECTIVE USE OF LAND RESOURCE POTENTIAL – A KEY FACTOR IN SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT -----	7
Givi Bedianashvili, Zviad Gabroshvili GLOBAL SUPPLY CHAIN DISRUPTIONS UNDER GEOECONOMIC FRAGMENTATION: A FIGARO-BASED MACROECONOMIC NETWORK ANALYSIS -----	35
გივი ბედიაშვილი, ზვიად გაბროშვილი გლობალური მიწოდების ჯაჭვების რღვევაები გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში: FIGARO-ზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური ქსელური ანალიზი —	35
ცირა ბართია, იური პაპასკუა აგროსამრეწველო პროდუქციის ხარისხის შეფასების სისტემების ეფექტიანობა: საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოს გამოწვევები -----	45
Iuri Papaskua, Tsira Bartia EFFICIENCY OF AGRO-INDUSTRIAL PRODUCT QUALITY ASSESSMENT SYSTEMS: INTERNATIONAL PRACTICES AND CHALLENGES FOR GEORGIA -----	45
ზურაბ ლომსაძე, გოჩა თუთბერიძე, გოჩა უგულავა, ნოდარ ჭითანავა სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების ახალი პარადიგმა (საქართველოს მაგალითზე) -----	53
Zurab Lomsadze, Gocha Tutberidze, Gocha Ugulava, Nodar Chitanava A NEW PARADIGM OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF RURAL AREAS (BY THE EXAMPLE OF GEORGIA) -----	53
ბესარიონ ნაკოფია ფირმის ბრძანებითი ინვესტიციებისა და ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომა -----	66
Besarion Nakopia METHODOLOGICAL APPROACHES TO THE EVALUATION OF A FIRM’S LONG-TERM INVESTMENTS AND CASH FLOWS -----	66
ლარისა დოლიკაშვილი, ლარისა თაკალანძე ტურიზტული აქტივობების გავლენა ეკონომიკურ კავშირებსა და ნდობის შენიშვნაზე შეჩერებულ კონფლიქტებში: აფხაზეთის მაგალითი -----	74
Larisa Dolikashvili, Larisa Takalandze THE IMPACT OF TOURISM ACTIVITIES ON ECONOMIC RELATIONS AND TRUST-BUILDING IN FROZEN CONFLICTS: THE CASE OF ABKHAZIA -----	74

იური პაპასკუა, დავით ჯოგლიძე
ბულალტრული აღრიცხვის სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია და სასაქონლო-
მატერიალური მარაგების კონტროლის გამომწვევები საქართველოში ----- 87

Iuri Papaskua, David Joglidze
DIGITAL TRANSFORMATION OF ACCOUNTING SYSTEMS AND
CHALLENGES OF INVENTORY CONTROL IN GEORGIA ----- 87

ნაზი ბარათაშვილი, ია მესხიძე
რისკების მენეჯმენტი კრიზისულ პერიოდში აუდიტის
როლი კომპანიის მედეგობის შენარჩუნებაში ----- 96

Nazi Baratashvili, Ia Meskhidze
MANAGEMENT OF RISKS IN CRISIS PERIOD:
ROLE OF AUDIT MAINTENANCE OF COMPANY'S PERSISTENCE ----- 96

ვიქტორია კოლივანოვა, გიორგი კოხრეიძე
მიგრაციისა და ხელფასების ურთიერთკავშირი
საქართველოში 2011-2026 წლებში: ეკონომეტრიკული ანალიზი ----- 103

Victoria Kolivanova, Giorgi Kokhreidze
THE RELATIONSHIP BETWEEN MIGRATION AND WAGES
IN GEORGIA 2011-2026: AN ECONOMETRIC ANALYSIS ----- 103

გურამ ფუტკარაძე
მცირე მენარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკის
ტრანსფორმაციული ეფექტების ემპირიული შეფასება საქართველოში ----- 112

Guram Futkaradze
EMPIRICAL ASSESSMENT OF THE TRANSFORMATIONAL EFFECTS
OF SMALL ENTREPRENEURSHIP SUPPORT POLICIES IN GEORGIA ----- 112

BEKA SKHIRTLDZE
DIGITAL TRANSFORMATION AND DATA-DRIVEN SOCIAL MEDIA MARKETING
IN TOURISM: DRIVING COMPETITIVE AND SUSTAINABLE DEVELOPMENT IN GEORGIA ----- 117

ბექა სხირტლაძე
ციფრული ტრანსფორმაცია და მონაცემებზე დაფუძნებული
სოციალური მედიის მარკეტინგი ტურიზმში: კონკურენტული
და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ----- 117

საზაფხულო სკოლა 2027 „ევროკავშირი, მშვიდობა და
საქართველო“ ჟან მონეს მოდულის ფარგლებში ----- 126

SUMMER SCHOOL 2027 „EUROPEAN UNION, PEACE AND GEORGIA“ ----- 127

შურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ! ----- 128

ATTENTION JOURNAL READERS AND POTENTIAL AUTHORS! ----- 129

მინის რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება – ეკონომიკის მდგრადი განვითარების მთავარი ფაქტორი

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2026.01.01>

ანოტაცია

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, მრავალ გამონეგვათა შორის, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის, კერძოდ, მინის რესურსების რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებაზე არსებითად დამოკიდებული ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კომპლექსური განვითარების ხელშეწყობი გარემოს შექმნა, საბაზრო ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაცია, საბოლოოდ, მოსახლეობის კეთილდღეობა.

სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ანალიზი ადასტურებს, რომ მინის რესურსების პოტენციალის მართვასთან დაკავშირებული მოვლენები, პროცესები რთულ კვანძებად ჩამოყალიბდა და მათი გადაწყვეტა მოითხოვს სახელმწიფოს, მეცნიერებისა და საზოგადოების მხრივ მიზანმიმართულ ძალისხმევას, ქვეყნის გეოეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას. ამ მიზნით აუცილებელია განისაზღვროს განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომა.

საკვანძო სიტყვები: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, მინის ინვენტარიზაცია, ჰოლისტიკური მიდგომა, მინის ფონდი, სასოფლო ტერიტორია, ადგილობრივი მმართველობა.



ნოდარ ჭითანავა

საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი სტუ-ის ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
<https://orcid.org/0009-0004-5716-0694>
E-mail: chitanavanodar@gmail.com

EFFECTIVE USE OF LAND RESOURCE POTENTIAL – A KEY FACTOR IN SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT

Nodar Chitanava

Academician of the Georgian Academy of Agriculture
Chief Researcher of the I. Zhordania Research Center for Production Forces and Natural Resources of the Georgian State Technical University
<https://orcid.org/0009-0004-5716-0694>
E-mail: chitanavanodar@gmail.com

ABSTRACT

At the current stage of the country's economic development, among many challenges, it essentially depends on the rational and effective use of natural resource potential, in particular, land resources creating an environment conducive to the complex development of the economy and social sphere, optimizing the sectoral structure of the market economy, and ultimately, the well-being of the population.

Analysis of socio-economic transformations confirms that events and processes related to the management of land resource potential have formed complex knots and their solution requires deliberate efforts on the part of the state, science, and society, as well as the effective use of the country's geoeconomic and intellectual potential. For this purpose, it is necessary to define strategic directions of development, conceptual and methodological approaches.

Keywords: natural resource potential, land inventory, holistic approach, land fund.

ძირითადი ტექსტი

სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქვეყანაში უწყვეტად და ზიგზაგისებურად მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების განვითარების დღევანდელ ეტაპზე მთელი სისრულით გამოვლინდა ქვეყნის რესურსული პოტენციალის, განსაკუთრებით მისი **სამი მთავარი სტრატეგიული რესურსის** რაციონალურად და ეფექტიანად, კომპლექსურად და თანმიმდევრულად გამოყენების აუცილებლობა. ესენია: საქართველოს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსები; გეოეკონომიკა, როგორც გლობალურ პრინციპებთან ეროვნული ეკონომიკის ადაპტირებისა და საქართველოს რესურსული პოტენციალის, კერძოდ ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად ათვისების მასტიმულირებელი ფაქტორი, ასევე გადარჩენილი, ანუ მიღვევადი და მასთან ერთად ნელი ტემპებით ფორმირებადი სამეცნიერო პოტენციალის ტრანსფორმაციულ პროცესებში მაქსიმალურად და ეფექტიანად ჩართვა (იგულისხმება, რომ იგი განვითარების ფაქტორია).

ამიტომ საჭიროა სახელმწიფომ (მთავრობამ) შეიმუშავოს ბუნებრივი რესურსების მართვის ისეთი სისტემა (სტრატეგია), რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების, უპირველეს ყოვლისა, მიწის რესურსების, **ქვეყნის მდგრადი განვითარების დაჩქარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად** გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს მიწის, როგორც ინტეგრირებული სისტემის რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას. უფრო კონკრეტულად, მიწის ერთ-ერთი მთავარი ელემენტის, **ნიადაგის**, რომელიც სოციალურ ფუნქციას ასრულებს და სასურსათო უზრუნველყოფის მყარი საფუძველია, მიზნობრივად გამოყენებას. ასევე, **სასარგებლო წიაღისეულის რესურსების** თანამედროვე ტექნოლოგიებით გადამუშავება მრავალდარგოვანი მრეწველობის განვითარების ხელშემწყობ გარემოს ქმნის, **სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის** (ფლორისტული და ფაუნისტური რესურსების) თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოება უზრუნველყოფს კვების, მსუბუქი, ფარმაცევტული მრეწველობის და სხვა დარგების განვითარებას; **რეკრეაციული რესურსების რაციონალური განვითარება** ზრდის ტურიზმის, საკურორტო მეურნეობის განვითარების მასშტაბებს; **გეოეკონომიკური ფაქტორის მიზნობრივად ქვეყნის განვითარების სტრატეგიის** შესაბამისად გამოყენება ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პირობებს ქმნის (საქართველო საერთაშორისო კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეობს); **საცხოვრისი გარემოს გაუმჯობესება** უშუალოდ არის დაკავშირებული ეკოლოგიური და დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტასთან, **ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ობიექტების რაციონალური გაადგილება** (აღნიშნულ ობიექტებზე ფუნქციონირებს სამუშაო ძალა, რომლის აღწარმოებაზეა დამოკიდებული ქვეყნის სანარმოო ძალების წარმატებული განვითარება) ხელს უწყობს შრომის დანაწილების პროცესის გაღრმავებას; **ქვეყნის სასაზღვრო ნაწილის** (სახელმწიფო საზღვარი – ტერიტორია, რომელსაც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსი აქვს) ეფექტიანი გამოყენება უზრუნველყოფს ქვეყნის

თავდაცვით უნარიანობის ამაღლებისა და მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების (რეგიონული და დარგობრივი თავისებურებების) სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებას.

ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის განვითარებაში გამოიკვეთა საშიში ტენდენცია – მიწის რესურსული პოტენციალის მართვასთან დაკავშირებული მოვლენები, **პროცესები რთულ კვანძებად ჩამოყალიბდა**, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს სახელმწიფოს, მეცნიერებისა და საზოგადოების მხრივ მიზანმიმართულ ძალისხმევას, გეოეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის კონცენტრირებულად და თანმიმდევრულად გამოყენებას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი მიწის, როგორც ინტეგრირებული სისტემის (მთელის) და მისი შემადგენელი ნაწილების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენება.

საქართველოს ბუნებრივ-რესურსული, გეოეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი მრავალფეროვნებით, თვისებრივი განზომილებებით გამოირჩევა და ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველო ბუნებრივი და ინტელექტუალური რესურსებით ღარიბი ქვეყანა არ არის.

დრო ითხოვს პასუხს კითხვაზე როგორ ვიყენებთ ბუნებრივ-რესურსებს, მოცემულ შემთხვევაში მიწის რესურსებს?

ბუნებრივი რესურსების (პოტენციალის) გამოყენების, დაცვის და აღწარმოების სფეროში არსებული პრობლემების კვლევაში მაქსიმალურად და ეფექტიანად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე მეცნიერებაში აღიარებული მიდგომები (მეთოდები). ეს ადვილი ამოცანა არ არის, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ მეცნიერების განვითარებაში გარდაქმნების პერიოდში ჩამოყალიბებულ ტენდენციებს. კერძოდ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საზოგადოებრივი აზროვნების კრიმინალიზაციის მასშტაბური პროცესების შედეგები რეალური საფრთხეა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებისათვის, ის პირველ რიგში აფერხებს განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, აღრმავებს უნდობლობას მეცნიერული აზრის მიმართ, სამეცნიერო წრეებში ქმნის ხელის ჩაქნევის განწყობას, ასტიმულირებს ახალგაზრდობის დაუინტერესებლობას სამეცნიერო საქმიანობისადმი.

ყოველივე ეს ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გაღრმავებასა და განვითარებაზე. თუ როგორია ასეთი საშიში ტენდენციების როლი მიწის რესურსების გამოყენებაში ქვემოთ განვიხილავთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტერმინი „მიწა“ მოიცავს არა მხოლოდ მიწის ფართობს, რომლის გამოყენებაც შეიძლება სოფლის მეურნეობაში პროდუქციის (ნედლეულის) წარმოებისათვის, არამედ, ტყეს; წყლის რესურსებს; რეკრეაციულ რესურსებს; წიაღისეულს; განსაზღვრულ გეოგრაფიულ მდებარეობას, საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ სივრცეს (შენობებს).

მიწის მრავალფუნქციური მნიშვნელობისა და როლის

შესახებ სრულ წარმოდგენას გვაძლევს ლიტერატურაში ფიქსირებული შემდეგი მოსაზრება: „მინა არის ყველა ქალაქის, დაბის, სოფლის, სახლის ადგილ-სამყოფელი, იგი არის სურსათის, სამშენებლო მასალებისა და წარმოების, ნახშირის, გაზის, ნავთობის, ნაკადულების, მდინარეების და სხვა საჭირო რესურსების წყარო. იგი არის ადამიანის საქმიანობის საფუძველი. სახლები და ქარხნები, ტყეები და ფერმები, გზები და რკინიგზები, შახტები და წყალსაცავები – ყველა ეს მინაზეა დაფუძნებული. იგი გვთავაზობს უსასრულო შესაძლებლობებს განვითარებისა და აღმოჩენებისათვის, იგი არის სიმდიდრის ერთადერთი წყარო“.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ გავეცნოთ კაცობრიობის განვითარებაში მინის როლის შესახებ მკაფიოდ გამოხატულ მოსაზრებებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოითქვა, მაგრამ შინაარსობრივად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა (აქვს) ამჟამად ქვეყანაში მინის რესურსული პოტენციალის კვლევის პროცესის სწორად წარმართვისა და შესაბამისი დასკვნების ფორმულირებისათვის.

ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი (მე-VI-V საუკუნეები ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ამბობდა, რომ სახელმწიფომ შეიძლება მიაღწიოს კეთილდღეობას, თუ სამი რამ გააჩნია: **მინა, ხალხი და მართვა**.

ასევე მსოფლიოში ფართოდაა ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ი. პეტის (მე-17 საუკუნე) შეხედულება: „**შრომა არის სიმდიდრის მამა, დედა კი – მინა**“. დიდი ილია აღმატებულად წერდა: „**ტყუილად კი არ ეძახიან მინას „დედაო“, ის გვანოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღე და ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის**“.

როგორც სქემა 1-დან ჩანს, მინა ინტეგრირებული სისტემაა. იმისთვის, რომ მომზადდეს თანამედროვე პირობებში მინის რესურსების რაციონალურად გამოყენების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველები, აუცილებელია კვლევაში ამჟამად გამოყენებული მეთოდების (შემეცნების დიალექტიკური, ისტორიულ-ლოგიკური, ეკონომიკურ-მეთოდოლოგიური, მოდელირების, ინფორმაციების მოძიებისა და დამუშავების, ეკონომიკურ-სტატისტიკური, სისტემური, შედარებითი ანალიზი, ინდექსია, დედუქცია და ა.შ.) შემდგომი გაფართოება და სრულყოფა. ამ მიზნით შევარჩიეთ საყოველთაოდ ცნობილი ჰოლისტიკური მეთოდი (იგი უპირატესად მართვის სისტემებში გამოიყენება), რომელიც ეფუძნება ცნობილ პრინციპს – სამყარო ერთიანი მთელია, მის სივრცეში წარმოქმნილი ცალკეული მოვლენები და ობიექტები მთელის ნაწილებია. როგორც მეცნიერებაში მიჩნეულია, აღნიშნული მეთოდი ეყრდნობა არისტოტელეს იდეას, რომ „მთელი ყოველთვის არის უფრო მეტი, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი“.


ასეთი მეთოდით მინის, როგორც რესურსის, განხილვა იძლევა საფუძველს უფრო სრულად წარმოვიდგინოთ მინის გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების პროცესები და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები უფრო ღრმად გავაცნობიეროთ.

სქემა 2 გვიჩვენებს, რომ მინა, ბუნებრივი რესურსი – ინტეგრირებული სისტემის ერთ-ერთი ნაწილი, იგი როგორც მთელი, რამდენიმე კომპონენტს შეიცავს. მათი შესწავლა, მით უფრო ურთიერთმოქმედებისა და ურთიერთდამოკიდებულების პროცესში უფრო სრულად მოგვცემს **მინის რესურსების გამოყენების სიღრმისეულ პროცესებში ობიექტურად წვდომის საშუალებას**.

ამასთან 1-ლი და მე-2 სქემები იძლევა მხოლოდ ვიზუალურ სურათს. იმისათვის, რომ მინის, როგორც ბუნებრივი რესურსის ერთ-ერთი მთავარი შემადგენლის – ნიადაგის – გამოყენების დონე განვსაზღვროთ (შევაფასოთ) აუცილებელია მის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მოძიება (ანალიზი) და სხვა შემადგენელ ნაწილებთან, ვთქვათ, წყლის, ტყის, რეკრეაციულ რესურსებთან ურთიერთგანპირობებულობის დონის


დონის

სქემა 1. მინა მრავალფუნქციურია: იგი ერთდროულად არის ბუნებრივი რესურსი, წარმოების ძირითადი ფაქტორი, მეურნეობრიობის (სამართლებრივი ურთიერთობების) ობიექტი



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

სქემა 2. მიწა (ბუნებრივი რესურსი) – ინტეგრირებული სისტემა



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

განსაზღვრა. ასეთი მიდგომით უნდა განვიხილოთ სხვა შემადგენელი (მაგალითად წიაღისეული და სხვა) ნაწილებიც. მიწის (როგორც სისტემის) კომპონენტებს მეცნიერების შესაბამისი მიმართულება (დარგი) ემსახურება. სამწუხაროდ, ქვეყანაში ნიადაგის გამოყენებისა და აღნარმოების მეცნიერული უზრუნველყოფის დონე უკიდურესად დაბალია.

დღევანდელ პირობებში, ზემოთ აღნიშნული მიდგომით კვლევის პროცესს ხელს უშლის მიწის ამა თუ იმ მახასიათებლის (ჩვენს შემთხვევაში ბუნებრივი რესურსის) შესახებ ობიექტური ინფორმაციების არ არსებობა. ცნობილია, რომ ნიადაგი ასრულებს სოციალურ ფუნქციას. მის რაციონალურად გამოყენებაზე არსებითად დამოკიდებული საზოგადოების სურსათით უზრუნველყოფის დონე. სამწუხაროდ, საქართველოში ნიადაგის (საერთოდ მიწის) დღევანდელ რეალურ მდგომარეობაზე სანდო ინფორმაცია არ მოიძებნება. მონიტორინგი, მიწაზე სახელმწიფო კონტროლი სრულად არ ხორციელდება.

ქვეყანაში არ არის ინფორმაცია ნიადაგის რესურსული პოტენციალის, მით უფრო ნიადაგის დეგრადაციის პროცესების მიმდინარეობის შესახებ. მიწათმონყობა როგორც სისტემა მოშლილია. მიწის ნაკვეთები დაქუცმაცებულია. მიწის პრივატიზაციის შედეგად 2-3 ნაკვეთი ჰქონდა მეურნეობების 48,8%-ს, მიწის ნაკვეთების საშუალო რაოდენობა შეადგენდა 2,33-ს. მეორადი დაჭაობება გრძელდება. მოსავლიანობა დაბალია. მაგალითად, 2024 წელს ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 2,9 ტონა შეადგინა. ამავე წელს ქვეყანაში პურპროდუქტების მოხმარებამ შეადგინა 114 კგ. აქედან, ადგილზე წარმოებული იყო მხოლოდ 40 კგ; ბოსტნეულის მოხმარება – 58 კგ, ადგილზე წარმოება – 36 კგ; ხორცის მოხმარება 40 კგ, ადგილზე წარმოება – 24 კგ. 2024 წელს ქვეყანაში სასურსათო პროდუქციის იმპორტი

1 მლრდ დოლარზე მეტით ჭარბობდა ექსპორტს. ეს მაშინ, როცა 2024 წელს ქვეყანაში ნათესმა ფართობმა მხოლოდ 191,5 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც სახნავი ფართობების სავარაუდო მაჩვენებლის დაახლოებით 1/3-ს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მიწის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი (ნიადაგი) ეფექტიანად არ გამოიყენება. ნიადაგის უნივერსალური თვისება – რომ იგი დარგწარმოქმნელი ფენომენია, საზოგადოებას, მიწის მესაკუთრეების დიდ ნაწილს გაცნობიერებულიც არა აქვს. უფრო მეტიც, ქვეყანაში საერთოდ მიწის (ნიადაგის) ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების ყურადღების მიღმა დარჩა.

ნიადაგი, რომელიც სოციალურ ფუნქციას ასრულებს, ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორიცაა. ეს კარგად ჩანს საქართველოში ჩაის კულტურის, როგორც მემცენარეობის დარგის ჩამოყალიბების, ეფექტიანად ფუნქციონირებისა და თანამედროვე პირობებში მისი, ფაქტობრივად, მიღწევადი პროცესების სისტემური ანალიზიდან. ცნობილია, რომ საქართველოში გასული საუკუნის 30-იან წლებში ნიადაგების კლასიფიკაციას საგანგებო ყურადღება მიექცა. კულტურულმა რევოლუციამ განათლების, მეცნიერების განვითარების მაღალი ტემპებით, თვალსაჩინო როლი შეასრულა მეცნიერული მიდგომის საფუძველზე ნიადაგების მიზნობრივად გამოყენების ძირითადი მიმართულების სწორად განსაზღვრაში.

1921 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ჩაის პლანტაციები გაშენებული იყო 900 ჰექტარზე (დასავლეთ საქართველოში, ენერ-მჟავე ნიადაგებზე, რომელიც ჩაის კულტურის განვითარებისათვის ოპტიმალური აღმოჩნდა). 1988 წელს ჩაის პლანტაციების საერთო ფართობმა შეადგინა 67 ათასი ჰა. ჩაისა და სხვა სუბტ-

როპიკული კულტურების ფართოდ გავრცელება, მხოლოდ ხელსაყრელ ნიადაგობრივ პირობებზე არ ყოფილა დამოკიდებული. ჩაიზე, როგორც სასურსათო პროდუქტზე თითქმის განუსაზღვრელი მოთხოვნილება ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის ერთანი სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირების სივრცეში. საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1929 წელს შეიქმნა საკავშირო (სათაო) ანასეულის ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი – მეჩაიეობის (როგორც მემცენარეობის დარგის განვითარების) მეცნიერული უზრუნველყოფის საერთო-საკავშირო კერა. ჩაის ფოთლის, როგორც ნედლეულის გადამუშავების მიზნით, ბუნებრივია, ჩამოყალიბდა მომიჯნავე დარგიც – ჩაის მრეწველობა, რომელსაც ემსახურებოდა შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ახალი დარგების ფუნქციონირებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით საქართველოს განათლების სისტემაში შეიქმნა ტექნიკუმი, უმაღლესი სკოლის ფაკულტეტები, ინსტიტუტი. ჩაის ნედლეულის (მემცენარეობა) წარმოებისა და გადამუშავების (ჩაის მრეწველობა) ტექნიკური აღჭურვილობის მუდმივად განახლებისათვის ქვეყანაში ჩამოყალიბდა მრეწველობის (მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის და სხვა დარგის საწარმოები) შესაბამისი საპროექტო ორგანიზაციები. ფაქტობრივად, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ფართოდ გავრცელების ფონზე შეიქმნა მსხვილი სამრეწველო-სამეცნიერო კომპლექსი.

პირველად მსოფლიოში ქართველმა სპეციალისტებმა შექმნეს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა, რომელმაც ფოთლის კრეფის უაღრესად შრომატევადი პროცესი მთლიანად მექანიზირებული გახადა. საქართველომ ჩაის მწარმოებელი ქვეყნების სიაში ჯეროვანი ადგილი დაკავა. მეჩაიეობა და მის ბაზაზე ჩამოყალიბებული სამრეწველო-სამეცნიერო კომპლექსი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველო“ ეფექტიანობაზე მიუთითებს ისეთი მახასიათებელი, როგორცაა მწარმოებლურობა. ზუგდიდის რაიონის ინგი-

რის სახელმწიფო მეურნეობაში 42 მანქანა წელიწადში კრეფდა 5 ათას ტონა ჩაის ფოთოლს. კრეფის რთულ პროცესში ხელით შრომა არ მონაწილეობდა.


სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში ცნობილი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმების ქვეყნისათვის თავს მოხვეულ პროცესში ყველაზე დიდი დარტყმა მეჩაიეობამ მიიღო. იგი ფაქტობრივად, მიღვევად ფაზაშია. დღეს ისიც არ არის ცნობილი, რამდენი ჰექტარი ჩაის ფართობი გვაქვს. მეჩაიეობის ზონის მცხოვრებნი, ვინც აღნიშნულ დარგს ახლო წარსულში ემსახურებოდა, ელოდებიან ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებას მეზობელ თურქეთში. გადარჩენილი ფართობების დიდი ნაწილი კი გავერანებულია, ეკალბარდითა და ენერ-ნიადაგებისათვის დამახასიათებელი გვიმრითაა დაფარული. ეს ნიშნავს იმას, რომ ნიადაგების უნიკალური ტიპი რაციონალურად არ გამოიყენება. აღნიშნული მაგალითიდან დასკვნების გამოტანა გვმართებს, ჩვენ კი ვაყოვნებთ.

ერთი რამ ცხადია, მიწა (ნიადაგი) – ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის უმთავრესი კომპონენტი ყველა დროსა და პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფოს, მეცნიერებისა და საზოგადოების მუდმივი ყურადღების საგანი უნდა იყოს.

როგორც მე-3 სქემიდან ჩანს, მიწა (ბუნებრივი რესურსი) ამავედროულად ასრულებს წარმოების (განვითარების) ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის ფუნქციას და სხვა ფაქტორებთან ერთად მათი ურთიერთგანპირობებულობის დონის შესაბამისად მონაწილეობს დოვლათის წარმოებაში. წარმოების ფაქტორებად იწოდება ეკონომიკური რესურსები, რომლებიც აუცილებელია საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის. ტრადიციულად გამოიყოფა წარმოების შემდეგი ფაქტორები: მიწა (ბუნებრივი რესურსი), შრომა (შრომითი რესურსი), კაპიტალი (ინვესტიციური რესურსი), ასევე მენარმეობრივი უნარი, ინფორმაცია, ინოვაცია.

წარმოდგენილ ნაშრომში აღნიშნულ 1-4 ფაქტორს უცვლელად ვტოვებთ. რაც შეეხება ინოვაციას, ინფორმაციას, ჩვენ ვიზიარებთ იმ ექსპერტთა აზრს, ვინც თვლის, რომ **ინტეგრირებული ცოდნა** მოიცავს

სქემა 3. მიწა წარმოების სხვა ძირითადი ფაქტორების სისტემაში



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ორივეს ერთად. ამასთან, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ეტაპზე, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ტრანსფორმაციული პროცესების განვითარების თავისებურებებმა გვიჩვენა, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (როგორც განვითარების ფაქტორი, რომელსაც მოქმედებაში მოყავს რესურსული პოტენციალი) განსაკუთრებულ როლს ასრულებს ახალი ტიპის (საბაზრო) ეკონომიკური სისტემის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში. თითოეულ ამ ფაქტორს აქვს განსაზღვრული ფუნქცია, რომელსაც არეგულირებს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემა, ეკონომიკური მექანიზმი, მეცნიერული უზრუნველყოფის პრინციპები. თითოეული ფაქტორი შედარებით სრულ სურათს გვიჩვენებს, თუ მათ განვიხილავთ ურთიერთზემოქმედების პროცესში, თანაც მიმდინარე ცვლილებების ფონზე. ეს იძლევა საფუძველს, უფრო ობიექტურად შეფასდეს მინის (ინტეგრირებული სისტემის) ფუნქციონირების პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, რაც სწრაფად ცვალებად სიტუაციებში მანევრირების, რესურსების კონცენტრაციის მეტ შესაძლებლობას ქმნის.

როგორია სქემაზე წარმოდგენილი ფაქტორების როლი მინის რესურსების გამოყენებაში?

შრომის, როგორც წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის როლის გაცნობიერებისათვის განვიხილოთ რამდენიმე მონაცემი. 2024 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით, მოსახლეობის 38,1% სოფლად ცხოვრობს. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში 2024 წელს შეიქმნა ქვეყნის მშპ-ს 6,3%. 1989-2024 წლებში სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა 918 ათასი კაცით შემცირდა. თუ 1988 წელს ყოველ 1000 კაცზე ბუნებრივი მატება შეადგენდა 8 კაცს, 2024 წელს გარდაცვალების მაჩვენებელი აღემატება დაბადებულთა მაჩვენებელს 4488 კაცით. ეს მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში დემოგრაფიული კრიზისი საშიშ ხასიათს იძენს. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე შეადგენს 64,8 კაცს. 2024 წელს საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე ქვეყანაში შეადგენდა 1895,7 ლარს, ერთ სულზე - 590,1 ლარს. აქედან სოფლად, შესაბამისად, 1755,3 ლარს და ერთ სულზე - 532,5 ლარს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში 2023 წელს შეადგენდა 5,3%-ს. საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე - 85,7 ლარს. ამ დროს, სოფლად სამუშაო ძალის აღწარმოება კრიტიკულია. 2024 წელს ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 1 მლნ-ზე მეტი ბიზნეს სუბიექტი. მათ შორის, მოქმედი იყო მხოლოდ 247 ათასი სუბიექტი (24,7%). სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში რეგისტრირებული 11882 სუბიექტიდან აქტიური იყო 3567 (30%). საყურადღებოა, რომ ქვეყანაში 516386 სუბიექტის საქმიანობა უცნობია.

სოფლად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უკიდურესად ჩამორჩა. შრომის ბაზარზე კვალიფიციურ შრომაზე მოთხოვნა დაბალია. აგრარული სექტორისათ-

ვის კვალიფიციური კადრების მომზადების ერთიანი სისტემა შექმნილიც არ არის. ადრე არსებული სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გასხვავდა, პედაგოგთა კადრები გაიფანტა, ერთ ლარად გასხვავებული საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აქტიურად არ მონაწილეობს კვალიფიციური კადრების მომზადებაში. კვალიფიციური კადრების დიდი დეფიციტი ყოველმხრივ აფერხებს განვითარებას. ურბანული პროცესების დაჩქარების ფონზე სოფლები დაცარიელდა. დედაქალაქში ან საზღვარგარეთაა წასული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. პარადოქსული სიტუაცია იქმნება: იზრდება მოთხოვნა ფიზიკურ შრომაზე (პრიმიტიული ინვენტარით), ისიც ფიზიკური პირების (წვრილი საოჯახო მეურნეობების მხრივ). კვალიფიციური კადრების დიდი დეფიციტი აფერხებს სოფლად საწარმოო ძალების განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. მატერიალური და სოციალური სფეროს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის პროცესი ქვეყანაში სათანადოდ რეგულირებულიც არ არის.

ამრიგად **შრომა**, როგორც წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი (**„სიმდიდრის მამა“**), აქტიურად ხელს არ უწყობს მინის, როგორც ინტეგრირებული სისტემის რაციონალურ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

როგორ გამოიყენება წარმოების ფაქტორი - კაპიტალი? საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში გაჩანაგდა აგრარული მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამრეწველო საწარმოებმა, მომსახურების ობიექტებმა, მეცხოველეობის კომპლექსებმა და სხვა მსხვილმა ობიექტებმა ფუნქციონირება შეწყვიტეს, მათი საწარმოო ძირითადი ფონდის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ ჯართის სახით გაიყიდა. სოფლად მექანიზაციის საშუალებები, სარწყავი ფართობები კატასტროფულად შემცირდა. 2024 წელს სარწყავმა ფართობებმა შეადგინა 165 ათასი ჰექტარი, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს 435 ათას ჰექტარს აღემატებოდა.

მენარმოებრივი უნარი ხელს უწყობს წარმოების ისეთ ორგანიზაციას, რომელიც სხვა ფაქტორებთან კომბინირებით უზრუნველყოფს მაქსიმალური შემოსავლების მიღებას. ანალიზით დასტურდება, რომ მენარმოებრივი უნარის, როგორც ფაქტორის, გამოყენების დონე დაბალია. იგი მხოლოდ კვალიფიციური კადრების დეფიციტით არ არის გამოწვეული - კომპლექსური პრობლემაა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ წარმოების სხვა ფაქტორებთან ინტეგრირებით არის შესაძლებელი. ეს რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, რომლის რეგულირება, ფაქტორებზე, უნდა განისაზღვროს ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველზე ჩამოყალიბებული მიზნობრივი პროგრამებით. ქვეყანაში დარგობრივი სტრატეგიების ჩამოყალიბების გარკვეული გამოცდილება არსებობს. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი დეკლარირებული ხასიათისაა და ზოგად სტრატეგიულ ხედვებს ეფუძნება. მაგალითად, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაში აგრარული სექტორის ფუნქციონირების საწყისი რესურსის - მინის

ეფექტიანობის ამალგების ღონისძიებებიც დასახული არ არის. მენარმეობრივი უნარის, როგორც ფაქტორის, არაეფექტიანად გამოყენების მაგალითია თუნდაც ის, რომ წლების განმავლობაში მკვეთრად შემცირდა დამუშავებული მინის ფართობები, შესაბამისად, სტრატეგიული პროდუქტების (მარცვალი, მეცხოველეობის პროდუქცია, ცხიმები, შაქარი და სხვ.) წარმოება. ქვეყანაში 1990-2024 წლებში ნათესი ფართობები შემცირდა 700 ათასი ჰექტრიდან 191,5 ათას ჰექტრამდე. მოუგვარებელია თესლის წარმოების, სანაშენო საქმის, მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის და სხვა საკითხები, რომლებიც აფერხებენ განვითარებას. ნიადაგის ნაყოფიერების ამალგების ღონისძიებანი არ ხორციელდება.

ინტეგრირებული ცოდნა (ახალი ცოდნა, ინფორმაცია, ინოვაცია, თანამედროვე ეკონომიკის სისტემაში) განიხილება, როგორც წარმოების (განვითარების) ფაქტორი. **ინტეგრირებულ ცოდნას** წარმოების სხვა ფაქტორების ფუნქციების შესრულებაშიც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურება ისაა, რომ პროდუქტიული პირუტყვი, ასევე მრავალწლიანი ნარგავები განეკუთვნება სანარმოო ძირითად ფონდებს. ისინი წარმოადგენენ წარმოების ბიოლოგიურ საშუალებებს, ხოლო წარმოების პროცესი თანდათანობით გადადის მანქანური წარმოების სტადიებზე. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია სანარმოო ფონდების (კაპიტალის) რაციონალური გამოყენება.

ინტეგრირებული ცოდნის აუცილებლობას განაპირობებს ის ნიუანსი, რომელიც განსხვავებულ ინტერესების შეჯერების წერტილზე აღმოცენდება როგორც წინააღმდეგობრივი პროცესის სანყისი, რომლის რეგულირებისათვის სანარმოო პროცესების მაღალი დონის ორგანიზაცია, განვითარების ყველა დონეზე (მეგა, მაკრო, მეზო, მიკრო) ინტეგრირების შესაბამისი ფორმების განსაზღვრაა საჭირო. მომავალში საქართველოში ინტეგრირებული ცოდნის როლი უფრო გაძლიერდება და მრავალმხრივი გახდება ევრაზიის, როგორც გეოეკონომიკური სივრცის განვითარება-გაფართოების წინააღმდეგობრივი პროცესის რეგულირებაში.

ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური პოტენციალი (ცენტრალური ბირთვი – მეცნიერება) არარაციონალურად და არაეფექტიანად გამოიყენება. მთავარი მიზეზი ისაა, რომ განვლილ პერიოდში ვერ მოხერხდა დროის გამოწვევებთან ადეკვატური განათლებისა და მეცნიერების ეფექტიანი სისტემის შექმნა. უფრო მეტიც, ქვეყანაში მეცნიერების ადრე არსებული სამივე ფორმა – აკადემიური, დარგობრივი და უმაღლესი სკოლა ორგანიზაციულად უფრო დასუსტდა და ეკონომიკის გარდაქმნების პროცესში მოკრძალებული ადგილი უკავია.

მაგალითად, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ფუნქციონირებდა 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 6 სამეცნიერო ცენტრი, 3 საცდელი სადგური. დასაქმებული იყო 1007 მეცნიერი

თანამშრომელი, მათ შორის 33 (3,7%) მეცნიერებათა დოქტორი, 516 მეცნიერებათა კანდიდატი (51,2%), 100-მდე ასპირანტი. 2010 წელს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები სათანადო ანალიზის და პროგნოზირების (არგუმენტაციის) გარეშე გადაეცა შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებს. მათი ქონების დიდ ნაწილი გასხვისდა.

მეცნიერული კვლევები ძირითადი მიმართულებების მიხედვით შეჩერდა. სამეცნიერო კადრების მომზადების არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ნიჭიერი ახალგაზრდობის დაინტერესებას სამეცნიერო საქმიანობით. ასეთმა „რეორგანიზაციამ“ გამოიწვია ის, რომ თესლის წარმოება, სანაშენო საქმე, მცენარეთა დაცვის ორგანიზაცია მოიშალა, შეწყდა მინის ნაყოფიერების ამალგების ღონისძიებათა განხორციელება, კვლევის მიღმა დარჩა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების, პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის, სახელმწიფო პროტექციონიზმის ეფექტიანად გამოყენების, საკუთრებითი ურთიერთობების, ტერიტორიების მდგრადი განვითარების საკითხები.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის (ზღუდავს) მინის რესურსების რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას ინტეგრირებული ცოდნის აღწერის სუსტი ორგანიზაციული საფუძველია. აგრარული სფერო, სადაც ნიადაგის განსხვავებული ტიპები და ერთდროულად ორი ობიექტური კანონის (ბუნებრივ-ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური) მოქმედება განსაზღვრავს სპეციალიზაციის მრავალფეროვნებას და მოითხოვს სხვა ფაქტორების ოპტიმალურ გამოყენებას, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება – ექსტრემალურ პირობებში (ჩვენს შემთხვევაში საბაზრო პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში), თავად ფორმირებად სახელმწიფოს უნდა შეესრულებინა ახალი, წინამორბედისაგან თვისებრივად განსხვავებული ეკონომიკური სისტემის შემქნელი პოლიტიკური სუბიექტის როლი. ამისათვის საჭირო იყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, საერთოდ ინსტიტუციური გარდაქმნები, მორალურ-ზნეობრივი საფუძვლების მომზადება. სახელმწიფო, საზოგადოება, მეცნიერება მზად არ აღმოჩნდა ამ ამოცანის შესრულებისათვის. აღნიშნული ფუნქციები მიითვისა ე.წ. უხილავმა ხელმა (ლიბერალიზაციამ) იმ იმედით, რომ თითქოს ყოვლისშემძლე ბაზარი ყველაფერს თითონ მოაგვარებდა.

სახელმწიფომ, როგორც პოლიტიკურმა სუბიექტმა და ეროვნული სიმდიდრის, მათ შორის წარმოების ძირითადი საშუალებების იმდროისთვის 100%-ით მესაკუთრემ, სწორად ვერ გააცნობიერა ქვეყნის ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადასვლის სასტარტო გარემო და არსებული პოტენციალი. სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტიქიურად დაშლა განახორციელდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე (იმის იმედით, რომ საბაზრო მექანიზმები თავად უზრუნველყოფდნენ თვითგანვითარების რეჟიმში გადასვლას). სახელმწიფომ საკუთარი ფუნქციები დაუთმო კრიმინალურ ჯგუფებს, რომლებიც დემოკრატიისა და ეროვნული იდენტობის

ლოზუნგებით გამოდიოდნენ. ეკონომიკური გარდაქმნების სპონტანურად ჩამოყალიბებული პროცესი აღმოჩნდა ბაზრის კრიმინალურ-მაფიოზური რეგულირების სტადიაში. სწორედ აქედან გამომდინარეობს დანარჩენი შეცდომებიც (ვრცლად ქვემოთ იქნება განხილული).

ამრიგად, გარდაქმნების პერიოდში დაშვებულ შეცდომებს შორის უმთავრესი (განმსაზღვრელი) იყო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორის როლის უგულვებლყოფა. **მკაცრი შედეგიც დადგა – სახელმწიფო საზოგადოებრივი პროგრესის შემაფერხებელ ფაქტორად იქცა.**

დღეს არავის დარწმუნება არ დაგვჭირდება იმაში, რომ ძლიერი ეკონომიკის გარეშე პოლიტიკური თავისუფლება და დემოკრატია ფიქციაა. ეფექტიანი ეკონომიკა სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველი. ეფექტიანობა კი ვერ მიიღწევა ძლიერი სახელმწიფოს გარეშე. სახელმწიფო კი ძლიერია მაშინ, როცა იგი თავის მოღვაწეობას აფუძნებს თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებაზე. ამიტომ მათი ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხი მუდამ უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ობიექტი.

ტრანსფორმაციის პროცესში არ იქნა გათვალისწინებული ის, რომ წარმოების ძირითადი ფაქტორების როლი ქვეყნის განვითარების ეტაპების თავისებურებებისა და ტენდენციების გავლენით იცვლება. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთ ცალკე აღებულ ფაქტორს არ შეუძლია უზრუნველყოს სისტემის დაბალანსებული განვითარება. ამიტომ აუცილებელია მათი ოპტიმალური კომბინაცია და პროცესის კოორდინაცია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფაქტორებს შორის წინააღმდეგობებიც წარმოიქმნება. ასეთ დროს მოსალოდნელი რისკების პროგნოზირება, ტენდენციების სწორად გაცნობიერება და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში საჭირო დოზით სახელმწიფოს ჩართვაა საჭირო. სწორედ ამაშია, სახელმწიფოს და მეცნიერების, როგორც განვითარების ფაქტორის დანიშნულება.

იმისათვის, რომ უფრო სიღრმისეულად წარმოვიდგო-

ნოთ მიწის რესურსული პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანის განხორციელების მასშტაბები, გაქანება, მეცნიერული უზრუნველყოფა, მიზანშეწონილია მიწა (სამივე განზომილებაში) განვიხილოთ უფრო მაღალი დონის ინტეგრირებულ სისტემაში.


სქემაზე წარმოდგენილი სუბიექტები დამკვიდრებული ტრადიციებითა და გამოცდილებით უშუალო გავლენას ახდენენ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების (პირველ რიგში მიწის რესურსების) გამოყენებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, თუმცა ცალ-ცალკე მოქმედებენ. მათი საქმიანობა ვინრო მიზნობრივი (უწყებრივი) პოზიციებიდან წარმართება და ქვეყნის ერთობლივ სტრატეგიულ ამოცანებზე ორიენტირებულებიც არ არიან. ეს გარემოებაც იყო (არის) სახელისუფლებო, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ზნეობრივი კრიზისების სპონტანურად წარმოქმნის, გახანგრძლივების და გაღრმავების ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი.

სქემაზე წარმოდგენილი სუბიექტების საქმიანობის ანალიზით დასტურდება, რომ **სახელმწიფომ და მეცნიერებამ** (სხვა სუბიექტების მონაწილეობით და მხარდაჭერით) უნდა უზრუნველყონ ქვეყნის განვითარების ეტაპების თავისებურებების, ტენდენციების გათვალისწინებით სტრატეგიის განსაზღვრა და მისი განხორციელების პროცესის წარმართველი ლიდერის ფუნქციის შესრულება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხერხდება ქვეყნის განვითარების უმთავრესი ფაქტორების მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად და კომპლექსურად ამოქმედება.

რატომ სახელმწიფომ? რატომ მეცნიერებამ?


ჯერ კიდევ 2012 წელს ვწერდი: „მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ქვეყნის განვითარების დაგროვილი გამოცდილება, ერთი მხრივ, მოსახლეობის ცოდნის არსებული პოტენციალი, მეორე მხრივ, მოსახლეობის სოციალური ენერჯია, ქვეყნის აღმშენებლობის უმთავრეს ფაქტორად აქციოს. ამისათვის საჭიროა ქვეყნის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის სწორი

სქემა 4. მიწა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთავარი სუბიექტების ინტეგრირებულ სისტემაში



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

სქემა 5. მიწის რესურსების გამოყენებაში დაშვებული შეცდომები, როგორც ინტეგრირებული სისტემა



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

ანალიზი და პროგნოზირება, სტრატეგიის განსაზღვრა, სახელმწიფოს მშენებლობის ისტორიული გამოცდილებისა და ახალგაზრდული ენერჯის (მემკვიდრეობის უწყვეტობის პრინციპი) ერთდროულად და თანმიმდევრულად ამოქმედება. მათი ჩართვა განვითარების ერთიან პროცესში. ქვეყნის აღმშენებლობის პროცესი სახელმწიფო სტრატეგიით და ხელისუფლების ლიდერობით უნდა წარიმართოს“.

„ქვეყნის განვითარების ყოველი მომცველი ანალიზი, პროგნოზირება, სტრატეგიის განსაზღვრა უნდა მოხდეს მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე. სწორედ მეცნიერული (ინტეგრირებული) ცოდნით განისაზღვრება განვითარების მრავალი ვარიანტიდან ოპტიმალური. მეცნიერება უნდა ასწრებდეს პრაქტიკის (გამოცდილების) განზოგადებას და შესაბამისი ცვლილებები უნდა შეჰქონდეს შემუშავებულ სტრატეგიაში. ესაა მეცნიერების, როგორც უშუალო საწარმოო ძალის ფუნქცია, როცა თანამედროვე პირობებში სახელმწიფოსთან ერთად სწორად აცნობიერებს საკუთარ ექსკლუზიურ როლსა და ადგილს საზოგადოებრივ ურთიერთობების განვითარებაში“.

სახელმწიფო და მეცნიერება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტრანსფორმაციის მრავალმხრივი წინააღმდეგობებით გაჯერებული პროცესის ლიდერის ფუნქციას უნდა ასრულებდეს. თუ როგორ? განათლებისა და მეცნიერების გათვალისწინებული რეფორმის პროცესში უნდა იყოს განხილული.

პოლისტიკური მიდგომის საფუძველზე ასევე განალიზებულია საბაზრო ურთიერთობებზე ეროვნული ეკონომიკის გადასვლის წინააღმდეგობრივ პროცესში დაშვებული შეცდომები (სქემა 5).

სამწუხაროდ, უნებლიე თუ შეგნებულმა შეცდომებმა, უცოდინარობამ და გამოუცდელობამ, რომელიც უდავოდ ახლდა, ეკონომიკის ტრანსფორმაციას, გაახანგრძლივა იგი. ამასთან პროცესი მეტად მტკივნეული აღმოჩნდა. ამას ადასტურებს 90-იანი წლების დასაწყისში (1994 წელი) ეკონომიკის დაცემის დაფიქსირებული შემდეგი მონაცემები: 1994 წელს 1988 წლის მიმართ მშპ შეადგინა 27,8%, სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ

– 15%, სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ – 49%, ინვესტიციებმა – 2,8%, ტვირთბრუნვამ (რკინიგზა) – 33,4%. შედარებისათვის, 1994 წელს წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა პირველად მიღწეული იყო 1954 წელს (**40 წლის წინათ**), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა – 1945 წელს (**49 წლის წინათ**), კაპიტალური დაბანდებების მოცულობა – 1959 წელს (**35 წლის წინათ**), ტვირთბრუნვა (რკინიგზის ტრანსპორტით) – 1940 წელს (**54 წლის წინათ**). ასეთ პირობებში მკვეთრად დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე. 1995 წელს ხორცის მოხმარებამ მოსახლეობის ერთ სულზე შეადგინა 12,1 კგ, რძის პროდუქტების – 97,9 კგ, თევზის – 0,56 კგ, მცენარეული ზეთის – 3,27 კგ. ეს განაპირობა იმან, რომ სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებები სწორად არ იყო გაცნობიერებული. გარდაქმნები, განსაკუთრებით მიწის რეფორმა, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის გარეშე განხორციელდა. მიწის რესურსების დატაცების მასობრივმა შემთხვევებმა მიწის ფართობების დაქუცმაცების პროცესი დააჩქარა. ორგანიზაციულ-მმართველობითმა სისტემამ ვერ უზრუნველყო მიწის რესურსების მართვის სწორად ორგანიზება, ვერ მოხერხდა ეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბება.

სტრატეგიული და ტაქტიკური შეცდომების მაღალ ხარისხს მიეკუთვნება ის, რომ „შოკური თერაპია“, როგორც ეკონომიკური დოქტრინა, გამოიყენეს სოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო პრინციპებზე გადასვლის სტრატეგიად. ფაქტობრივად, ამით ორიენტაცია აიღეს კაპიტალიზმის იმ მოდელზე, რომელიც ცნობილია როგორც „ველური კაპიტალიზმი“. გარდაქმნების შედეგებმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მოდელის გამოყენება შეცდომა იყო.

ამრიგად, გარდაქმნების სტრატეგია სპონტანურად შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გავლენით ჩამოყალიბდა და ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო და შრომითი ტრადიციების, თავისებურებების გაუთვალისწინებლად წარიმართა. ეკონომიკის გარდაქმნების სტრატეგიას კომპლექსური, თანმიმდევრული ხასიათი, ერთიანი

მეთოდოლოგია არ ჰქონდა. უფრო მეტიც, მეთოდურად მკვიდრდებოდა აზრი, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ტრანსფორმაციის პროცესში აქტიურად არ უნდა ჩარეულიყო. ასეთი „მიდგომით“ გზა გაეხსნა განუკითხაობას, კერძო ინტერესების უკონტროლო თარეშს. ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმა (მექანიზმი) არასწორად აღიქვეს და გამოიყენეს. ფაქტობრივად, სახელმწიფო გვერდზე გადგა. ეკონომიკური გარდაქმნები სტიქიურად განვითარდა. პრაქტიკამ ცხადყო, რომ როდესაც ეკონომიკის გარდაქმნებში სახელმწიფო ძირითად ფუნქციას ვერ ასრულებს, იგი ქვეყნის განვითარებას აფერხებს.

მინა – მუშაობის (სამართლებრივი ურთიერთობების) ობიექტი

საერთო აღიარებით უძრავ ქონებას წარმომავლობის მიხედვით მიეკუთვნება მინის ნაკვეთები, ნიალისეულის ნაკვეთები და ყველაფერი, რაც მყარად დაკავშირებულია მინასთან. საადგილმამულო სამართლებრივი ურთიერთობების ობიექტს წარმოადგენს კონკრეტული მინის ნაკვეთი.

კანონმდებლობის მიხედვით მინა განსაკუთრებული ობიექტია. ამიტომ, რომ მინის სამართალი ითვალისწინებს სამართლებრივი ნორმების სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მინის რესურსული პოტენციალის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება.

მინა, როგორც მატერიალური სამყაროს ელემენტი ასრულებს საკუთრების ობიექტის ფუნქციას და ამ პროცესში მასზე გარკვეული ნორმების ზემოქმედება ხდება (ეს რეგულირებადი პროცესია). მინის ეს თავისებურება, როგორც ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში დადასტურდა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ამასთან, მინა როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის გამომხატველი ფორმა (სახელმწიფო საზღვარს – პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსი აქვს), ასრულებს პოლიტიკურ ფუნქციას.

მინა, როგორც სპეციფიკური საქონელი, საზოგადოებრივი ურთიერთობების ობიექტია, მონაწილეობს ყიდვა-გაყიდვაში და გამოირჩევა ღირებულებითი მახასიათებლებით, კერძოდ, მინის გადასახადი, საიჯარო ქირა, ნორმატიული, საბაზრო, საგირაო ფასები და სხვ. მინის ფართობი გადატანას არ ექვემდებარება (ეს არ ეხება ნიადაგობრივ ნაწილს (ნიადაგის საფარს ხსნიან, როცა მშენებლობა იწყება, შემდეგ რეკულტივაციისათვის იყენებენ). ამ თვალსაზრისით პრევენციული დაფიქსირდა საქართველოში. მხედველობაში გვაქვს არა ერთი შემთხვევა, როცა ნიადაგის (ფენის) მოჭრა ხდებოდა საზღვარგარეთ მისი გატანის მიზნით.

მინის, როგორც ტერიტორიული (სივრცობრივი) ბაზისის ფუნქცია განისაზღვრება იმით, რომ მინაზეა განლაგებული საცხოვრებელი შენობები, სამრეწველო, სატრანსპორტო ნაგებობები, სოციალური სფეროს ობიექტები და სხვა. ამ სივრცეში წყდება მოსახლეობის აღწარმოების, სანარმოო ძალების განვითარების და სხვ. პრობლემები. ამიტომ, სახელმწიფო პოლიტიკური,

სოციალური, ეკონომიკური მექანიზმებით (რომლებიც სამართლებრივ ბაზაზეა დაფუძნებული) არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების უალრესად რთულ პროცესს, რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, პოლიტიკურ და სხვა სფეროებს. ამ მიზნით სახელმწიფო აწესებს (ადგენს) მარეგულირებელ წესებს, სამართლებრივ ბაზაზე ჩამოყალიბებული მექანიზმებით უზრუნველყოფს განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ მინის რესურსების არაეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვანწილად განაპირობა საზოგადოების ეიფორიულმა მდგომარეობამ. ლოზუნგები „მზად ვართ ბალახით ვიკვებოთ“, „ბორჯომის წყალი გადაგვარჩენს“, „სახელმწიფო არ ჩაერიოს ეკონომიკაში“, „ბაზარი ყოველს შემძლეა, იგი თვითონ უზრუნველყოფს კეთილდღეობას“, „საკმარისია ქართველ გლეხს მინა მიეცეს, რომ ქვეყანა გამდიდრდეს“, მაშინ ქვეყნის განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავდა. საბედისწერო როლი შეასრულა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებამ შავი ლითონის ჯართისა და ხე-ტყის ექსპორტის თაობაზე. გარდამავალი პერიოდის სანყის ეტაპზე საზოგადოებრივი აზროვნება კრიმინალური ცნობიერებით წარიმართა. პოლიტიკაში ქუჩის ელემენტი გაძლიერდა. ქალაქის უზნების (რეგიონების) პოლიტიკურმა ფენომენმა მონაცვლეობით დომინირებადი ადგილი დაიმკვიდრა და ფართო გზა მისცა ქვეყნის დოვლათის მიტაცების ახალი ტიპის ინტერესების ჩამოყალიბებას. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა.

„ახალი აზროვნებით“ მოსულმა უმრავლესობამ მთავარი ამოცანა შეასრულა – სოციალისტურად აღიარებული ეროვნული ეკონომიკა „წულოვან საძირკველამდე“ დაანგრია. ქვეყანა გაიძარცვა, გაუარესდა ბუნებრივი რესურსების გამოყენება. ამის მაგალითია, თუნდაც მინის რესურსების გამოყენების დაბალი დონე.

ქვეყანაში მინის რეფორმები (პრივატიზაცია) დაიწყო 1992 წლის 18 იანვარს დროებითი მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებით. „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის რეფორმის შესახებ“. დადგენილება ითვალისწინებდა საბჭოთა პერიოდში მოსახლეობისათვის უვადო სარგებლობაში გადაცემული საკარმიდამო ნაკვეთების ერთ ჰექტრამდე შევსებას (იმ დროისათვის, იგი საშუალოდ შეადგენდა 0,26 ჰექტარს, შემდგომში კი (სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნით) კერძო საკუთრებაში მათ გადაცემას. თუმცა ორ კვირაში დადგენილებაში რადიკალური ცვლილებები შევიდა და ურთულესი პროცესი ფაქტობრივად სტიქიურად წარიმართა.

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა კავშირის ერთიანი სამეურნეო კომპლექსის რღვევის პროცესი სპონტანურად ჩამოყალიბებულ სიტუაციაში, შესაბამისი კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური და სამართლებრივი ბაზის გარეშე დაიწყო და ეთნოკრიზისების ფონზე სტიქიურად განვითარდა. მინების პრივატიზაცია მოუმზადებლად ჩატარდა, რამაც ნეგატიური მოვლენები გამოიწვია. მსხვილი სანარმოები წვრილ ოჯახურ მეურნეობებად გარდაიქმნა, კაპიტალი განიავდა, წარმოების მექანიზაციის დონე მკვეთრად დაეცა. მინის მართვის

ფუნქციები სხვადასხვა სამინისტროებზე გადანაწილდა. შეწყდა მინის ბალანსის წარმოებაც.

მიწის რეფორმების ლოზიკა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

1990 წლის მიწის ფონდის მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 1. იმ დროისათვის სულ მიწების ფართობი შეადგენდა 7272,3 ათას ჰექტარს. მათ შორის 323,3 ათასი ჰექტარი დროებით სარგებლობაში რუსეთის ფედერაციის დაღესტნის ტერიტორიიდან გადაცემული სავარგულები იყო. იმ ტერიტორიაზე იზამთრებდა თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგის, ახალგორისა და ჯავის საზოგადოებრივი მეურნეობებისა და მოსახლეობის ცხვარი, საშუალოდ 1 მლნ სულზე მეტი. მეცხვარეობა დასახლებული რეგიონების მოსახლეობის შემოსავლების მთავარი წყარო იყო. აღნიშნული ფართობი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მესაკუთრეს დაუბრუნდა.

1990 წელს ქვეყნის საზღვრებში იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგული - 2782,2 ათასი ჰა. მათ შორის: სახნავი - 694,2 ათასი ჰა, მრავალწლიანი ნარგავები - 239 ათასი ჰა, სათიბი - 156 ათასი ჰა, საძოვარი - 1686,3 ათასი ჰა, საკარმიდამო მიწები - 202,4 ათასი ჰა.

მე-2 ცხრილიდან ჩანს, რომ მიწაზე კერძო საკუთრებამ შეადგინა - 948,9 ათასი ჰექტარი (12,4%), სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა - 6679,5 ათასი (87,6%). სულ მიწის ფონდმა შეადგინა **7628,4** ათასი ჰა. ასეთი ზრდა განაპირობა იმან, რომ 2002 წელს 678,5 ათასი ჰა ტერიტორიული წყლების ფართობი მთავრობის დადგენილებით მიეკუთვნა მიწის ფონდს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებმა შეადგინა **3025,8 ათასი ჰა, სახნავმა - 801,8 ათასი ჰა, მრავალწლიანმა ნარგავებმა - 264,3 ათასი, სათიბმა - 143,8 ათასი, საძოვრებმა - 1796,6 ათასი ჰა.**

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის აღწერით ერთ ჰექტრამდე მიწის ფართობი ჰქონდა მეურნეობათა 74,5%, 1-დან 5 ჰექტრამდე - 23,2%, 5-დან 10-მდე - 0,9%-ს. მეურნეობების საშუალო ფართობი - **1,22** ჰექტარი, ნაკვეთების საშუალო რაოდენობა - 2,33. ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა - 0,52 ჰა. პრივატიზაციამ მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება გამოიწვია. მაგალითად, მეურნეობების **33,9%**-ს ჰქონდა ერთ ნაკვეთიანი ფართობი, 48,8-ს 2 ან 3 ნაკვეთიანი, 13%-ს 4 ან 5 ნაკვეთიანი, 4%-ს 6-დან 9 ნაკვეთამდე, 0,4%-ს 10 ან მეტი ნაკვეთი.

2014 წლის აღწერით საშუალოდ ერთ მეურნეობაზე მოდიოდა 0,4 ჰა მრავალწლიანი ნარგავი. მეურნეობების 94%-ს ერთ ჰექტრამდე მიწის ფართობი ჰქონდა, 4,9%-ს 1-დან 2 ჰექტრამდე, 1,2%-ს 2-დან 5 ჰექტრამდე, 0,15%-ს 5-10 ჰექტრამდე, 200-დან 500 ჰექტრამდე 13 მეურნეობას ჰქონდა.

რაც შეეხება უახლოესი წლების მონაცემებს (იხ. ცხრ. 3), ინფორმაცია მათ შესახებ არ მოიპოვება. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მიწის სახელმწიფო ფონდში მომხდარი თვისებრივი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. მიწის ბალანსის წარმოება 2005 წლის შემდეგ არ განახლებულა. მიწის ბალანსი

ის ორიენტირია, რომელიც ხელისუფლებას, საზოგადოებას, მეცნიერებას უჩვენებს როდის და როგორი ცვლილებები სჭირდება ქვეყნის განვითარების ინტეგრირებულ პროცესს.

ცხრილი 4 და 5 გვიჩვენებს, თუ როგორი ცვლილებები განიცადა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესამა და მრავალწლიანი ნარგავების ფართობებმა. 6, 7 და 8 ცხრილებიდან ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები მკვეთრად შემცირდა. ასევე შემცირდა პირუტყვის, ფრინველის სულადობა, ფუტკრის ოჯახების რაოდენობა.

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილების ანალიზიდან გამომდინარეობს დასკვნა. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ ეტაპზე, სადაც ცენტრალური იყო მიწის პრივატიზაცია, სახელმწიფომ ხელიდან გაუშვა მიწის რესურსული პოტენციალის სტრატეგიული მართვის მექანიზმის ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა. პროცესების თვითდინებაზე მიშვებამ გამოიწვია მიწის დეგრადაციის ტემპების ზრდა, ნაყოფიერების მკვეთრი დაცემა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დონის შემცირება, საერთოდ, აგრარული სექტორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაჩანაგება, მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი გარემოს მოშლა. საზოგადოებამაც ვერ გააცნობიერა, რომ ფართო გაგებით მიწა საზოგადოების სიცოცხლის უნარიანობის ყველა პროცესის ძირითადი (ამოსავალი) ბაზისია. მეცნიერება ფაქტობრივად მოწყდა მიწის რეფორმების მიმდინარეობისას ახლად წარმოქმნილი პრობლემების კვლევის პროცესს, შრომისადმი მიწის მესაკუთრეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამპარტავნულ დამოკიდებულებას ავლენს, საკუთარი მიწის ფართობსაც არ ამუშავებს.

შექმნილი მდგომარეობის თვისებრივად შეცვლისათვის ჩვენს მიერ მომზადდა დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც თან ერთვის.

მიწის რესურსული პოტენციალის გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების პროცესების მართვის (რეგულირების) სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

1. საქართველოში მიწის რესურსების (სახელმწიფო ფონდის) რაციონალურად გამოყენების ამოცანის სტრატეგიული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

- მიწას, ბუნებრივ (უნივერსალურ) რესურსს, წარმოების ფაქტორს, მეურნეობრიობის ობიექტს, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივაც სათანადო ყურადღება არ მიექცა. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელია. ამასთან, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების საჭირო (კომპლექსური) ღონისძიებანი არ ხორციელდება, მიწის (ნიადაგის) გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მონიტორინგს და კონტროლს სისტემური ხასიათი არა აქვს. მიწის ფართობების აღრიცხვა მოუწესრიგებელია,

ცხრილი 1. საქართველოს სახელმწიფო მინის ფონდის განაწილება კატეგორიებისა და სავარგულების მიხედვით

მინათმფლობელების, მინათმოსარგებლეთა და მიწების კატეგორიების სახელწოდებები	საქართველოს მინის ფონდის განაწილება სავარგულების მიხედვით, ათასი ჰა %, 1990 წლის 1 ნოემბრისათვის								
	საერთო ფართობი	სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	ნასეენი	დამუშავებული მიწები	სათიბი	საძოვარი	სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	მიწები არასამელოროაციო სტადიაში
სასოფლო-სამეურნეო სანარმოებისა და საოჯახო მეურნეობების დროებით სარგებლობაში არსებული მიწები	4595 100	687,1 14,95	234,2 5,1	6,0 0,13	927,3 20,17	147,0 3,2	1905,3 41,46	2979,6 64,83	10,70 0,23
სატყეო მეურნეობების სანარმოები	2365,0 100	3,30 0,14	3,70 0,16		7,0 0,30	7,6 0,32	30,50 1,29	45,1 1,90	
მრეწველობის, ტრანსპორტის, თავდაცვის, კავშირგაბმულობისა და სხვ. დანიშნ. მიწები	98,0 100	3,80 3,88	0,30 0,31		4,10 4,18	1,80 1,84	13,60 13,88	19,50 19,90	
სანარმოების, ორგანიზაციების და ბუნებისდაცვითი, რეკრეაციული, ისტორიულ-კულტურული დანიშნულების დანესებულებების მიწები	1,4 100								
დასახლებული პუნქტების მიწები	78 100	0,30 0,38	1,10 1,41		1,40 1,79		0,50 0,64	1,90 2,44	
ჰიდროტექნიკური და წყალსამეურნეო ნაგებობებით დაკავებული მიწები	99,4 100					0,20 0,20	0,60 0,60	0,80 0,80	
სახელმწიფო მარაგის მიწები	34,8 100						33,20 96,40	33,20 95,40	
სულ მიწები	7272,3 100	694,5 9,55	239,3 3,28	6,0 0,08	939,8 12,92	156,6 2,15	1983,7 27,28	3080,1 42,35	10,7 0,15
მათ შორის მიწები, რომლებიც გამოიყენება ქვეყნის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ	-323,3 100					-0,5 -0,15	-297,5 -92,0	-298,0 -92,17	
მიწები, რომლებიც გამოიყენება სხვა რესპუბლიკების მინათმფლობელებისა და მინათმოსარგებლეთა მიერ	+0,4 100						+0,10 25	+0,10 25	
სულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწები	6949,4 100	694,5 9,99	239,3 3,44	6,0 0,09	939,8 13,52	156,1 2,25	1686,3 24,27	2782,2 40,04	10,7 0,15

წყარო: ნაკაიძე ე. საქართველოს მინის რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს). თბ., „მეცნიერება“, 1997, გვ.36-37

ცხრილი 1ა. საქართველოს სახელმწიფო მინის ფონდის განაწილება კატეგორიებისა და სავარგულების მიხედვით

მინათმფლობელების, მინათმოსარგებლეთა და მინების კატეგორიების სახელწოდებები	საქართველოს მინის ფონდის განაწილება სავარგულების მიხედვით, ათასი ჰა %, 1990 წლის 1 ნოემბრისათვის									
	საკარმიდამო ნაკვეთები	დაზიანებული მიწები	ტყე	ბურქნარი	ჭაობები	წყლით დაფარული მიწები	გზებით დაფარული მიწები	მინები უცნობა-ნაგებობებით და ეზოებით	მუშა-მოსამსახურეთა კოლექ. ბაღები და ბაღჩები	სხვა მიწები
სასოფლო-სამეურნეო სანარმოებისა და საოჯახო მეურნეობების დროებით სარგებლობაში არსებული მიწები	196,3 4,27	3,0 0,06	588,1 12,80	176,8 3,85	6,1 0,13	51,3 1,12	77,6 1,70	51,7 1,12		454,5 9,89
სატყეო მეურნეობების სანარმოები	0,10 0,00		2249,4 95,11		2,1 0,09	4,1 0,17	2,0 0,08			62,2 2,63
მრეწველობის, ტრანსპორტის, თავდაცვის, კავშირგაბმულობისა და სხვ. დანიშნ. მიწები	0,10 0,10		4,4 4,5	2,5 2,55		7,4 7,55	18,2 18,57	23,1 23,57	9,0 9,18	13,8 14,08
სანარმოების, ორგანიზაციების და ბუნებისდაცვითი, რეკრეაციული, ისტორიულ-კულტურული დანიშნულების დანესებულებების მიწები										1,4 100
დასახლებული პუნქტების მიწები	5,9 7,56		1,2 1,54	0,5 0,64	0,1 0,13	0,5 0,64	2,3 15,77	45,7 58,59		9,9 12,69
ჰიდროტექნიკური და წყალსამეურნეო ნაგებობებით დაკავებული მიწები						55,2 55,53				43,4 43,70
სახელმწიფო მარაგის მიწები							0,1 0,29	0,2 0,57		1,30 3,74
სულ მიწები	202,4 2,78	3,0 0,04	2843,1 39,09	179,8 2,47	8,3 0,11	118,5 1,63	110,2 1,52	120,7 1,66	9,0 0,12	586,5 8,06
მათ შორის მიწები, რომლებიც გამოიყენება ქვეყნის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ				-12,8 -3,96			-0,2 -0,06			-12,3 -3,80
მიწები, რომლებიც გამოიყენება სხვა რესპუბლიკების მინათმფლობელებისა და მინათმოსარგებლეთა მიერ			+0,2 50							+0,1 25
სულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწები	202,4 2,91	3,0 0,04	2843,3 40,91	167,0 2,40	8,3 0,12	118,5 1,71	110,0 1,58	120,7 1,74	9,0 0,13	574,3 8,26

წყარო: ნაკაიძე ე. საქართველოს მინის რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს). თბ., „მეცნიერება“, 1997, გვ.36-37

ცხრილი 2. მიწის ფონდი და მისი განაწილება სავარგულებისა და მიწათმოსარგებლეთა მიხედვით 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ათასი ჰექტარი)

	საერთო ფართობი	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	მათ შორის			
			სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	სათიბი	საძოვრები
კერძო საკუთრებაში გადაცემული	<u>948,9</u> 12,4%	<u>767,3</u> 25,3%	<u>438,5</u> 54,6%	<u>180,5</u> 68%	<u>44</u> 30%	<u>84,5</u> 4,7%
სახელმწიფოს საკუთრებაში	<u>6679,5</u> 87,6%	<u>2258,5</u> 74,7%	<u>363,3</u> 45,4%	<u>83,5</u> 32%	<u>99,8</u> 70%	<u>1712,1</u> 95,3%
მათ შორის						
სასოფლო-სამეურნეო პროფილის ორგანიზაციების	<u>2822,3</u> 42,2%	<u>2172,1</u> 96,2%	<u>358,8</u> 98,7%	<u>76,1</u> 91,3%	<u>92,7</u> 92,9%	<u>1644,5</u> 96,0%
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების	<u>3857,2</u> 57,8%	<u>86,4</u> 3,8%	<u>4,5</u> 1,3%	<u>7,2</u> 8,7%	<u>7,1</u> 7,1%	<u>67,6</u> 4%
აქედან დასახლებული პუნქტების	<u>88,4</u> 2,2%	<u>1,6</u> 1,8%	<u>0,4</u> 8,8%	<u>0,7</u> 9,7%	-	<u>0,5</u> 0,74%
დაცული ტერიტორიების	<u>300,7</u> 7,8%	<u>15,6</u> 18%	<u>0,1</u> 2,2%	<u>0,1</u> 1,4%	<u>1,1</u> 15,5%	<u>14,3</u> 21,1%
ტყის ფონდის	<u>2456,2</u> 63,6%	<u>55,9</u> 64,6%	<u>2,8</u> 62,2%	<u>6,1</u> 84,7%	<u>5,1</u> 71,8%	<u>41,9</u> 62%
მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო საშუალებების, ენერგეტიკის, თავდაცვის და სხვა დანიშნულების	<u>171,9</u> 4,5%	<u>12,8</u> 14,8%	<u>1,2</u> 26,6%	<u>0,3</u> 4,1%	<u>0,9</u> 12,6%	<u>10,4</u> 15,4%
რელიგიური ორგანიზაციების	4,9	-	-	-	-	-
წყლის ფონდის	<u>835,1</u> 21,6%	<u>0,5</u> 0,6%	-	-	-	<u>0,5</u> 0,74%
სულ	<u>7628,4</u> 100%	<u>3025,8</u> 100%	<u>801,8</u> 100%	<u>264,3</u> 100%	<u>143,8</u> 100%	<u>1796,6</u> 100%

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადი. თბ. 2004. გვ. 24-25.

ცხრილი 3. საქართველოს სახელმწიფო მიწის ფონდის განაწილება კატეგორიების და სავარგულების მიხედვით (ათასი ჰა)

	1990 წ.	2004 წ.	2005 წ.
სულ მიწები	7272,3	7628,4	7628,4
მათ შორის ადმინისტრაციულ საზღვრებში	6949,4	7628,4	7628,4
სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები	2979,6	3025,8	3026,3
მათ შორის:			
სახნავი	694,3	801,8	802,1
მრავალწლიანი ნარგავები	279,3	263,8	264,0
სათიბი	156,1	143,8	143,5
საძოვრები	1686,3	1796,6	1796,6
საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებში	2782,2	3025,8	3026,3

ცხრილი 4. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (ათასი ჰა) 1990-2024 წლებში

ფართობი	1990	1997	2003	2012	2024	2024 წელი 1990 წლის მიმართ +/-
ნათესი ფართობი სულ	701,9	597,5	561,7	259,6	191,5	-510,4
მათ შორის, მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები	269,8	437,2	371,0	132,8	152,1	-117,7
მათ შორის						
ხორბალი	91,7	174,9	117,3	50,0	53	-38,7
სიმინდი	107,0	203,2	197,6	114,8	70,0	-37
კარტოფილი და ბოსტნეულ-ბალჩეული	67,3	62,4	88,2	52,9	25,7	-41,0

წყარო: „საქსტატი“

ცხრილი 5. მრავალწლიანი ნარგავების ფართობი (ათასი ჰა) 1990-2024 წლებში

ნარგავების სტრუქტურა	1990	1995	2003	2014	2024	2024 წელი 1990 წლის მიმართ +/-
ხეხილის ფართობი	126,5	94,9	65,3	59,4	75,9	-50,6
ვენახის ფართობი	112,8	94,2	70,2	32,9	41,2	-71,6
ციტრუსების პლანტაციები	24,7	13,2	15,9	7,4	9,1	-15,6
ჩაის ფართობი	62,3	33,1	39,9	4,6	4,6	-57,7

წყარო: „საქსტატი“

ცხრილი 6. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მაჩვენებლები 1990-2024 წლებში (ათასი ტონა)

პროდუქცია	1990	1995	2003	2012	2014	2019	2020	2024	2024 წელი 1990 წლის მიმართ +/-
ხორბალი	257,7	76,6	225,4	80,7	47,5	100,6	102,4	149,1	-108,6
სიმინდის მარცვალი	270,2	386,5	461,9	267,0	291,6	207,1	255,0	211,5	-58,7
კარტოფილი	293,8	353,3	425,2	252,0	215,3	194,7	208,6	221,5	-72,3
ბოსტნეული	443,2	428,3	430,1	198,5	153,6	161,1	176,1	134,4	-308,8
ბალჩეული	38,8	12,9	125,0	36,7	86,1	79,9	83,6	41,5	+2,7
ხილი	591,2	383,9	260,0	157,9	210,8	502,2	228,6	243,6	-347,6
ყურძენი	691,0	422,4	200,0	144,0	172,6	293,8	316,9	320,7	-370,3
ციტრუსები	283,1	118,0	40,0	77,0	69,8	64,0	56,8	552	+268,9
ჩაის ფოთოლი	501,7	38,5	24,0	2,6	1,8	2,0	2,4	2,6	-499,1
თხილი				24,7	33,8	24,0	32,7	-	-

წყარო: „საქსტატი“

ცხრილი 7. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები 1990-2024 წლებში (ათასი ტონა)

პროდუქცია	1990	1995	2003	2012	2014	2019	2024	2024 წელი 1990 წლის მიმართ +/-
ხორცი (დაკლულ წონაში, ათასი ტონა)	170,3	115,4	108,9	42,6	87,9	69,5	88,7	-81,6
რძე (მლნ ლიტრი)	659,4	475,4	765,1	589,5	555,3	561,8	574,4	-85,0
კვერცხი (მლნ ცალი)	769,2	269,4	458,1	474,0	634,8	661,2	673,1	-96,1
მატყელი (ათასი ტონა)	6,2	3,1	2,0	1,6	1,9	1,8	1,9	-4,3

წყარო: „საქსტატი“

ცხრილი 8. პირუტყვის, ფრინველის სულადობა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში (წლის ბოლოსათვის, ათასი სული)

სულადობა	1990	1995	2000	2003	2014	2017	2020	2024	2024 წელი 1990 წლის მიმართ +/-
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1298,3	973,6	1177,4	1242,5	970	909,7	925,8	811,5	-486,8
მ.შ. ფური და კამეჩი	551,7	531,3	646,3	728,0	563,0	477,4	450,8	404,3	-147,4
ღორი	880,2	352,6	443,4	473,8	169,7	150,7	165,7	138,4	-741,8
ცხვარი და თხა	1618,1	724,8	627,6	722,2	919,6	907,0	869,5	744	-874,1
ფრინველი (მლნ ფრთა)	21,8	13,8	7,8	8,9	6,7	8,4	10146	8,047	-13,75
ფუტკრის ოჯახი (ათასი სკა)	182	149	175	180,3	190,7	240,6	228,5	174,8	-7,2

წყარო: „საქსტატი“

მინათმონყობა (როგორც სისტემა) ფაქტობრივად, არ არსებობს და ახლა ყალიბდება. სამინისტროებს შორის ფუქნეციები რაციონალურად არ არის გადანაწილებული. არ არსებობს ობიექტური ინფორმაცია მინის (ნიადაგის) დეგრადაციის შესახებ (გაუდაბნობა, ეროზია, დამარილიანება, გაჭუჭყიანება, მეორადი დაჭაობება და სხვა.) სრულყოფილად არ წარმოებს მინის (ნიადაგის) დეგრადაციის მიზეზების შესწავლა (დადგენა). 90-იან წლებში სპონტანურად დაიწყო და დაჩქარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დეგრადაციის პროცესი. სოფლის მეურნეობა სისტემურმა კრიზისმა მოიცვა და ქართული სოფლის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ფენომენის სტერეოტიპის მსხვრევა გამოიწვია. უხეში მეთოდოლოგიური შეცდომებიც იყო დაშვებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის გარდაქმნების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში. „რეფორმებს“ კომპლექსური ხასიათი, ერთიანი მეთოდოლოგია არ ჰქონდა (დღესაც არა აქვს). მეთოდურად დამკვიდრდა აზრი, რომ სახელმწიფო ტრანსფორმაციის პროცესში აქტიურად არ უნდა ჩართულიყო („ვაშინგტონის კონსესუსი და მისი დოქტრინა „შოკური თერაპია“) და ამით გაეხსნა გზა განუკითხაობას, კერძო ინტერესების უკონტროლო თარეშს.

- ასეთ პირობებში ჩამოყალიბებულმა სახელმწიფოს ეკონომიკურმა (აგრარულმა) პოლიტიკამ დროის გამოწვევებს ვერ გაუძლო და მივიღეთ სოციალურად პოლარიზებული საზოგადოება და სუსტ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც მნიშვნელოვან წილად წვრილ, ძირითადად არარენტაბელურ საოჯახო მეურნეობებს მოიცავს.

2. თანამედროვე პირობებში მინის (ბუნებრივი რესურსის) წარმოების ძირითადი ფაქტორის - მეურნეობრიობის ობიექტის როლი მნიშვნელოვნად იზრდება.

- მინის რესურსების რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებაზე დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის კომპლექსური განვითარების ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ამიტომ საჭიროა სახელმწიფომ (მთავრობამ) შეიმუშავოს მინის ისეთი პოლიტიკა, მინის რესურსების მართვის ისეთი ეფექტიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მინის რესურსული პოტენციალის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების დაჩქარების ძირითად ფაქტორად გამოყენებას. ეს გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას (სასურსათო უზრუნველყოფის მყარი საფუძვლის მომზადებას), სა-

სარგებლო ნიაღისეულის რესურსების თანამედროვე ტექნოლოგიებით მოპოვებას და გადამუშავებას (მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებას), სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებას და გადამუშავებას (კვების, მსუბუქი მრეწველობის, ფარმაცევტული და სხვა შესაბამისი დარგების განვითარებას), რეკრეაციული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას (ტურიზმის, საკურორტო მეურნეობის განვითარება) საცხოვრისი სივრცის გაჯანსაღება, მიწის, როგორც გეოეკონომიკური ფაქტორის მიზნობრივად (სტრატეგიის შესაბამისად) გამოყენებას, როგორც ტერიტორიის (მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების) სასაზღვრო ნაწილის (სახელმწიფო საზღვრის) საკუთარი ინტერესებისათვის ეფექტიან გამოყენებას და ა.შ.

– მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და მის დაცვაზე არსებითად დამოკიდებული ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპები, არსებული ეკოლოგიური სისტემების შენარჩუნება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდი მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების წინაპირობების შექმნას. ამ მიზნით აუცილებელია ხელისუფლებას გააჩნდეს მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რასაც საფუძვლად დაედება ქვეყნის მიწის (როგორც ბუნებრივი რესურსის, წარმოების ფაქტორის, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, სივრცობრივი ბაზისის, უძრავი ქონების ობიექტის) რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოყენების სისტემური ანალიზი და შეფასება.

– მიწის რესურსების (სახელმწიფო ფონდის) ეფექტიანად გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების მრავალმხრივი პროცესი პროგრამულ მართვას (რეგულირებას) საჭიროებს. ამიტომ მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, როგორც რეგულირების მთავარი ინსტრუმენტი, ეფექტიანად უნდა გამოიყენებოდეს.

– იმის გათვალისწინებით, რომ მიწის ეფექტიანობის ამაღლება ზოგადსაკაცობრიოსთან ერთად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რომელზეც დამოკიდებულია არა მხოლოდ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება, არამედ ეროვნული საბაზრო ეკონომიკის ახალი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაც, აუცილებელია დაჩქარდეს მიწის რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის, ორგანიზაციულ-მართველობითი სისტემის, ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების პროცესი.

– პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ეკონომიკაში რთული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სუბიექტის და მიწის რესურსების მესაკუთრის მაორგანიზებელი (ექსკლუზიური) როლის (ფუნქციების) სწორად განსაზღვრას. მითები იმის შესახებ, რომ ბაზარი თითონ გადაწყვეტდა ეკონომიკის ეფექტიანობის საკითხებს დაიმსხვრა. ეკონომიკაში, მით უფრო მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში

ეფექტიანი საბაზრო მექანიზმების დამკვიდრებას სახელმწიფოს მრავალმხრივი მხარდაჭერა სჭირდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო – კერძო სექტორისა და სახელმწიფო – მეცნიერების პარტნიორობას.

3. მიწის რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების დამოკიდებულება მიწათმონყობის სისტემაზე

– ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპის თავისებურებებით განისაზღვრებოდა მიწათმონყობის პრინციპები, მეთოდები, ფუნქციები. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში, ისე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, წარმოიქმნა ახალი ტიპის (საბაზრო პრინციპებზე) მიწათმონყობის აუცილებლობა.

– XX საუკუნის 90-იანი წლებიდან თვისებრივად შეიცვალა მიწის რესურსების მართვის პრინციპები, მიწაზე საკუთრების ფორმაც. ახლებურად დაისვა მიწათმონყობის ამოცანებიც. მიწის რეფორმის წარმატებლად (მოუმზადებლად) ჩატარებამ მრავალი ახალი პრობლემა წარმოშვა. პირველ რიგში აღსანიშნავია მიწის ფართობების ფრაგმენტაცია. გაუარესდა მრავალნაკვეთიანობისა და შორსმინიანობის მაჩვენებლებიც, 1700 კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციის ბაზაზე შეიქმნა 642 ათასი (2014 წლის აღწერით) მეურნეობა. ამათგან 98,2%-ს წვრილი მეურნეობები შეადგენენ, რომელთა საშუალო შიდასამეურნეო ფართობი 1,22 ჰა. 77%-ს ერთ ჰექტრამდე მიწის ფართობი ჰქონდა. რეფორმის შედეგად ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა გზებმა, ღობეებმა.

– განადგურდა მიწათმონყობასთან დაკავშირებული უნიკალური შინაარსის და ინფორმაციის მატარებელი დოკუმენტები, გაუქმდა მიწის მართვის შესაბამისი სამსახურები, საპროექტო ინსტიტუტი, კვლევითი ლაბორატორიები, გაიფანტა კადრები, შეიქმნა სრული განუკითხაობის გარემო. ქვეყანა მიწათმონყობის ორგანიზაციული სისტემის გარეშე დარჩა.

– ადრინდელი მეურნეობების დაშლის შემდეგ, აუცილებელი ხდება სოფლებისა და დასახლებების საზღვრების დადგენა, სასაზღვრო დაგების გადაწყვეტა, მიწის ნაკვეთების რაოდენობა, არასრული ინფორმაციით არა ნაკლებ – 3-3,5 მილიონს შეადგენს, რომელსაც შესაბამისი დოკუმენტის შედგენა სჭირდება. ფაქტობრივად თავიდან უნდა დავიწყოთ სამიწათმონყობო სამუშაოები.

– ახალი გამოწვევების შესაბამისად უნდა შეიქმნას მიწათმონყობის ერთიანი სისტემა. ეს რთული ამოცანა მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს, კერძოდ, საკანონმდებლო ბაზის, მართვის ორგანიზაციული სისტემის, ეკონომიკური მექანიზმის ახალ პრინციპებზე ფორმირებას. გასათვალისწინებელია ის, რომ მიწათმონყობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების პლურალიზმის პირობებში, თანაც, როცა წვრილ ოჯახურ მეურნეობებშია კონცენტრირებული მიწის ფართობები (მწვავედ დადგა მათი კონსოლიდაციის საკითხი), სოფლების, მუნიციპა-

ლიტეტიების, ფიზიკური და იურიდიული პირების ტერიტორიების, განსაკუთრებით სახელმწიფოს საზღვრების პრობლემა არ არის მოგვარებული. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის თავისებურებაც, რომ მინათმონყობა საჭიროა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში, არამედ თითოეულმა მინათმოსარგებლემ ფიზიკური პირიდან დანყებული, დამთავრებული სახელმწიფოთი, უნდა იცოდეს მინის რა რესურსებს ფლობს, როგორია მინის ფართობის სამეურნეო შესაძლებლობათა ძირითადი მახასიათებლები. ეს ყველაფერი საჭიროა იმისათვის, რომ მომავალში მაინც ობიექტურად განისაზღვროს მინის ეფექტიანად გამოყენების პერსპექტივა. **მინათმონყობის ობიექტი უნდა იყოს ქვეყნის მინის ფონდი**, ეს გულისხმობს იმას, რომ მინათმონყობის სამუშაოებს მრავალფუნქციური მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, მინის ფართობის არსებული მდგომარეობის შეფასება, მათი რაციონალურად გამოყენების მიზნით ღონისძიებათა შემუშავება, მინის კანონმდებლობის დაცვის პირობების შექმნა, მინის დაცვის ღონისძიებათა განხორციელება, მინის ბაზრის გონივრული, ეფექტიანი ფორმირება-ფუნქციონირება და სხვა. განსაკუთრებით იზრდება ტერიტორიული (სამეურნეობათაშორისი) მონყობის მნიშვნელობა. გადასანყვეტია მინის კონსოლიდაციის პრობლემაც. სირთულეებთან არის დაკავშირებული შიდასამეურნეო მინათმონყობაც, რომელიც ტარდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ფონდის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მიზნით.

– **განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მინის ნაკვეთების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციას, რაც გულისხმობს ახალი მინების ათვისებას, მინების აღდგენას და კონსერვაციას, დარღვეული მინების რეკულტივაციას, ეროზიის სანინაალმდეგო ღონისძიებათა დანერგვას, დაჭაობებული მინების დაშრობას, მინების გასარწყავებას, დატერასებას, განმარჩილებას, დაბალინტენსიური მინის სავარგულების მაღალ ინტენსიურში გადაყვანას, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიზანშეწონილად გადაადგილებას და სხვ.**

– “მინათმონყობის” თანამედროვე ინტერპრეტაცია მოცემულია გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის გამოკვლევაში „ევროპაში მინის რესურსების მართვა, განვითარების ტენდენცია და ძირითადი პრინციპები“, სადაც ნათქვამია, რომ ტერმინი „მინათმონყობა“ გამოიყენება იმ პროცესების აღწერისათვის, რომელთა მეშვეობით მინის მატერიალური რესურსები კარგ მდგომარეობაში მოდის იმისდა მიუხედავად, არის თუ არა მინა სახელმწიფოს, იურიდიული თუ კერძო პირის საკუთრება. იგი მოიცავს საქმიანობის ყველა სახეს, რომლებიც დაკავშირებული არის მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან, მინათმოქმედების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, უძრავი ქონების ობიექტების რაციონალურად გამოყენების და ფლობის ორგანიზაციის, ასევე ქალაქებისა და სოფლების ტერიტორიული დაგეგმვის ჩათვლით. იგი მოიცავს კომუნალური ობიექტებისა და კომუნიკაციების მშენებლობას და მართვას, მინის რესურსების რაციონალურ გამოყენებას (მაგალითად, სატყეო მეურნეობა,

ნიადაგის რაციონალური გამოყენება, ანუ სოფლის მეურნეობა), მინის გამოყენების სფეროში პოლიტიკის რეალიზაციას, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და მონიტორინგს, იმ საქმიანობას, რომელიც მინის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს. **მინის რესურსების მართვა – ინფრასტრუქტურის ნაწილია, რომელიც მხარს უჭერს ეფექტიან მინათმონყობას და განიხილება, არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც მიზნის მიღწევის საშუალება.**

– **მინათმონყობის არა როგორც თვითმიზნის, არამედ მიზნის მიღწევის საშუალების ზემოთ აღნიშნულ განსაზღვრას პრინციპული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.** ახლა მთავარია გლობალურ სივრცეში მინათმოსარგებლობის ტენდენციათა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად სწორად განისაზღვროს მიზანი, ამოცანები, მართვის მექანიზმი, ტექნოლოგიები. ამოსავალი აქ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინების პოტენციალის (ინტენსიურთან ერთად ექსტენსიური ათვისება) რაციონალური გამოყენება, რაც უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მინის ნაყოფიერების მიზნობრივად ამაღლებას. ამიტომ მომავალშიც უნდა დარჩეს მთავარ პრინციპად მინათმონყობის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ხასიათი, სოციალურ ეკონომიკური შინაარსის კონკრეტულ რეალობასთან (დინამიკასთან) ადაპტირების პრინციპი. მინა, როგორც ბუნებრივი ეროვნული სიმდიდრე, წარმოების საშუალება, მრავალფუნქციონალურობით ემსახურება ადამიანს, მის კეთილდღეობას. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მინათმონყობა, როგორც პროცესი (მეთოდი) სისტემატიურად სრულყოფას, ფუნქციების გამრავალფეროვნებას, გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესებზე ზემოქმედების მობილური მექანიზმების (ადაპტირების) გამოყენებას საჭიროებს.

– ამრიგად, „მინათმონყობა“ – კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც ზემოქმედების სხვადასხვა ბერკეტების (ინსტრუმენტების) გამოყენებით ემსახურება მთავარ მიზანს – მინის რესურსების რაციონალურად გამოყენებას და დაცვას, რაც არა მხოლოდ სასურსათო უზრუნველყოფის მყარ გარანტიებს ქმნის, არამედ ამასთან ერთად ხელს უწყობს ყველა სფეროში მინის, როგორც წარმოების ფაქტორის ეფექტიანად გამოყენების საფუძველზე მომიჯნავე დარგების განვითარებას, საბოლოოდ, შრომის დანაწილების პროცესის გაღრმავებას.

– **მინათმონყობა, როგორც მინის მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩამოყალიბებული სამართლებრივი, ეკონომიკური, საინჟინრო-ტექნიკური და სხვა სახის სამუშაოთა თანმიმდევრულად ერთმანეთთან დაკავშირებული (ინტეგრირებული) სისტემა, ქვეყნის მინის რესურსების (სახელმწიფო ფონდის) მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენების მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც სახელმწიფოს აძლევს საშუალებას უზრუნველყოს მინის რესურსების ინტეგრირებული მართვა და დაცვა. ამიტომ, რომ თანამედროვე პირობებში მინათმონყობა სახელმწიფო მართვის მეთოდად (ინსტრუმენ-**

ნტად) არის აღიარებული და სახელმწიფო პოლიტიკით ხორციელდება. მისი როლი განსაკუთრებით დიდია დღეს საქართველოში, სადაც ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გარდამავალი პერიოდი გახანგრძლივდა, ადრინდელი და ახალი პრობლემები რთულ კვანძებად ჩამოყალიბდა და ფაქტობრივად ამოქმედებული არ არის მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამალღების არსებული ფაქტორები. მიწათმონყობის ახალი სახელმწიფო პოლიტიკის ამოცანებია:

– საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივ - სანარმოო თავისებურებათა გათვალისწინებით მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის მდგომარეობის შესწავლა, შესაბამისი პროგრამების და მიწათმონყობის გენერალური სქემის შემუშავება; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, მიწის ნაკვეთების საზღვრების გამიჯვნა, მიწათმონყობის პროექტების შედგენა;

– ნიადაგის დაცვის, დაზიანებული მიწების, ახალი მიწების ათვისების, ნიადაგის შენახვისა და ნაყოფიერების ამალღების მიზნით შესაბამისი პროექტების დამუშავება;

– ქალაქის, დაბის, სოფლის დასახლებების საზღვრების დაზუსტება;

– ტოპოგრაფიულ-გეოდეზური, კარტოგრაფიული, ნიადაგობრივი, აგროქიმიური და სხვა გამოკვლევების ჩატარება, მიწის რესურსების გამოყენების მდგომარეობის შესახებ თემატური რუკებისა და ატლასების შედგენა; მიწის რესურსების ინვენტარიზაციის - მიწის კადასტრის ჩატარება და სხვ;

– სამიწათმონყობო საქმიანობა უნდა განხორციელდეს ყველა სახის მიწის რესურსის მიმართ; დასახლებული და მათთან დაკავშირებული სპეციფიკური ამოცანების, რომლებიც სამუშაოების შესრულების პროცესში წამოიჭრება, განხორციელება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად მოხერხდება თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაცია. ეს არსებითად დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პროგრამაზე, სამუხაროდ, ასეთი პროგრამა სახელმწიფოს არ აქვს.

– მსოფლიო გამოცდილება, მათ შორის ჩვენი ქვეყნის გამოცდილებაც, ადასტურებს, რომ მიწათმონყობა, როგორც მიწის რესურსების სახელმწიფო მართვის ფუნქცია (მეთოდი) უნდა განხორციელდეს შესაბამისი კანონმდებლობით. განვლილ პერიოდში ვერ მოხერხდა საქართველოში „მიწის კოდექსის“ მიღება, ასევე არ გვაქვს კანონი „მიწათმონყობის“ შესახებ, მიწის კადასტრიც არ არის შედგენილი.

4. მიწის კოდექსი – მიწის რესურსული პოტენციალის მართვის ინსტრუმენტი

– პრინციპული მნიშვნელობა აქვს მიწის კანონმდებლობის (კოდექსის) მიზნებისა და ამოცანების ახლებურად (განვითარების ამჟამინდელი ეტაპის თავისებურებების გათვალისწინებით) გაცნობიერებას. იგი უნდა შეესაბამებოდეს - სახელმწიფოებრივ სტრატეგიულ

ინტერესებს. განვლილი პერიოდის ანალიზის ფონზე სწორად მიგვაჩნია კოდექსში აისახოს ფუძემდებლური პრინციპები, რომელთა დაცვა სავალდებულო უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიაზე. ასეთია:

– მიწა საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა - მისი არსებობის საფუძველი, რომლის დაცვა, მიზნობრივი (რაციონალური) გამოყენება და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება (გადაცემა) სახელმწიფოს, საზოგადოების და მიწის მფლობელების მოვალეობაა.

– მიწის გამოყენება და დაცვა კომპლექსური (სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული, ეკოლოგიური და ა.შ.) ღონისძიებებით საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონული მიზნობრივი პროგრამებით ხორციელდება და ეფუძნება სასოფლო-სამეურნეო დარაიონების (ტერიტორიის დაყოფა ბუნებრივ-სანარმოო პირობების მიხედვით) პრინციპს.

– მიწის კოდექსით უნდა განისაზღვროს ქვეყანაში ეკოლოგიური უსაფრთხოების (მდგრადი განვითარების) პრინციპების დაცვის სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული მიმართულებები, მიწაზე საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალი ფორმის თანაბარუფლებიანი განვითარების პრინციპები, მესაკუთრეთა უფლებები, მიწის კატეგორიებისა და სახეების შეცვლის პირობები.

– მიწის კოდექსში უნდა ჩაინეროს, რომ საქართველოში მიწაზე საკუთრების ფორმებია: კერძო, სახელმწიფო, სათემო (არა მხოლოდ მთის ზონისათვის), საეკლესიო და განისაზღვროს მათთვის ფუნქციონირების თანაბარი პირობებიც (სამართლებრივი, ეკონომიკური). ამასთან უნდა გაცხადდეს, რომ მიწაზე საკუთრება არა მხოლოდ უფლებას გამოხატავს, არამედ ვალდებულებასაც. ეს მიდგომა მკაფიოდ დაფიქსირდა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროექტის საჯარო განხილვისას (2019 წელი).

– კოდექსში განისაზღვროს, რომ მიწის სახელმწიფო მონიტორინგი და კონტროლი მოიცავს ყველა კატეგორიის მიწას (მიუხედავად საკუთრების ფორმებისა), მასზე დაკვირვებას, შეფასებას, პროგნოზირებას იმ მიზნით, რომ მოპოვებული იქნას ობიექტური ინფორმაცია მიწის მდგომარეობის შესახებ, სტრატეგიულ დაგეგმვას, რომ გათვალისწინებულ იქნას მიწის, როგორც ინტეგრირებული სისტემის თავისებურებანი და კომპლექსურად განისაზღვროს მისი რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების ხელშემწყობი გარემო. დაიხვეწოს და ჩამოყალიბდეს მიწის გამოყენებისა და დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების, რეგულაციებისა და პრინციპების დარღვევების სანააღმდეგოდ განსახორციელებელი კონტროლის პირობები და წესები. როგორც წესი, მიწის მონიტორინგთან და კონტროლთან დაკავშირებული ღონისძიებები და ხარჯები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ. მიწის რაციონალურად გამოყენების პრიორიტეტები.

– საქართველოში, რომელიც მცირემიწიანია და ბუნებრივ-სანარმოო პირობებით განსხვავებულ ტერიტორიებს მოიცავს (დაქუცმაცებული ნაკვეთები, ვერტიკალური ზონალობა, ნიადაგის მრავალფეროვნება,

წარმოების პროცესების მექანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობანი და ა.შ.) უპირატესობა უნდა მიეცეს მინის რესურსების სასოფლო-სამეურნეო გამოყენებას, რაც განპირობებულია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ინტერესებით.

– მინის კოდექსში უნდა აისახოს მინის კატეგორიების (სახეების) ცვლილებების ორგანიზაციულ-სამართლებრივი რეგულირების მექანიზმიც. უკანასკნელი წლების ნეგატიური გამოცდილება გვარწმუნებს იმაში, რომ ეს საკითხი ქვეყანაში უნდა გადაწყდეს ცენტრალიზებულად (შესაბამის სახელმწიფო ინსტანციას უნდა დაეკისროს საბოლოო გადაწყვეტილების, განსაკუთრებით ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, მიწების ფუნქცია).

– კოდექსში შესაძლებელია განისაზღვროს მინის ფართობის ზომის (შეზღუდვის) საკითხიც. ასეთი გამოცდილება აქვს ბევრ განვითარებულ ქვეყანას.

– მინის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციაში სამართლებრივად უნდა განისაზღვროს მინის რესურსების სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი. სამართლებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების ობიექტს წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მინის ყველა ფართობი. ამიტომ ყველა კატეგორიისა და სახეების მიწების სახელმწიფო რეგულირების სისტემა ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს.

5. მინის კადასტრი – მხოლოდ დაბეგვრის ფუნქციას არ ასრულებს

– მინის რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელია მინის შესახებ სრული და ყოვლისმომცველი მონაცემების სისტემატიზებული კრებულის არსებობა. ასეთად აღიარებულია მინის კადასტრი. მისი ფუნქციები მრავალფეროვნებით ხასიათდება, დანყებული ფისკალური ფუნქციით და თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში მინის დაცვისა და რეგონული გამოყენების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის როლით. კადასტრი მრავალმიზნობრივია და ემსახურება მინის რესურსების სტრატეგიული მართვის ამოცანას. აქედან გამომდინარეობს კადასტრის მონაცემთა ბაზის ისეთი მახასიათებლების განსაზღვრა, როგორცაა მინის ბუნებრივი მდგომარეობის აღრიცხვა, მინის სამეურნეო დანიშნულება (ადგილმდებარეობა, კონფიგურაცია, ნაკვეთების ზომა, სახეებისა და გამოყენების სამართლებრივი ფორმა, მიზნობრივი დანიშნულება და ა.შ.), მინის ეკოლოგიური მდგომარეობა, მინის ეკონომიკური შეფასება. ძირითადად ამ მონაცემების ერთობლიობით განისაზღვრება მინის კადასტრი, რომლის საბოლოო დანიშნულება უნდა იყოს მინის რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება, დაცვა, მესაკუთრეთა და მინის მოსარგებლეთა უფლებების დაცვა.

– მეურნეობრიობის სისტემაში მინა, როგორც მართვის ობიექტი წარმოშობს მისი რესურსების გამოიჯვნის, გადანაწილების, რეგულირებისა და დაცვის პრობლემებს. ამიტომ კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩამოყალიბდა მინის კადასტრი,

რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ-რესურსული კადასტრების ერთ-ერთ სახეს, იგი განსხვავდება სხვა სახის კადასტრებისაგან, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მინა წარმოადგენს მატერიალური კეთილდღეობის წყაროსთან ერთად წარმოების სპეციფიკურ საშუალებას, გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში ასრულებს სივრცობრივი ბაზისის ფუნქციას, ხოლო მომპოვებელ მრეწველობაში შრომის საგნის ფუნქციასაც. მინა სოფლის მეურნეობაში ასრულებს შრომის საგნისა და შრომის იარაღის ფუნქციასაც. მინა ასევე სივრცობრივად შეზღუდულია, აქვს სპეციფიკური თვისებაც - ნაყოფიერება, რომელზეც არის დამოკიდებული მცენარეთა ზრდა-განვითარება. მინა გამოყენების თვალსაზრისით მრავალმხრივობით გამოირჩევა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, როგორც თავისებურება, მოითხოვს მინის, როგორც ობიექტის შესახებ სათანადო მონაცემების არსებობას, ე.ი. მინის კადასტრის შედგენას.

– საქართველოში საბაზრო ეკონომიკურ ურთერთობებზე გადასვლის პრაქტიკა (გამოცდილება) გვიჩვენებს, რომ მინის კადასტრი თავისი შინაარსითა და დანიშნულებით არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ დაბეგვრის ობიექტის მნიშვნელობამდე. რატომ? მინა მისი მრავალმხრივი თვისებების გამო ესკლუზიურ ფუნქციას ასრულებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია დოვლათის წარმოების უმთავრესი პირობის ფუნქცია. ამიტომ, მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ მინის კადასტრის დანიშნულებაა მინის რესურსების ეფექტიანი და რაციონალური გამოყენება (მოიცავს ზუსტ აღრიცხვას, ოპტიმალურ მიწათმონყობას, მინაზე სამეურნეო საქმიანობის ობიექტურ შეფასებას, კომპლექსურ დაგეგმვას და ა.შ.). ეს ნიშნავს, რომ კადასტრი მრავალმიზნობრივია და ეფუძნება მინის რესურსების სტრატეგიული განვითარების სამართლებრივი, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ორგანიზაციული ასპექტების ყოველმხრივ გათვალისწინებას. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს მინის კადასტრის ასეთი გაგებიდან გამომდინარეობს მისი მონაცემთა ბაზის ისეთი მახასიათებლების განსაზღვრა, როგორცაა: მინის ბუნებრივი მდგომარეობის აღრიცხვა (იგულისხმება ბიოკლიმატური პოტენციალი, ნიადაგის საფარი, რელიეფი, მცენარეული საფარი, მინის სახეები); მინის სამეურნეო დანიშნულება (ადგილმდებარეობა, კონფიგურაცია, ნაკვეთების ზომა, სახეებისა და გამოყენების სამართლებრივი ფორმა, მიზნობრივი დანიშნულება და ა.შ.), მინის ეკოლოგიური მდგომარეობა; მინის ეკონომიკური შეფასება. ძირითადად ამ მონაცემების ერთობლიობით განისაზღვრება მინის კადასტრი, რომლის საბოლოო დანიშნულება უნდა იყოს მინის რესურსების რაციონალური (მიზნობრივი) გამოყენება და დაცვა, მესაკუთრეთა და მინის მოსარგებლეთა უფლებების დაცვა. კადასტრის საკანონმდებლო საფუძველია მინის კოდექსი, რომლის შესაბამისად განისაზღვრება მისი სტრუქტურა (პრინციპები).

– სახელმწიფო მინის კადასტრი უნდა მოიცავდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიას, ხოლო მინაზე უფლებების განხორციელება სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციას, მინის კადასტრთან დაკავშირებული ოპერა-

ციების ხარჯებს, როგორც წესი, სახელმწიფო ეწევა.

– თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებში, მითუფრო გარდამავალ პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მინის კადასტრის როლი. იგი არსებითად ემსახურება შემდეგი ამოცანების გადანყვევტას: ახალი ტიპის საადგილმამულო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებას, მინის რესურსების დაცვას, სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებას, რაციონალურ მიწათმონყობას, სამეურნეო საქმიანობის შეფასებას, მინის ბაზრის განვითარების ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნას, იპოთეკური სისტემის ჩამოყალიბებას და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება მინის კადასტრის მიმართ ახალ მოთხოვნებს აყალიბებს, კადასტრის ფორმირების (გამოყენების) ძირითად პრინციპად აღიარებულია კადასტრის სისტემის ერთიანობა, მონაცემების ობიექტურობა, ინფორმაციის სისრულე. კადასტრი, როგორც აღინიშნა, მოიცავს სახელმწიფო მინის ფონდის ყველა მინას, კადასტრის ყველა შემადგენელი ეფუძნება შესაბამის სახელმწიფოებრივ აქტებს. ამასთან მნიშვნელოვანია მინის კადასტრის გამოყენება ცენტრალიზებულად, რაც უზრუნველყოფს, როგორც მეთოდოლოგიურ, ასევე ორგანიზაციულ-მმართველობითი ბაზის ერთიანობას.

– მინის კადასტრის შედგენის პროცესი მოითხოვს რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური და მმართველობითი ღონისძიებათა განხორციელებას. უპირველეს ყოვლის, უნდა განისაზღვროს ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებებისა და კადასტრის შედგენის მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, როგორ მოდელს (კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად) ვანიჭებთ უპირატესობას. ცნობილია, რომ კადასტრის შედგენისას შესასრულებელია კვლევითი სამუშაოები, მინების აზომვა, ნიადაგის და კლიმატის, მათ შორის ეკოლოგიური პირობების შეფასება, მინის ხარისხობრივი დახასიათება, მინის ეკონომიკური შეფასება, საკადასტრო დოკუმენტაციის შედგენა და გაფორმება. გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მინის როლი და ფასი მუდმივად გაიზრდება. ამიტომ სახელმწიფო უნდა ცდილობდეს მინასთან დაკავშირებული ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მოთხოვნები სრულად იყოს გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მინის სწორად აღრიცხვას, რეგისტრაციას და მასზე უფლებების ობიექტურად ჩამოყალიბებას.

6. მინის კონსოლიდაცია – მინის რესურსული პოტენციალის მართვის მეთოდი

– მინის რეფორმის პერიოდში მწვავედ დადგა „მინის კონსოლიდაციის“ პრობლემა. ლიტერატურაში ცნება „მინის კონსოლიდაცია“ განიხილება ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით „მინის კონსოლიდაცია“ – მსხვილი მასივების (მინდვრების) ფორმირებაა სასოფლო-სამეურნეო მიწათმფლობელობასა და მიწათსარგებლობაში სავარგულების სტრუქტურის, შემადგენ-

ლობის, კონფიგურაციის და მინის ნაკვეთების ზომის გაუმჯობესების მიზნით ფართო გაგებით - სოფლის განვითარების ფარგლებში „მინის კონსოლიდაციის“ უფრო ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს კომპლექსური კონსოლიდაცია, რომელიც ითვალისწინებს მინის ნაკვეთების გადანაწილებასთან ერთად ღონისძიებების ფართო სპექტრს, რომლის მიზანია სოფლის განვითარების სტიმულირება. მაგალითად, სოფლის დასახლების აღდგენა, სოფლის გზების მშენებლობა, საირიგაციო-სადრენაჟო ინფრასტრუქტურის შექმნა და ა.შ.

– ეს იმას ნიშნავს, რომ „მინის კონსოლიდაცია“ ფრაგმენტაციის აღმოსაფხვრელად მინის ნაკვეთების გადანაწილებასთან ერთად მოიცავს (გულისხმობს) სხვა მიზნების განხორციელებასაც. ეს კარგად ჩანს ევროპის ქვეყნების მაგალითზე.

– ევროპის ქვეყნებში „მინის კონსოლიდაცია“ გამოიყენება, როგორც ტერიტორიის სამინათმონყობო განვითარების ინსტრუმენტი, ერთდროულად წყვეტს რამდენიმე პრობლემას: ფერმების (სასოფლო-სამეურნეო წარმოება) კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, გარემოს დაცვას, ლანდშაფტის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და სოფლად ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

– მინის კონსოლიდაციის მსოფლიოში ჩამოყალიბებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იგი მრავალმიზნობრივი გახდა. ადრინდელი მიზნიდან - სოფლის მეურნეობის განვითარება - გადავიდა მრავალმიზნობრივი ფუნქციების შესრულებაზე, ე.ი. სოფლის მეურნეობის მიზანი ფაქტობრივად ინტეგრირებულია რეგიონების ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის, საირიგაციო და სხვა სამუშაოების მიზნებთან. ამრიგად, მინის კონსოლიდაცია, როგორც ტექნოლოგიური პროცესი, კომპლექსურად უნდა იყოს გამოყენებული დაქუცმაცებული ტერიტორიების ეფექტიანად გამოყენებისათვის, რათა იგი რაციონალურად იქნეს ათვისებული ერთდროულად სხვადასხვა მიზნის განხორციელებისათვის.

– საქართველოს შემთხვევაში კონსოლიდაცია მინის დაქუცმაცების აღმოფხვრის მიზანთან ერთად მთელი ტერიტორიის მრავალფუნქციური გამოყენების ხელსაყრელი პირობების მომზადებას უნდა ემსახურობდეს.

– მინის ზემოთ აღნიშნული თავისებურებებისა და მინის რესურსების რაციონალურად გამოყენების ამოცანების გადანყვევტის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაბამისი რეკომენდაციებისა და საჭირო ღონისძიებათა სისტემის (გეგმის) ფორმირებისათვის აუცილებელია მინის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ გვექონდეს ობიექტური ინფორმაცია. რატომ არა გვაქვს მინის ბალანსი?

– საქართველოში მინის ბალანსის შედგენისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის აღრიცხვის წესით (საქართველოს მთავრობის დადგენილება N166, 2021 წლის 8.04) მინის ბალანსი-მინის ფონდის უფლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ნაერთი სტატისტიკური ინფორმაციაა.

– ქვეყანაში მიწის ბალანსის შედგენასა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვას ახდენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი- მიწის მდგრადი მართვისა და **მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო**. იგი ბალანსს ადგენს საჯარო რეესტრში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, წყლის ფონდის, საავტომობილო გზებისა და რკინიგზის ელექტროგადამცემი ხაზების, ნავთობსადენების და კავშირგაბმულობის სისტემების მმართველობით სტრუქტურებში, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებში, უწყებებში არსებული მიწათსარგებლობის მასალებში და სხვა ნებისმიერ შესაბამის დოკუმენტებში, მათ შორის საარქივო მასალებში არსებული მონაცემების საფუძველზე. სააგენტოს ევალება მასალების შესწავლა, ანალიზი, ურთიერთ შედარება, მათი დაზუსტება და მონაცემთა შესაბამისი ელექტრონულ ბაზაში ასახვა. ზემოთ განსაზღვრული ორგანიზაციები (პირები) ვალდებული არიან სააგენტოს მიანოდონ მათთან არსებული დოკუმენტები (მათ შორის ელექტრონული). იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება შესაბამისი მონაცემების მოპოვება, სააგენტოს ევალება უზრუნველყოს მონაცემების შექმნა სხვა პრაქტიკული მეთოდების გამოყენებით. დამტკიცებულია მიწის ბალანსის მონაცემთა შემადგენლობა.

– **რატომ ყოვნდება მიწის ბალანსის შედგენა, რა უშლის ხელს მიწის რესურსების აღრიცხვის მონესრიგებას? შესაბამისი, ე.ი. სანდო ინფორმაციების (წყაროების) არ არსებობა, რომელსაც საყოველთაოდ ცნობილი მიზეზები განაპირობებს.** კერძოდ, მიწის რეფორმის ნეგატიურ შედეგებს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხრივ ობიექტური შეფასება არ მოჰყოლია, მიწის კადასტრი არ ჩატარებულა და შესაბამისად სტატისტიკის უწყვეტი წარმოების პრაქტიკა არ დამკვიდრებულა. ამიტომ, რომ 2005 წლიდან მიწის ბალანსის წარმოება შეწყდა და **ეროვნული სიმდიდრის განუყოფელი და არსებითად განმსაზღვრელი ნაწილი-მიწის რესურსები ფაქტობრივად სისტემური რეგულირების (მართვის) მიღმა დარჩა.**

– მიწის სახელმწიფო ფონდის ინვენტარიზაციის ჩატარება გარდაუვალია.

– რატომ არის საჭირო მიწის (ქვეყნის მიწის ფართობის) სრული ინვენტარიზაცია და მის საფუძველზე მიწათმონყობის (მიწათსარგებლობის) გენერალური სქემის (გეგმის) შედგენა?

– თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოება უნდა დაეფუძნოს განვითარების ინოვაციურ მიდგომას, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების დანერგვას უზრუნველყოფს. ამ საქმეში დიდია მასშტაბის ეფექტის როლთან ერთად მოცემული ტერიტორიის, როგორც ინტეგრირებული სისტემის (ბუნებრივი, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური კომპონენტები) სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა.

– პირველ რიგში საჭიროა სახელმწიფოს ბალანსზე არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების დაზუსტება, სახნავი მიწის პერსპექტიული ფართობების დადგენა, საძოვრების, სათიბების კატეგორიებად (მაღალი ინტენსიური, საშუალო, დაბალი ინტენსიური) დაყოფა, მიწის სახელმწიფო მარაგის შექმნა და სხვ. მიწის ფონდის ინვენტარიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს მიწების კონსოლიდაციის წინაპირობების მომზადებას. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო აღწერის (2004 წ.) მიხედვით მეურნეობების საშუალო ფართობი შეადგენდა 1,22 ჰა-ს. ნაკვეთების საშუალო რაოდენობა – 2,33. მეურნეობების 33,9%-ს ჰქონდა ერთ ნაკვეთიანი ფართობი, 48,8%-ს 2 ან 3 ნაკვეთიანი, 13 %-ს -4 ან 5 ნაკვეთიანი, 3,9%-ს 6 დან 9 ნაკვეთამდე, 0,4%-ს 10 ან მეტი ნაკვეთი.

– მიწის ფონდის ინვენტარიზაციის შედეგები (მონაცემები) საუძვლად უნდა დაედოს მიწის შემდგომ პრივატიზაციასა და იჯარით გაცემას, თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით მიწათმონყობის სქემის შემუშავებას, მიწის რესურსების შესახებ ინფორმაციული ბაზის შექმნას, რომლის საფუძველზე შედგება მუნიციპალიტეტის, როგორც ქვეყნის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური-ეკოლოგიური (მდგრადი) განვითარების გრძელვადიანი (მაგალითად 7-10 წლიანი) პროგრამები. იგულისხმება, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კომპლექსური განვითარება თვითმმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად უნდა იყოს მიჩნეული.

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მიწათმონყობის (მიწათსარგებლობის) სქემა უნდა განვიხილოთ ქვეყნის მიწათმონყობის გენერალური სქემის შემადგენელ ნაწილად. გენერალური სქემის უპირატესობა აშკარაა. იგი ასახავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს, ხელს უწყობს სტრატეგიული ამოცანების გადანყვეტას, დროის გამონვევების ადეკვატური მიდგომებით ტერიტორიის რაციონალურად ათვისების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების როლსა და ადგილს მიწის რაციონალურად გამოყენების საერთო სახელმწიფოებრივ სტრატეგიაში, ავლენს რესურსებს რეგიონული განვითარების დონის გამოთანაბრებისათვის. ასეთი სქემა იძლევა საფუძველს რესურსების კონცენტრირებულად (საერთო სახელმწიფოებრივი, რეგიონული, მუნიციპალური ინტერესების გათვალისწინებით) და ორგანიზაციულად (ეტაპობრივად) გამოყენებისათვის. დასახული მიზნების (ამოცანების) განხორციელება მოხდება მიზნობრივი პროგრამებით (გენერალური სქემის ჩარჩო პირობებით ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესაბამისად).

– საბოლოოდ, მუნიციპალიტეტების დონეზე (ადგილობრივი, ბუნებრივ-საწარმოო შრომითი ტრადიციების გათვალისწინებით) ჩატარებული მიწის ფართობების ინვენტარიზაციის შედეგები შექმნის მყარ საფუძველს, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციების (პროგნოზირება, სტრატეგიული დაგეგმვა, წარმოების (შრომის) ორგანიზაცია,

კოორდინაცია და სხვ.) მიზნობრივად და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებისათვის.

– მინათმონყობა უნდა განხორციელდეს კომპლექსური პროექტების მიხედვით, რომლებშიც გასათვალისწინებელია ქვეყნის რეგიონების მუნიციპალიტეტების ბუნებრივ-საანარმოდო პირობები, შრომითი ტრადიციები, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მემკვიდრეობით მინის ნაკვეთის გადაცემის ტრადიცია (ოჯახის წევრებზე მინის მცირე ნაკვეთების გამოყოფა), ასევე ერთ მასივში სხვადასხვა მესაკუთრის ნაკვეთების განლაგების ირიგაციული ან სხვა ღონისძიებათა (ქარსაფრები) განხორციელების თავისებურებები.

– განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მინის კონსოლიდაციის პროექტში აისახოს ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვის, მშენებლობის, კეთილმონყობის (პარკები, სკვერები, ქარსაფარი და სხვ), წყალსაცავების, მაგისტრალური გზების რაციონალურად განლაგების, ტყეების ფართობების შერჩევა-განსაზღვრის ღონისძიებანი. **საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება, რომ კონსოლიდაციის საკითხი მინის ბაზარმა გადაწყვიტოს, საქართველოს დღევანდელ პირობებში მიუღებელია. მინის კონსოლიდაცია საჭიროებს პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეს.** მისი წარმატებულად განხორციელება მოითხოვს სახელმწიფო რეგულირების მოქნილი მექანიზმების გამოყენებას. მინის კონსოლიდაციის პროცესის რეგულირება სახელმწიფოს ვალდებულებად უნდა ვალიართ.

– მიზანშეწონილია მიღებულ იქნას კანონი, „მინათმონყობის შესახებ“. იგი მინის კოდექსისა და მინის სახელმწიფო კადასტრთან ერთად უზრუნველყოფს მინის რესურსების რაციონალურად გამოყენების მყარი საკანონმდებლო ბაზის შექმნას. კანონში სრულად აისახება მინის კონსოლიდაციის, როგორც სამინათმონყობო სამუშაოების ერთ-ერთი სახის როლი და მნიშვნელობა. ასევე უნდა განისაზღვროს ზომები (ღონისძიებანი), რათა თავიდან იქნას აცილებული მინის ნაკვეთების შემდგომი დაქუცმაცება.

7. პროგნოზირება და სტრატეგიული დაგეგმვა – მინის რესურსების (პოტენციალის) მართვის ფუნქცია

– ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია მინის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის როლიც.

– FAO -ს მიერ 1981 წელს მსოფლიო ნიადაგის „ქარტიის მიღების“ და 1992 წელს გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ კონფერენციის ჩატარების შემდეგ მინის რესურსების გამოყენების დაგეგმვა აღიარებულ იქნა მინის რესურსების მდგრადი გამოყენებისა და მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. მინის რესურსების გამოყენებისა და დაგეგმვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძვლად აღიარებულია მინის საფარის სისტემური ანალიზი და შეფასება, რაც განსაზღვრავს მას, თუ რამდენად გამოსადეგია მინა მისი სხვადასხვა ფორმით გამოყენებისათვის, მათ შო-

რის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობას და მინის რესურსების მართვის დონის ამაღლებას.

– მინის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და დაგეგმვის პრინციპებს საფუძვლად უდევს ის თეორიული მახასიათებლები, რომლებიც არის ძირითადი, ნებისმიერი სახის პროგნოზირებისა და გეგმისათვის. ესენია: მეცნიერული დასაბუთების, სისტემურობის და კომპლექსურობის, ერთიანობის, უწყვეტობის, ინფორმატიულობის ეფექტიანობის პრინციპები.

– აღნიშნული პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს მინის რესურსების ისეთი ფუნდამენტური თვისებების გათვალისწინებას, როგორიცაა ეკოლოგიური სისტემის ნაწილი (უნივერსალური ბუნებრივი რესურსი) - წარმოების ფაქტორი (სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, სამთო მრეწველობა) - უძრავი ქონება (რაც ახალია პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის). მინის რესურსების გამოყენების კომპლექსურობა გულისხმობს განვითარების პროცესის ყველა კომპონენტის როლის (ადგილის) და ურთიერთკავშირების (ურთიერთზემოქმედების) მდგომარეობის ახსნას და განვითარებას. ამასთან აღნიშნული პრინციპები გამოიყენება არა ცალ-ცალკე, არამედ როგორც ერთიანი სისტემა. ამიტომ ასეთი მიდგომა იძლევა საშუალებას ობიექტურად შევაფასოთ განვითარების პროცესი და შეიქმნას მინის რესურსების რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობი გარემო. ამიტომ პროგნოზირებისა და დაგეგმვის ფუნქციის წარმატებულად განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რეალობის ადეკვატურად, მოხერხდება რესურსების გამოყენების ანალიზი და შეფასება.

– **სამწუხაროდ, ქვეყანაში მინის რესურსების გამოყენებაში პროგნოზისა და დაგეგმვის, როგორც მართვის ფუნქციის როლი ფაქტობრივად იგნორირებულია**, ამით უნდა აიხსნას ის, რომ გარდაქმნების განვლილი პერიოდი საკმარისი არ აღმოჩნდა მინის რესურსების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ეფექტიანი სისტემის ფორმირებისათვის. **მინის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის, დაგეგმვისა და ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით აუცილებელია:**

– ქვეყნის ტერიტორიის განვითარებისა და მინის რაციონალურად გამოყენების გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრა (რა თქმა უნდა მინის რესურსებზე ყველა დარგის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, მინის კატეგორიების შესაბამისად).

– მინის იმ ფართობების გამოვლენა, რომლებიც პერსპექტივაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში - ათვისება, არსებული გაუმჯობესება, მორწყვა, დაშრობა და სხვ.

– პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტია მინის სახელმწიფო ფონდი. ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს მინის ფონდის ტრანსფორმაციის თავისებურებებისა და ტენდენციების ანალიზი, შეფასება და განვითარების პროგნოზირება სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში (იგულისხმება მინის რესურსებზე მოთხოვნილება

ყველა დარგისა და სამეურნეო საქმიანობის სახეების მიხედვით). ე.ი. პირველ ეტაპზე უნდა შეფასდეს მიწის რესურსების გამოყენების დონე (მისი სამეურნეო, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, ორგანიზაციულ-მმართველობითი ასპექტები) და ამის შესაბამისად პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე პრინციპების (მეთოდების) გამოყენებით გაკეთდება მიწის ფონდის საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით განსაზღვრულ მაჩვენებელთა პროგნოზული გაანგარიშებები.

– პროგრამებში რეალურად უნდა აისახოს ქვეყნის რეგიონული თავისებურებები (ტენდენციები), ამასთან დაკონკრეტდეს მუნიციპალური ასპექტები. დღევანდელი მუნიციპალიტეტები ჩამოყალიბდნენ ადრე არსებული სოფლის ადმინისტრაციული რაიონების ბაზაზე და წარმოადგენენ ქვეყანაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს.

– დაგეგმვისას, როგორც წესი უნდა იქნას დაცული კომპლექსურობა. ამასთან უნდა განისაზღვროს მიწის რესურსების პროგნოზირებისა და დაგეგმვის იერარქიული დონეც. ჩვენი აზრით, იგი უნდა იყოს ორ საფეხურიანი - ცენტრალური და მუნიციპალიტეტების დონე. მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პროგნოზირებისა და დაგეგმვის სამსახური უნდა ფუნქციონირებდეს მიწის მართვის იმ ორგანოში, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებს მიწის სახელმწიფო პოლიტიკას. დღეს ქვეყანაში ასეთ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო.

– გადაწყვეტას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო მიწის რეზერვის (მარაგის) განსაზღვრის საკითხიც. მიწის (ნიადაგის) საფარის ვარგისიანობა უნდა იყოს განხილული შესაბამისი კვლევების და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. მიწის რესურსების მრავალფუნქციური დანიშნულება თავად გულისხმობს მათი გამოყენების შესაძლებლობათა მრავალფეროვნებას, რაც საბოლოოდ იძლევა საშუალებას გაკეთდეს სწორი არჩევანი. დღემდე მიწათსარგებლობაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა (ხდება) სუბიექტური მოსაზრებებით (ცალკეულ შემთხვევებში ვინრო ეკონომიკური ინტერესებით) და არა ეკოლოგიური და სოციალური ტენდენციების გათვალისწინებით. პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ როგორი ნეგატიური შედეგები ახლავს ასეთ მიდგომას. ამიტომ, წინა პლანზე დგას მიწის რესურსული პოტენციალის მიზნობრივი მართვის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბების ამოცანა.

– უნდა დადგინდეს მიწის ის ფართობები, რომლებიც შემდგომში გამოყენებული იქნება სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის. კერძოდ, როგორია მათი გამოყენების დონე, რამდენად სწორად მიეკუთვნება მიწის ამა თუ იმ კატეგორიას. ანალიზს საფუძვლად უნდა დაედოს მიწის ფართობების მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაცია. ამასთან არგუმენტირებული უნდა იყოს მისი გამოყენების მიზანშეწონილობა მათ შორის ეკო-

ლოგიური თვალსაზრისით. ის, რომ პრიორიტეტი ენიჭება მიწის სასოფლო-სამეურნეო ათვისებას არ ნიშნავს იმას, რომ სხვა (არა სასოფლო) ფართობების გამოყენება არ განისაზღვროს მიზნობრივად, მაგალითად, რეკრეაციული რესურსების, მრეწველობის და სხვ. ასეთ მონაცემთა ბაზაზე განისაზღვრება მიწის სახელმწიფო რეზერვიც (მარაგი).

– ბუნებრივი სანარმოო პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით (რომელიც მოითხოვს ნიადაგის დამუშავებას, მისი ნაყოფიერების ამაღლების სხვადასხვა მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას), აუცილებელია რეგიონების მიხედვით მინერალური და ორგანული სასუქების, ასევე პესტიციდების და სხვა საშუალებების გამოყენების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემების ჩამოყალიბება. ამ მიზნით უნდა შემუშავდეს სახელმწიფო პროექტი (პირობითად „ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა სისტემა“), რომლის განხორციელებით შეიქმნება სათანადო გარემო მიწის (ნიადაგის) მიზნობრივად გამოყენების პროცესის სწორად რეგულირებისათვის.

– აუცილებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში შეიქმნას მიწის რესურსული პოტენციალის კვლევის განყოფილება, რომელიც სახელმწიფოს გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად მოამზადებს სათანადო რეკომენდაციებს მიწის რესურსული პოტენციალის გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების საკითხებზე.

– ამჟამად აქტუალურია მიწის რესურსული პოტენციალის მართვის (პროგნოზირება, დაგეგმვა, მიწის ეკონომიკური შეფასება, დაზღვევის ორგანიზაცია, ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირება, საიჯარო ურთიერთობები, კონკურენტუნარიანობა, კვალიფიციური კადრების მომზადება და სხვა) პრობლემების (პროცესების) შესწავლა-ანალიზის საფუძველზე კონკრეტულ სიტუაციებს (ამოცანებს) მისადაგებული ღონისძიებათა სისტემის შემუშავება-განხორციელება.

– მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელია წარმოების სხვა ძირითადი ფაქტორების (შრომა, კაპიტალი, მენარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და სხვ), გამოყენების თავისებურებათა, ურთიერთმოქმედების მექანიზმის სწორად განსაზღვრა და ობიექტურად შეფასება. ეს განპირობებულია იმით, რომ უკანასკნელ წლებში აგრარულ სფეროში წარმოების ძირითადი ფაქტორების გამოყენების პროცესი კოორდინირებულიც არ არის. მაგალითად, კაპიტალი (სანარმოო ფონდები, ფინანსური რესურსები) ყაირათიანად არ გამოიყენება. ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად სამუშაო ძალის გადამზადების სისტემაც არ ფუნქციონირებს. ინტეგრირებული ცოდნა (გამოყენებითი მეცნიერება, ინოვაციური მიდგომები) წარმოების პროცესში კომპლექსურად არ არის ჩართული. ყოველივე ეს განპირობებს იმას, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურ (აგრარულ) პოლიტიკაში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ქვეყნის ბუნებრივ-სანარმოო პოტენციალის ტრანსფორმაციის

თავისებურებანი, რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებული ახალი ტენდენციები.

8. მიწის მართვის ეროვნული სააგენტოს – ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის აუცილებლობა ექსპერტთა აზრით, ამჟამად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სისპო – მიწის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს, უმჯობესია ეწოდოს: მიწის მართვის ეროვნული სააგენტო.

– მიწის სახელმწიფო ფონდის ინვენტარიზაციის (კონსოლიდაციის) ორგანიზებულად ჩატარებისათვის: მიზანშეწონილია შეიქმნას საუნწყებათაშორისო კომისია (საკოორდინაციო ჯგუფი), რომელმაც ინვენტარიზაციის, ასევე კონსოლიდაციის მინათსარგებლობის სქემის შედგენის პროცესის რეგულირებასთან ერთად უნდა უზრუნველყოს მიწის კოდების, მიწის კადასტრის დამუშავების, „მინათმონყობის შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობის კოორდინაცია იმ ვარაუდით, რომ უახლოეს პერიოდში შესაძლებელი იყოს მათი დამტკიცება. აღნიშნული სამუშაოებისათვის არ უნდა გამოვრიცხოთ კონკურსის წესით და საგრანტო პრინციპების საფუძველზე დროებითი კოლექტივების შექმნაც.

– ქვეყანაში მინათმონყობის სამსახური მიზანშეწონილია ფუნქციონირებდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწის მართვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციულ სისტემაში. სააგენტოს უნდა დაეკისროს მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირების, სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის ფუნქციების შესრულება. სააგენტოს მუნიციპალიტეტებში უნდა ჰყავდეს წარმომადგენლობა, რომლებიც მოცემულ ტერიტორიებზე უზრუნველყოფენ, მიწის სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად მათ უფლებამოსილებებს მიკუთვნებულ საქმიანობას და ასევე განახორციელებენ მიწის რესურსების გამოყენების და დაცვის სახელმწიფო მონიტორინგს და კონტროლს.

– მიწის მიზნობრივი გამოყენებისას (სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების, გზების და სხვა მშენებლობები) ნიადაგების ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, დაცვისა და მიზნობრივად გამოყენების, მიწის გამოყენების, დაცვის, სახელმწიფო მონიტორინგისა და კონტროლის, ასევე პირუტყვის გადასარეკი ტრასების (ტერიტორიის) გამოყენებისა და დაცვის ფუნქციები გადაეცეს მიწის ეროვნულ სააგენტოს.

– უნდა შეჩერდეს მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო კატეგორიების შეცვლის ახლანდელი პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების არამიზნობრივად გამოყენების სტიმულირებას. მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო კატეგორიების შეცვლის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება უნდა გადაეცეს მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოს.

– გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტრომ 2030 წლამდე პერიოდისათვის უნდა უზრუნველყოს მიწის ფართობების დეგრადაციის შეჩერების, შემდეგ კი მისი აღმოფხვრის მიზნით მიწის დეგრადაციის (ეროზიის, დაჭაობების, გაუდაბნობის, დაბინძურების და სხვ.) საწინააღმდეგო ღონისძიებათა (ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, სატყეო, მელიორაციული, ჰიდროტექნიკური და ა.შ.) სახელმწიფო პროგრამის შემუშავება.

– მომზადდეს სათანადო ღონისძიებანი (სამართლებრივი, ორგანიზაციული საფუძვლები) უპირველეს ყოვლისა, სოფლის მიმდებარე სათიბ-საძოვრების ფართობების მუნიციპალიტეტებზე უვადო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სათიბ-საძოვრები მართვაში გადაეცეს მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოს.

– მიწის კონსოლიდაციის პროცესის რეგულირების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების მიზნით შეიქმნას მიწის ფონდი (სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე), რომელსაც მიემარება (გადაეცემა) მართვისათვის ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები, ასევე აღიჭურვება უფლებამოსილებით შეისყიდოს მიწის ფართობები (მესაკუთრეებისაგან), ე.ი. იყოს აქტიური სუბიექტი მიწის ბაზარზე. ფონდს დაეკისრება მიწის ფართობების (მათ შორის მიწის სახელმწიფო მარაგების) წესრიგში მოყვანა (გამასივება, გასარწყავება, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება, მიწის რეკულტივაცია, კონსერვაცია და ა.შ.) და შემდგომში გასხვისებისა ან იჯარით გაცემის ფუნქცია. ასეთ პირობებში უფრო შესაძლებელია მიწის რესურსების პოტენციალის მართვაში ეფექტიანად გამოყენებულ იქნას სახელმწიფო პროტექციონიზმის მასტიმულირებელი ფორმები და მეთოდები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ფონდი ფუნქციონირებდეს მიწის მართვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციულ სისტემაში.

– იმის გათვალისწინებით, რომ მიწის რესურსების პოტენციალის მართვა დარგთაშორისი ფუნქციაა, რომლის წარმატებით განხორციელებაზე არსებითადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი განვითარება, საბაზრო პირობებში შრომის დანაწილების წინააღმდეგობრივი პროცესის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვით რეგულირება და მიწის პოტენციალის მართვის მასშტაბების გაფართოება, აუცილებელია მიწის მართვის სააგენტოს ორგანიზაციული სისტემის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფა. ამას განაპირობებს რიგი გარემოებები:

– საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში დაშვებული შეცდომების შედეგად სასოფლო-სამეურნეო წარმოება სისტემური კრიზისის ქრონიკული ფაზისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა ნიშანთვისებებს ამჟღავნებს. განსაკუთრებით ეს აისახა მიწის რესურსების გამოყენებაზე. კერძოდ:

– მიწების ფართობების დიდი ნაწილი არ მუშავდება. თუ 1990 წელს საქართველოში ნათესმა ფართობმა შეადგინა 702 ათასი ჰექტარი, 2024 წელს

-191,5 ათასი. 1990-2024 წლებში სოფლად მოსახლეობა შემცირდა 918 ათასი კაცით. მიწის დეგრადაციის პროცესები ღრმავდება. რეფორმამდელ (1990 წ.) პერიოდთან შედარებით კატასტროფულად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით 1990 წელს საქართველოში წარმოებული იყო 2,7 მლრდ დოლარის ღირებულების პროდუქცია, 2022 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 1,2 მლრდ დოლარი.

– აგრარული რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებული ნეგატიური ტენდენციები საშიშ ხასიათს იღებს, განაპირობებს სასოფლო ტერიტორიების არამდგრადობას, რაც საბოლოოდ სასურსათო უსაფრთხოების რისკებს ზრდის და ქვეყანა არსებითად დამოკიდებული ხდება გარე ფაქტორებზე (იმპორტი, 2024 წელს სურსათის უარყოფითმა სალდომ 1,6 მლრდ დოლარი შეადგინა).

– ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია მიწის რესურსების გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების (როგორც ინტეგრირებული პროცესის) ადმინისტრირების შესაბამისი უფლება-მოვალეობები განესაზღვროს მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოს. მხედველობაში გვაქვს მისი მატერიალური და ორგანიზაციული ბაზის სრულყოფა, საკადრო პოტენციალის განმტკიცება, დარგთაშორისი ფუნქციების შესრულებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს სასოფლო ტერიტორიების განვითარებაში მისი ესკლუზიური როლი. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სასოფლო ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან ერთად მოიცავს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებსაც, რომლებიც დღეს ფაქტობრივად სახელმწიფო რეგულირების მიღმა დარჩენილი. **მიწის ეროვნულ სააგენტოს დღევანდელი ორგანიზაციული სტრუქტურა, ანუ მისი სრულყოფის შესაბამისი ღონისძიებანი არ განხორციელდა. ქვეყნის მიწის რესურსების პოტენციალის მართვის თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტისათვის მასზე თუნდაც ახლა მიწიჭებულ ფუნქციებსაც ვერ შეასრულებს. იგი დღეს მონყვეტილია მართვის ობიექტს - ქვეყნის ტერიტორიაზე (მხარე, მუნიციპალიტეტი) წარმომადგენლობაც არ ჰყავს.**

9. ადგილობრივი მმართველობა – მიწის რესურსული პოტენციალის ეფექტიანი მართვის განმსაზღვრელი ფაქტორი

– ქვეყნის მდგრად განვითარებაში განსაკუთრებული როლს ასრულებენ სასოფლო ტერიტორიები, რომლებიც წარმომადგენენ ერთმანეთთან დაკავშირებული (ინტეგრირებული) ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ელემენტების სისტემას, რომელშიც სისტემა-შემქმნელის როლს ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოება და ისტორიულად ჩამოყალიბებული განსახლების ტიპი და მოსახლეობის ცხოვრების სახე (წესი).

– მიწის რესურსების გამოყენებაში ჩამოყალიბებული თავისებურებათა და ტენდენციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში (რიგი

გარემოებების გამო) აუცილებელია ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში განმსაზღვრელი როლი მუნიციპალიტეტებმა შეასრულონ.

– **ადგილობრივი თვითმმართველობა ფაქტობრივად წარმომადგენს სასოფლო ტერიტორიების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების, ე.ი. მდგრადობის უზრუნველყოფის განმსაზღვრელ ფაქტორს. ამ ესკლუზიური როლის შესრულებისათვის მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი უფლება-მოხილება. ეს დროის მოთხოვნაა და განპირობებულია მუნიციპალური წარმონაქმნების მართვის სტრატეგიულ მეთოდებზე გადასვლით, სოფლად დაგროვილი მასშტაბური პრობლემების (ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, ეკოლოგიური) გადაწყვეტის აუცილებლობით. ტერიტორიის განვითარების რთული ამოცანების შესრულებას უნდა მოემსახუროს მიწის (მუნებრივი რესურსის – წარმოების ფაქტორის – მეურნეობრიობის ობიექტის) მართვის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც იერარქიულად წარმოდგენილია სქემით სახელმწიფო (ცენტრალური) – რეგიონული (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) – მუნიციპალიტეტი. იმისათვის, რომ მიწის რესურსული პოტენციალის მართვა ეფექტიანად განხორციელდეს (იგულისხმება ერთიანი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომებით) აუცილებელია დარგობრივი და ტერიტორიული ინტერესების, მიზნების, ამოცანების, მათი მიღწევის საშუალებათა კონცენტრირებულად რეგულირების (მართვის) მობილური მექანიზმი.**

– იმის გათვალისწინებით, რომ მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პრობლემა არსებითად წყდება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიულ საზღვრებში, იქ უნდა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები მიწის რესურსული პოტენციალის მართვაში (რეგულირებაში) თანამედროვე ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეების გამოყენებისათვის. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ტერიტორიაზე არსებული მიწის გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და მასშტაბებისა და პერსპექტივების განსაზღვრა.

– მხედველობაში უნდა მივიღოთ ის თავისებურებაც, რომ მუნიციპალური წარმონაქმნი (რთული ინტეგრირებული სისტემა) არსებითად დამოკიდებულია ზემდგომი ორგანოების საქმიანობაზე, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მართვის პროცესში ერთდროულად მოქმედებს პოლიტიკური, ეკონომიკური, საბაზრო, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორებიც.

– **ადგილობრივი თვითმმართველობა (მუნიციპალიტეტი) მიზანშეწონილია ორ დონიანი (საფეხურიანი) იყოს:**

– **მუნიციპალიტეტი და სოფელი, როცა სოფლის მიწის ფართობით, მოსახლეობის რიცხოვნობით, რესურსული პოტენციალით ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობები გააჩნია, ან თემი, რომელიც მოიცავს რამდენიმე დასახლებას (სოფელს). თვითმმართველობის პირველ საფეხურზე (ქვეყნის განვითარებაში)**

რების ეტაპების თავისებურებათა გათვალისწინებით) მართვის ორგანოს შექმნის ორი ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ. პირველი – **სოფლის (თემის) მოსახლეობა** კრებაზე ან ყრილობაზე ირჩევს გამგეობას, რომლის შემადგენლობიდან აირჩევა გამგებელი (მამასახლისი) და მდივანი, ან როცა **სოფლის მოსახლეობა პირდაპირი** ან დახურული კენჭისყრით ირჩევს სასოფლო (სათემო) საბჭოს, რომელიც ამტკიცებს აღმასკომის თავმჯდომარეს და მდივანს. **პირველი საფეხურის თვითმმართველობას სოფელს (თემს)** გადაეცემა სარგებლობაში მის ტერიტორიაზე არსებული მიწის ფართობი (სათიბი, საძოვარი, ტყე, წყლის ფონდის მიწა და სხვ). **სოფელი (თემი)** მუშაობს ტერიტორიის განვითარების გეგმით (მუნიციპალიტეტების კომპლექსური განვითარების გეგმის ნაწილი). რომელშიც მოსახლეობის უშუალო ჩართულობით განისაზღვრება პრიორიტეტები, ფინანსური წყაროები: (მიწის)ქონების) გადასახადის, ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი საწარმოების, ვაჭრობის ობიექტების და სხვა ორგანიზაციების შემოსავლების გარკვეული ნაწილი, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიღებული სახსრები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთის რეგიონების (მუნიციპალიტეტების), სოფლების (თემების) მდგრად განვითარებას. ამჟამად მოქმედი კანონი ვერ უზრუნველყოფს მთის მწვევე პრობლემების გადაწყვეტას.

– ზემოთ აღნიშნული სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელია მიწის მართვის ცენტრალური ორგანოსა (მიწის მართვის ეროვნული სააგენტო) და მუნიციპალიტეტის ფუნქციების სწორად გამიჯვნა.

– **ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ვარიანტი.**

– **პირველი.** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოს (თუ მას ზემოთ აღნიშნული ფუნქციები დაეკისრება) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნდა ჰქონდეს სტრუქტურული ერთეული (ჰყავს წარმომადგენლობა) და მისი მეშვეობით ტერიტორიაზე ახორციელებს კომპეტენციით განსაზღვრულ საქმიანობას. **საწყის ეტაპზე ამ ფორმის უპირატესობა ისაა, რომ სივრცის დაგეგმარების, მიწის სახელმწიფო ფონდის ინვენტარიზაციის, მიწის რეგისტრაციის, კონსოლიდაციის, სოფლებს შორის საზღვრების გამიჯვნის, მიწათმონყობის სქემების, მიწის კადასტრის შედგენისათვის სათანადო ინფორმაციული ბაზის შექმნის და სხვა ოპერატიული საკითხები ცენტრალიზებულად, უფრო ორგანიზებულად და შემჭიდროებულ ვადებში გადაწყდება.**

– **მეორე.** **მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციაში (ადგილობრივ ბიუჯეტზე) შეიძლება გამოიყოს სპეციალისტები, რომელთაც კომპეტენციის ფარგლებში იმუშავენ ტერიტორიაზე მიწის რესურსული პოტენციალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და უშუალოდ ითანამშრომლებენ მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოსთან.** ამ ფორმის უპირატესობა ისაა, რომ ადგილობრივი პირობები უფრო ობიექტურად იქნება გაცნობიერებული, რაც უფრო საგნობრივს (მიზნობ-

რივს) გახდის მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა შემუშავებას (განხორციელებას) და ტერიტორიული და დარგობრივი ინტერესების დაბალანსებას.

– **მესამე.** **მუნიციპალიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეიქმნას აგრარული სექტორის განყოფილება (ან სხვა ფორმით), რომელიც პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აგრარული პოლიტიკის (იგულისხმება მიწის პრობლემების გადაწყვეტაც) განხორციელებისათვის და თანამშრომლობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მისი შესაბამისი სამსახურების მეშვეობით.** ამ ფორმის უპირატესობა ისაა, რომ ტერიტორიის განვითარების ინტერესები უფრო ფართოდ იქნება წარმოდგენილი, თანაც ტერიტორიის მდგრადი განვითარების სტრატეგიული მიზნების (ამოცანების) განხორციელების კონტექსტში.

– ერთი რამ ცხადია, მიწათმონყობის, მიწის გამოყენების, დაცვისა და აღწარმოების ძველი (მემკვიდრეობით მიღებული - ფრაგმენტაცია, ვერტიკალური ზონალობა და სხვა თავისებურებები) და ახალი (მიწების აღრიცხვის მოუწესრიგებლობა, დეგრადაციის გაღრმავება, მექანიზაციის უკიდურესად დაბალი დონე, სამუშაო ძალის მიგრაცია, სოფლად მძიმე სოციალური მდგომარეობა და სხვა) რთულ კვანძებად შეიკრა. მათი გადაწყვეტა ენ სტანდარტული მეთოდებით, ცალმხრივი მიდგომებით, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო საბაზრო პრინციპებზე აგრარული სექტორის გადასვლის პროცესისათვის, ფაქტობრივად შეუძლებელია.

– **ყველაზე საშიში ის ტენდენციაა, რომ დღეს სოფლად ორი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა - სიღარიბე და უმუშევრობა განსაზღვრავს ქართული სოფლის ფენომენს, რომელსაც სტატუსიც არა აქვს. საცხოვრებელს მასობრივად ტოვებს სოფლად მცხოვრები. ყალიბდება მიწისა და შრომისადმი ამპარტავნული დამოკიდებულება, რაც აძლიერებს პასიურობას, გაუცხოების, ეროვნული სიმდიდრის განიავება-დატაცებისადმი მიდრეკილებას. სოფლის მეურნეობა დღეს ფაქტობრივად ნატურალურ მეურნეობას, როგორც წარმოების ფორმას ეყრდნობა, კოოპერაციის განვითარებას როგორც ეკონომიკური პოტენციალის კომპლექსურად ამოქმედების აღიარებულ ფორმას სათანადო ყურადღება არ ექცევა. დღევანდელი სოფლის მუშაკი თავისი პოტენციალით, მწირი ფინანსური რესურსებით, კვალიფიკაციის დაბალი დონით მკაცრ კონკურენტულ გარემოში თავის ფუნქციებს ვერ შეასრულებს. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის კვალიფიკაციური კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემები, სოფლის საწარმოო (საინჟინრო) და სოციალური ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბების სტადიაშია, მიწის ნაყოფიერება კატასტროფულად ეცემა. სავარგულების დიდი ნაწილი (ჩაის პლანტაციები, საძოვრები და სხვ.). ფაქტობრივად შეწყვეტილია კულტურულ-ტექნიკური სამუშაოები, მინიმალურად არის გამოყენებული საექსპორტო პროდუქციის წარმოების პოტენციალი.**

10. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენებისთვის აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი

– ამ მიზნით უნდა დამუშავდეს კონცეფცია „გარღვევის სტრატეგია – მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელი“. მის ბაზაზე შედგეს სახელმწიფო პროგრამა 2030 წლამდე პერიოდისათვის „საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მდგრადი განვითარება-მოდერნიზაცია“. პროგრამის მეთოდოლოგიური საფუძველია სტრატეგიული მიზნის (ჩვენს შემთხვევაში არაეფექტიანი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიან სისტემად გარდაქმნა) და მისი მიღწევის მთავარი რგოლის (ჩვენს შემთხვევაში – ბუნებრივი (მიწის) და ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება) შერჩევის, საკვანძო პრობლემების გადასაწყვეტად რესურსების კონცენტრაციის პრინციპები. ასეთი პროგრამის (სტრატეგიის) ჩამოყალიბება, მით უფრო განხორციელება არსებითად დამოკიდებულია სტრატეგიული დაგეგმვისა და სტრატეგიული მართვის პრინციპებზე ჩამოყალიბებულ ორგანიზაციულ-მმართველობით მექანიზმზე. პროგრამის შემუშავებისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას საუწყებო-სამთავრობო კომისია დაინტერესებული სამინისტროების (უწყებების) სამეცნიერო წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუტების, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

– პროგრამაში სამ მთავარ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. **პირველი.** განვითარების რომელ საფეხურზეა ქვეყნის ეკონომიკა? როგორი თვისებებით, კანონზომიერებებით ხასიათდება იგი? ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხი იმიტომ გვჭირდება, რომ ვიცოდეთ, როგორია გარღვევის სასტარტო ბაზა, საზოგადოების ქცევა (მოტივაცია), გლობალურ პროცესებთან ადაპტორების დონე და სხვ., რაც საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის პროგნოზირებასა და სტრატეგიულ დაგეგმვას. **მეორე.** საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი), როგორ სიტუაციებში (რისკები) განვითარდება ეკონომიკა? აქ საკმარისი არ არის ვიცოდეთ საკუთარი შესაძლებლობები, არამედ უნდა შეფასდეს გარემოც – მეზობელი ქვეყნების და საერთოდ (გლობალური) ინტერესების პოტენციალი. მათი თანხვედრის, თუ დაპირისპირების მოსალოდნელი გამოწვევები და მექანიზმი, რათა მართვის თანამედროვე მეთოდზე დაყრდნობით სწორად განისაზღვროს განვითარების მთავარი მიმართულებები. **მესამე.** რომელ რესურსებზე ვაპირებთ ორიენტაციას და რა პერიოდებით და როგორი მექანიზმებით ვფიქროთ დასახული მიზნის მიღწევას (ეტაპები, ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმი, დაფინანსების წყაროები, მეცნიერული უზრუნველყოფა, გლობალურ პროცესებთან თავსებადობა და სხვ.

– მიგვაჩნია, რომ ზემოთ დასახელებულ ღონისძიებათა თანმიმდევრულად და განსაზღვრულ ვადებში განხორციელება შექმნის მყარ მატერიალურ და ორგანიზაციულ საფუძველს მრავალდარგოვანი აგრარული მეურნეობის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს.). თბილისი, 1991 წელი
2. საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ
3. Генеральная схема противоэрозийных мероприятий Грузинской ССР в 1981-1990 годы на период до 2000 года. Тбилиси., 1987 год.
4. Планирование использования земельных ресурсов для устойчивого управления землепользованием, профессиональная и сельскохозяйственная объединенных наций. Рим, 2018 год.
5. ე. ნაკაიძე საქართველოს მიწის რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები (რუს.). თბ., „მეცნიერება“, 1997 წელი
6. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობათა კრებული. თბილისი, 2004 წელი
7. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული, ტ.1. თბილისი, 1996 წელი, ტომი 11 1997 წელი
8. საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. თბილისი, 2005 წელი
9. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის პრივატიზება და იჯარით გაცემის მიმდინარეობის შესახებ (2003 წლის 01.04 მდგომარეობით). თბილისი, 2003 წელი
10. საქართველოს სტატისტიკური ნელინდეული. თბ. 2004 წელი
11. Европейская экономическая комиссия, Женева – управление земельными ресурсами в Европе. Тенденции развития и основные принципы Организации Объединенных Наций. Нью-Йорк-Женева, 2005 год
12. ნ.ჭითანავა. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები, 1993 წელი
13. ნ.ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი 2001 წელი
14. ნ.ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბ. 2012 წელი
15. ნ.ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია. თბილისი, 2018 წელი.
16. ნ.ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, 2015 წელი, 160 გვ.
17. საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები. რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი 1(3), თბილისი, 2023 წელი
18. პ.კოლუაშვილი. როგორ ავალორძინოთ ქართული სოფელი. ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ N5, 2010 წელი

GLOBAL SUPPLY CHAIN DISRUPTIONS UNDER GEOECONOMIC FRAGMENTATION: A FIGARO-BASED MACROECONOMIC NETWORK ANALYSIS

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2026.01.02>



Givi Bedianashvili

Doctor of Economic Sciences, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Professor, Grigol Robakidze University;
Researcher, Institute of Demography and Sociology
<https://orcid.org/0000-0003-4521-737X>
givi.bedianashvili@tsu.ge



Zviad Gabroshvili

PhD Student, Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
<https://orcid.org/0009-0007-7597-5987>
zviad.gabroshvili108@eab.tsu.edu.ge

ANNOTATION

This article examines the macroeconomic implications of global supply chain disruptions in the context of growing geoeconomic fragmentation and confrontational globalization. The study explores how geopolitical tensions, technological fragmentation, sanctions, energy shocks, and post-pandemic restructuring processes transform the architecture of global production networks and intensify systemic economic vulnerabilities. Particular attention is devoted to the application of the FIGARO (Full International and Global Accounts for Research in Input-Output Analysis) international input-output framework for identifying structural interdependencies, strategic vulnerabilities, and the transmission channels of global shocks across countries and sectors.

The research combines approaches from global value chain theory, network economics, and input-output analysis. Using FIGARO data for 49 countries and 21 economic sectors during the period 2010–2023, the paper applies eigenvector centrality analysis to determine the most systemically important suppliers within the global economy. The findings reveal the dominant role of China’s manufacturing sector and the increasing importance of U.S. financial, technological, and professional service sectors in global supply networks. The study also demonstrates how the COVID-19 pandemic, energy crises, and geopolitical conflicts accelerated the restructuring of global production systems and increased the significance of resilience-oriented economic policies.

The article argues that FIGARO-based network analysis provides an effective methodological framework for evaluating macroeconomic resilience, strategic dependencies, and the vulnerability of small open economies under conditions of global uncertainty. The results contribute to the understanding of structural transformations in the world economy and offer analytical tools for assessing supply chain resilience, reshoring processes, and geoeconomic risks.

Keywords: global supply chain disruptions; geoeconomic fragmentation; confrontational globalization; FIGARO; input-output analysis; network analysis; macroeconomic resilience.

JEL Classification: F15; F23; F44; C67.

გლობალური მინოდების ჯაჭვების რღვევები გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში: FIGARO-ზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური ქსელური ანალიზი

გივი ბედიაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი; მკვლევარი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
<https://orcid.org/0000-0003-4521-737X>
givi.bedianashvili@tsu.ge

ზვიად გაბროშვილი

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
<https://orcid.org/0009-0007-7597-5987>
zviad.gabroshvili108@eab.tsu.edu.ge

ანოტაცია

სტატიაში განხილულია გლობალური მინოდების ჯაჭვების რღვევებით გამოწვეული მაკროეკონომიკური შედეგები გეოეკონომიკური ფრაგმენტაციისა და კონფრონტაციული გლობალიზაციის გაძლიერების პირობებში. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ ცვლის გეოპოლიტიკური დაძაბულობა, ტექნოლოგიური ფრაგმენტაცია, სანქციები, ენერგეტიკული შოკები და პანდემიის შემდგომი რესტრუქტურისა და პროცესები გლობალური სანარმოო ქსელების სტრუქტურას და როგორ ზრდის ეკონომიკური სისტემების მონყვლადობას. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საერთაშორისო დანახარჯები-გამოშვების ანალიზისთვის შექმნილი FIGARO-ს (Full International and Global Accounts for Research in Input-Output Analysis) ჩარჩოს გამოყენებას, რომლის მეშვეობითაც გამოვლენილია სტრუქტურული ურთიერთდაშორებულებები, სტრატეგიული მონყვლადობები და გლობალური შოკების გავრცელების მექანიზმები ქვეყნებსა და ეკონომიკის სექტორებს შორის.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გლობალური ღირებულების ჯაჭვების თეორია, ქსელური ეკონომიკის კონცეფციები და დანახარჯები-გამოშვების ანალიზის ინსტრუმენტები. 2010–2023 წლების FIGARO-ს მონაცემთა ბაზის საფუძველზე, რომელიც მოიცავს 49 ქვეყანასა და ეკონომიკის 21 სექტორს, გამოყენებულია საკუთარი ვექტორის ცენტრალურობის (Eigenvector Centrality) ანალიზი გლობალურ ეკონომიკაში სისტემურად უმნიშვნელოვანესი მომწოდებლების გამოსავლენად. მიღებული შედეგები ადასტურებს ჩინეთის დამამუშავებელი მრეწველობის წამყვან პოზიციას მსოფლიო მინოდების ქსელებში და წარმოაჩენს ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური, ტექნოლოგიური და პროფესიული მომსახურების სექტორების მზარდ მნიშვნელობას. კვლევის შედეგები ასევე ცხადყოფს, რომ COVID-19-ის პანდემიამ, ენერგეტიკულმა კრიზისებმა და გეოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა დააჩქარა გლობალური სანარმოო სისტემების ტრანსფორმაცია და მნიშვნელოვნად გაზარდა მდგრადობაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის როლი.

დასაბუთებულია, რომ FIGARO-ზე დაფუძნებული ქსელური ანალიზი ეფექტიანი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტია მაკროეკონომიკური მდგრადობის, სტრატეგიული დამოკიდებულებებისა და მცირე ღია ეკონომიკების მონყვლადობის შესაფასებლად გლობალური გაურკვევლობის პირობებში. მიღებული შედეგები ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების სიღრმისეულ გააზრებას და ქმნის ანალიტიკურ საფუძველს მინოდების ჯაჭვების მდგრადობის, წარმოების რელოკალიზაციის (reshoring) პროცესებისა და გეოეკონომიკური რისკების შეფასებისათვის.

საკვანძო სიტყვები: გლობალური მინოდების ჯაჭვების რღვევები; გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია; კონფრონტაციული გლობალიზაცია; FIGARO; დანახარჯები-გამოშვების ანალიზი; ქსელური ანალიზი; მაკროეკონომიკური მდგრადობა.

JEL კლასიფიკაცია: F15; F23; F44; C67.

INTRODUCTION

In recent years, the global economy has undergone profound structural changes associated with the decline of hyperglobalization and the rise of confrontational globalization, where international economic relations are increasingly shaped by geopolitical competition, sanctions policies, technological fragmentation, and the growing securitization of trade and investment flows. In this environment, global supply chains (GSCs), once regarded as a foundation of international efficiency and specialization, have become a significant source of macroeconomic risk and instability.

Although a substantial body of literature has examined disruptions in global supply chains, most studies concentrate on isolated dimensions of the problem, including logistics failures, inflationary pressures, trade barriers, or sector-specific impacts. At the same time, the macrosystemic transformation of global production networks under conditions of geoeconomic fragmentation remains insufficiently explored.

In particular, limited attention has been devoted to the application of network-oriented approaches and international input–output systems for analyzing the restructuring of global production architectures, shifts in the hierarchy of country-sector linkages, and the transmission mechanisms of systemic shocks across the world economy.

This article contributes to the existing literature by combining the perspectives of global value chain theory, network economics, input–output analysis, and the concept of confrontational globalization. The methodological foundation of the study is the FIGARO framework, which enables the interpretation of the global economy as a complex multi-level system of interconnected production networks. The application of eigenvector centrality indicators and heatmap visualization techniques allows the identification of systemically important nodes, the evaluation of network influence concentration, and the analysis of structural transformations within global production networks under growing global uncertainty.

LITERATURE REVIEW

The growing instability of global supply chains has become one of the central issues in contemporary international economics and macroeconomic research. The COVID-19 pandemic, geopolitical conflicts, energy crises, technological decoupling, and accelerating geoeconomic fragmentation have clearly demonstrated the high vulnerability of global production systems to external shocks and structural disruptions. Consequently, the academic literature on supply chain resilience, global value chains (GVCs), and geoeconomic fragmentation has expanded significantly in recent years.

Most early studies concentrated on the short-term macroeconomic consequences of supply chain disruptions. Attinasi et al. (2021) showed that interruptions in global

production and transportation networks generate substantial inflationary pressures and negatively affect industrial activity in both developed and emerging economies. Santacreu and LaBelle (2022) confirmed that supply chain bottlenecks were among the main drivers of the sharp rise in global inflation during the COVID-19 pandemic, primarily due to shortages of intermediate goods and logistical constraints.

More recent research has shifted toward deeper causal and long-term analysis. Bai, Fernández-Villaverde, Li, and Zanetti (2024) provide strong empirical and theoretical evidence that global supply chain shocks exert significant and persistent effects on output, employment, and inflation expectations. The authors stress that modern macroeconomic models must treat supply-side disruptions as structurally embedded phenomena rather than temporary exogenous events.

A prominent strand of literature examines the structural transformation of the world economy in the context of geopolitical rivalry and geoeconomic fragmentation. Papava (2022, 2024) and Bedianashvili (2023) argue that the global economy has moved from the era of hyperglobalization to **confrontational globalization**, characterized by strategic competition, widespread sanctions, securitization of trade and investment, and the weaponization of economic interdependence (Farrell & Newman, 2019). In this new reality, global supply chains are increasingly perceived not only as tools for efficiency and specialization but also as sources of strategic dependence and systemic vulnerability (Papava & Bedianashvili, 2024, 2025; Aiyar et al., 2023).

Along with academic research, issues of supply chain resilience and strategic dependencies are increasingly being addressed in documents from international organizations and economic policymakers. In particular, the European Commission’s 2023 Annual Single Market Report: Single Market at 30 (European Commission, 2023) emphasizes that geopolitical tensions, energy crises, technological fragmentation, and the effects of the pandemic have significantly increased the vulnerability of global production systems. The document notes that ensuring the resilience of value chains, reducing critical external dependencies, and strengthening economic security are becoming key priorities for the European Union’s economic policy. These findings confirm the growing importance of research aimed at identifying the structural vulnerabilities of global production networks and assessing the consequences of geoeconomic fragmentation for the global economy.

Network and input-output approaches have substantially enriched the understanding of these processes. Acemoglu, Akgicig, and Kerr (2016) demonstrated that the architecture of production networks plays a decisive role in the transmission and amplification of macroeconomic shocks. Studies focusing on GVC centrality indicate that countries and sectors occupying central “hub” positions tend to achieve higher

productivity and stronger firm performance (Criscuolo & Timmis, 2018; Alves et al., 2022). Graph-theoretical methods, particularly **eigenvector centrality** in international input-output frameworks, have proven highly effective for identifying systemically important suppliers and critical nodes (Sargent & Stachurski, n.d.).

The FIGARO database has emerged as a powerful tool for such multi-country and multi-sector analyses. Recent studies utilizing FIGARO and similar multi-regional input-output systems have significantly advanced the assessment of strategic dependencies, shock transmission mechanisms, and economic resilience under conditions of geoeconomic fragmentation (Panon et al., 2024; Conteduca et al., 2025; Georgieva, 2025). In particular, Panon et al. (2024) analyze how firms adjust sourcing strategies amid fragmentation, while Conteduca et al. (2025) evaluate potential future scenarios for global value chains.

Despite notable progress, several important gaps persist in the literature. First, relatively few studies address the **long-term structural transformations** of global production networks in the era of confrontational globalization. Second, the full integration of global value chain theory, network economics, and international input-output analysis within a unified framework remains underdeveloped. Third, many papers focus on short-term effects or individual sectors and do not sufficiently examine the changing hierarchy of country-sector centrality over the critical period of 2010–2023.

The present study seeks to address these gaps by integrating perspectives from global value chain theory, network economics, and FIGARO-based input-output analysis. Using eigenvector centrality analysis for the period 2010–2023, this paper identifies the most systemically important suppliers in the global economy and explores how geoeconomic fragmentation is reshaping the architecture of global production networks, strategic dependencies, and macroeconomic resilience.

THE POSSIBILITIES OF USING FIGARO IN RESEARCHING THE PROBLEMS OF DISRUPTIONS IN GLOBAL SUPPLY CHAINS

FIGARO is a modern international input–output system developed by the Joint Research Centre of the European Commission and creates significant opportunities for the study of global supply chains (Global Supply Chains/GVCs). The use of FIGARO is especially relevant in the context of confrontational globalization, geopolitical fragmentation and global economic uncertainty, when the risks of supply chain disruptions, logistical disruptions and structural economic shocks are increasing.

The main advantage of FIGARO is that it combines:

- multi-country input–output tables,
- sectoral economic linkages,

- foreign trade data,
- value added flows,
- and a detailed structure of global production interdependencies.

Therefore, FIGARO allows global supply chains to be analyzed not only from a trade perspective, but also from a systemic macroeconomic perspective. In studying disruptions in global supply chains, FIGARO is particularly important in the following areas:

1. Analysis of inter-sectoral dependencies

FIGARO makes it possible to identify the extent to which countries and economic sectors are dependent on each other. For example:

- semiconductors,
- energy,
- mechanical engineering,
- pharmaceuticals,
- or the agri-food sector.

In the case of supply disruptions, it is possible to assess which sectors experience the strongest macroeconomic impact. This is especially important in modern conditions, when even a small shock quickly spreads throughout the global economic network in the form of a “domino effect”.

2. Study of the transmission mechanism of global shocks

FIGARO allows to assess:

- How geopolitical,
- energy,
- financial,
- or pandemic shocks

spread through global supply chains to different countries and sectors.

For example, it is possible to assess:

- How a decline in production in China affects European industry,
- Or how a shortage of energy resources affects the production networks of the European Union.

Such analysis is especially important in the context of confrontational globalization.

3. Value Added Analysis

One of the main advantages of FIGARO is the possibility of value-added trade analysis.

Traditional foreign trade statistics often fail to reflect:

- the real technological contribution,
- the role of intellectual capital,
- or the depth of production links between countries.

Using FIGARO, it is possible to assess:

- Which country creates real added value,
- Which country performs only the assembly function,
- And how this structure changes in the conditions of fragmentation of supply chains.

This is especially important when studying the competitiveness of small countries.

4. Identifying strategic dependencies

FIGARO is an effective tool for studying economic security.

Using it, it is possible to determine:

- Which critical resources a country depends on,
- In which sectors there is a high import dependence,
- And which economic directions create strategic vulnerability.

Of particular importance are:

- Energy security,
- Rare earth minerals,
- Semiconductors,
- Food security,
- Pharmaceuticals,
- And digital technologies.

5. Assessment of the effects of reshoring and nearshoring

In modern conditions, many countries are trying to:

- Return production (reshoring),
- or regionalization (nearshoring).

On the basis of FIGARO, it is possible to assess:

T — მიკვლევადობის სისტემის განვითარება;

D — ციფრული მონიტორინგის გამოყენება;

I — ინსტიტუციური კონტროლის ეფექტიანობა.

საბოლოო შეფასებითი მაჩვენებელი წარმოადგენს აღნიშნული კომპონენტების არითმეტიკულ საშუალოს, რაც იძლევა ხარისხის შეფასების სისტემის განვითარების ინტეგრირებული დონის განსაზღვრის შესაძლებ-

დიაგრამა 1. აგროსამრეწველო პროდუქციის ხარისხის შეფასების სისტემის განვითარების შედარებითი დონე



წყარო: შედგენილია ავტორთა მიერ საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს ხარისხის შეფასების სისტემის შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

შენიშვნა: დიაგრამა წარმოადგენს ავტორთა მიერ შექმნილ კომპოზიტურ შეფასებას, რომელიც აგებულია ხუთი ძირითადი კომპონენტის მიხედვით: რეგულირების მოდელი, HACCP-ის დანერგვა, მიკვლევადობის დონე, ციფრული მონიტორინგი და ინსტიტუციური კონტროლი. დიაგრამა არ წარმოადგენს ოფიციალურ სტატისტიკურ ინდექსს და გამოიყენება შედარებითი ანალიზის მიზნით.

ლობას. ევროკავშირის (90%) და აშშ-ის (85%) მაღალი მაჩვენებლები ასახავს სისტემური ინტეგრაციისა და ტექნოლოგიური განვითარების მაღალ დონეს, ხოლო საქართველოს (50%) მაჩვენებელი მიუთითებს სისტემის განვითარების გარდამავალ ეტაპზე ყოფნას.

ინტეგრირებული ციფრული ხარისხის შეფასების მოდელი

ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა „ინტეგრირებული ციფრული ხარისხის შეფასების მოდელი“ (IDQAM), რომელიც აერთიანებს ხარისხის შეფასების სისტემის ინტეგრირებულ, ციფრულად მხარდაჭერილ მიდგომას.

თანამედროვე გამონვევების გათვალისწინებით, ხარისხის შეფასების სისტემის ეფექტიანობის გაზრდა საჭიროებს ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც მოიცავს სტანდარტიზაციას, ინსტიტუციურ კონტროლს და ციფრულ ტექნოლოგიებს. აღნიშნული მიზნისათვის შემოთავაზებულია „ინტეგრირებული ციფრული ხარისხის შეფასების მოდელი“ (IDQAM), რომლის სტრუქტურა მოცემულია ჩვენს მიერ შედგენილ ცხრილში (იხ. ცხრილი 3).

IDQAM მოდელის ანალიზი აჩვენებს, რომ მისი ძირითადი უპირატესობაა სისტემური ინტეგრაციის შესაძლებლობა. მოდელი აერთიანებს ხარისხის შეფასების ყველა მნიშვნელოვან კომპონენტს - სტანდარტიზაციას, კონტროლს, მიკვლევადობასა და მონაცემთა ანალიტიკას - და მათ გარდაქმნის ერთიან, ციფრულად მხარდაჭერილ სისტემად. განსაკუთრებით საყურადღებოა მცირე მწარმოებლის მხარდაჭერის ბლოკი, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის ინკლუზიურობას და ზრდის მისი პრაქტიკული დანერგვის შესაძლებლობას საქართველოს პირობებში.

IDQAM მოდელის მთავარი იდეა ისაა, რომ ხარისხის შეფასება არ უნდა დარჩეს მხოლოდ შემომწმების ან სერტიფიცირების ფორმალურ პროცედურად. იგი უნდა გადაიქცეს მუდმივ, მონაცემებზე დაფუძნებულ და პრევენციულ სისტემად, რომელიც აკავშირებს მწარმოებელს, გადამამუშავებელს, ლაბორატორიას, მაკონტროლებელ ორგანოსა და მომხმარებელს.

კვლევის საფუძველზე მიზანშეწონილია:

- მიკვლევადობის ეროვნული ციფრული პლატფორმის განვითარება, რომელიც ეტაპობრივად მოიცავს ფერმერს, გადამამუშავებელ საწარმოს, დისტრიბუტორსა და საცალო ქსელს;
- HACCP-ის პრაქტიკული დანერგვის ხელშეწყობა მცირე და საშუალო მწარმოებლებში, მათ შორის მარტივი სახელმძღვანელოებითა და თანადაფინანსებით;
- ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაძლიერება რეგიონებში, რათა ხარისხის შეფასება არ იყოს მხოლოდ ცენტრალიზებულ რესურსებზე დამოკიდებული;
- სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება, რაც კონტროლს გადაიყვანს რეაგირების მოდელიდან პრევენციულ მოდელზე [12, 13];
- სერტიფიცირების ხარჯების შემცირების მექანიზმების შექმნა მცირე ფერმერებისა და კოოპერატივებისთვის;
- ევროკავშირის ბაზარზე გასვლისთვის საექსპორტო შესაბამისობის წინასწარი შეფასების სისტემის დანერგვა;
- ქართული აგრარული პოლიტიკისა და ხარისხის მართვის კვლევების გაძლიერება, რათა პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს არა მხოლოდ რეგულაციებს, არამედ ადგილობრივ მეცნიერულ ანალიზსაც.

ცხრილი 3. IDQAM მოდელის სტრუქტურა

ბლოკი	შინაარსი	მოსალოდნელი შედეგი
სტანდარტიზაციის ბლოკი	Codex, HACCP, ISO 22000, ეროვნული სტანდარტები	მოთხოვნების ჰარმონიზაცია
ინსტიტუციური კონტროლის ბლოკი	სურსათის ეროვნული სააგენტო, ლაბორატორიები, სერტიფიცირების ორგანოები	კონტროლის ეფექტიანობის ზრდა
ციფრული მიკვლევადობის ბლოკი	QR კოდები, ელექტრონული რეგისტრები, blockchain ელემენტები	პროდუქტის სრული გზის გამჭვირვალობა
მონაცემთა ანალიტიკის ბლოკი	რისკების მონაცემთა ბაზა, AI-მონიტორინგი, პროგნოზირება	პრევენციული კონტროლის გაძლიერება
მცირე მწარმოებლების მხარდაჭერის ბლოკი	ტრენინგები, თანადაფინანსება, საკონსულტაციო მომსახურება	სტანდარტებთან ადაპტაციის გამარტივება
საექსპორტო შესაბამისობის ბლოკი	EU/SPS მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება	ექსპორტის პოტენციალის ზრდა

წყარო: შედგენილია ავტორთა მიერ

დასკვნა

ამრიგად, გვაქვს საფუძველი შევნიშნოთ: აგროსამრეწველო პროდუქციის ხარისხის შეფასების მოქმედი სისტემა საჭიროებს ტრანსფორმაციასა და არსებით გაუმჯობესებას - უცხოური გამოცდილების ინტეგრირებული გადმოღება.

კვლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ აგროსამრეწველო პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ რეგულაციური ჩარჩოს არსებობაზე, არამედ ინსტიტუციური კოორდინაციის, ტექნოლოგიური ინტეგრაციისა და მონაცემებზე დაფუძნებული მართვის ხარისხზე. საქართველოს შემთხვევაში ძირითადი გამოწვევა არის ხარისხის ინფრასტრუქტურის ფრაგმენტაცია, რაც აფერხებს ხარისხის კონტროლის მექანიზმების სრულფასოვან ფუნქციონირებას.

ამასთან, თანამედროვე ტენდენციები მიუთითებს, რომ ხარისხის შეფასება გარდაიქმნება სტატიკური შემოწმების პროცესიდან დინამიკურ, უწყვეტ და ციფრულად მხარდაჭერილ სისტემად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიკვლევადობის, მონაცემთა ანალიტიკისა და პრევენციული კონტროლის ინტეგრაცია.

ნაშრომში ჩვენს მიერ შემოთავაზებული IDQAM მოდელი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც გარდამავალი პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ხარისხის შეფასების სისტემის ტრანსფორმაციას ტრადიციული კონტროლის მოდელიდან თანამედროვე, რისკზე დაფუძნებულ და ციფრულ ეკოსისტემად. მისი პრაქტიკული დანერგვა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სურსათის უვნებლობის გაუმჯობესებას, არამედ ქართული აგროსამრეწველო პროდუქციის პოზიციონირებას საერთაშორისო ბაზრებზე.

გრძელვადიან პერსპექტივაში, ხარისხის მართვის ინტეგრირებული სისტემის განვითარება უნდა დაეფუძნოს სამ სტრატეგიულ მიმართულებას: ინსტიტუციური გაძლიერებასა და კოორდინაციას; ციფრული მიკვლევადობის სისტემების დანერგვას; მცირე და საშუალო მწარმოებლების ინტეგრაცია სტანდარტიზებულ სისტემაში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ შემოთავაზებული მოდელი ქმნის საქართველოს აგროსამრეწველო სექტორში სურსათის უსაფრთხოებისა და ხარისხის ინტეგრირებული ინფრასტრუქტურის ციფრულად მხარდაჭერილი განვითარების საფუძველს. აღნიშნული მიმართულებების სინერგია ხელს შეუწყობს მდგრადი, ეფექტიანი და საერთაშორისო მოთხოვნებთან თავსებადი ხარისხის მართვის სისტემის ჩამოყალიბებას საქართველოში.

გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში აგროსამრეწველო პროდუქციის ხარისხი

ალარ განისაზღვრება მხოლოდ საბოლოო პროდუქტის ტექნიკური შესაბამისობით. იგი ყალიბდება წარმოების სრული ციკლის, პრევენციული კონტროლის, მიკვლევადობის, მონაცემთა ანალიტიკისა და ციფრული მართვის ერთიან სისტემაში. შესაბამისად, საქართველოსთვის კონკურენტუნარიანი და მდგრადი აგროსექტორის ფორმირება შეუძლებელია ხარისხის შეფასების ისეთი მოდელის გარეშე, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს სურსათის უსაფრთხოებას, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობასა და საქართველოს აგროსექტორის გლობალურ კონკურენტუნარიანობასა და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Codex Alimentarius Commission. (2020). General Principles of Food Hygiene: CXC 1-1969. FAO/WHO;
2. World Trade Organization. (n.d.). Agreement on the Application of Sanitary and Phytosanitary Measures. WTO;
3. Codex Alimentarius Commission. (2020). Hazard Analysis and Critical Control Point (HACCP) System and Guidelines for Its Application. FAO/WHO;
4. European Commission. (2020). A Farm to Fork Strategy for a Fair, Healthy and Environmentally-Friendly Food System. Brussels: European Commission;
5. Food and Drug Administration. (2024). Food Safety Modernization Act (FSMA). U.S. FDA;
6. ISET Policy Institute. (2017). How Safe Is Your Food?;
7. ISO. (2018). ISO 22000: Food Safety Management Systems — Requirements for Any Organization in the Food Chain. Geneva: International Organization for Standardization;
8. Kumar, S., & Singh, R. (2021). Blockchain-based traceability systems in agri-food supply chains. *Journal of Cleaner Production*, 291, 125–138;
9. Zhang, Y., & Chen, X. (2022). Big data analytics in food safety risk management. *Food Control*, 133, 108–117;
10. Aung, M. M., & Chang, Y. S. (2014). Traceability in a food supply chain: Safety and quality perspectives. *Food Control*, 39, 172–184;
11. საქართველოს პარლამენტი. (2012). სურსათის/ცხოველის საკვების უსაფრთხოების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;
12. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2024). 2024–2027 წლების სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამული მონაცემები;
13. სურსათის ეროვნული სააგენტო. (n.d.). ნლიური ანგარიშები.

სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების ახალი პარადიგმა (საქართველოს მახალითში)

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2026.01.04>

ზურაბ ლომსაძე

სტუ-ის ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო
ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი
ცენტრის დირექტორი,
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
<https://orcid.org/0009-0008-6464-5875>
E-mail: z.lomsadze@gtu.ge

გოჩა უგულავა

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
<https://orcid.org/0009-0006-18815357>
E-mail: gocha.ugulava@cue.edu.ge

გოჩა თუთბერიძე

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის პროფესორი
<https://orcid.org/0000-0001-5321-6874>
E-mail: gocha.tutberidze@cue.edu.ge

ნოდარ ჭითანავა

ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა
და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
<https://orcid.org/0009-0004-5716-0694>
E-mail: nodarchitanava@gmail.com

ანოტაცია

თანამედროვე პირობებში სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემების მიმართ სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მეცნიერების მხრივ ინტერესი გაძლიერდა. ეს კანონზომიერი მოვლენაა, რომელიც ქვეყნის განვითარების გარე და შიდა ფაქტორების გავლენით ჩამოყალიბდა და გლობალიზაციის (ლოკალიზაციის) წინააღმდეგობრივი პროცესების ტერიტორიული (რეგიონული) თავისებურებებისა და ტენდენციების ღრმა ანალიზს, მდგრადი განვითარების პრინციპებზე გადასვლის თეორიულად გააზრების, მეთოდურად დასაბუთებისა და პრაქტიკულად უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელების ამოცანას აყენებს. სტატიაში განხილულია საქართველოში სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემები, გაანალიზებულია მიმდინარე პროცესების პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური ასპექტები, შეფასებულია ის ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწვევს სასოფლო ტერიტორიების განვითარებაში ნეგატიური პროცესების წარმოქმნას.

შემოთავაზებულია სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების ახალი პარადიგმა: სასოფლო ტერიტორიების განვითარება-მოდერნიზაცია ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების განმსაზღვრელი პირობა-ფაქტორია; სასოფლო ტერიტორიების – ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სივრცე-რესურსის, რომელიც ასრულებს საწარმოო-ეკონომიკურ, სოციალურ-დემოგრაფიულ, კულტურულ, ბუნება დამცველ, რეკრეაციულ და სხვა ეროვნულ (სახელმწიფოებრივ) ფუნქციებს, გამოყენების, დაცვის და პოტენციალის მართვის საკითხები მიზანშეწონილია განხილულ იქნას სისტემური (ჰოლისტიკური) მიდგომების საფუძველზე; ტერიტორიის განვითარების პროცესის მდგრადი კომპონენტებია: მოსახლეობა (საზოგადოება), მეურნეობა (ეკონომიკა), ტერიტორია (გარემო). მათი განვითარება უნდა წარიმართოს ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე; დაცული იქნას ტერიტორიის განვითარების პროგრამების სინქრონიზაციისა და კომპლექსურობის პრინციპები.

საკვანძო სიტყვები: სასოფლო ტერიტორია, მდგრადი განვითარება, პარადიგმა, მოდერნიზაცია, სტრატეგია.

A NEW PARADIGM OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF RURAL AREAS (BY THE EXAMPLE OF GEORGIA)

Zurab Lomsadze

Director of the I. Zhordania Research Center of Georgia,
Chief Researcher
<https://orcid.org/0009-0008-6464-5875>
E-mail: z.lomsadze@gtu.ge

Gocha Ugulava

Associate Professor, Central European University
<https://orcid.org/0009-0006-18815357>
E-mail: gocha.ugulava@cue.edu.ge

Gocha Tutberidze

Professor, Central European University
<https://orcid.org/0000-0001-5321-6874>
E-mail: gocha.tutberidze@cue.edu.ge

Nodar Chitanava

I. Zhordania Research Center Chief Researcher, Georgian
Center for the Study of Industrial Forces and Natural
Resources
<https://orcid.org/0009-0004-5716-0694>
E-mail: nodarchitanava@gmail.com

ABSTRACT

Currently, there is increased interest in the problems of sustainable development of rural areas in modern conditions on the part of the state, society and science. This is a natural phenomenon, formed under the influence of external and internal factors in the country's development, which poses the task of a deep analysis of the territorial (regional) peculiarities and trends of the contradictory processes of globalization (localization), the development and implementation of measures for theoretical understanding, methodological substantiation and practical support for the transition to the principles of sustainable development. The article examines the problems of sustainable development of rural areas of Georgia, analyzes the political, state, social, economic and environmental aspects of current processes, and assesses the factors that contributed to the emergence of negative processes in the development of rural areas.

A new paradigm for sustainable development of rural areas is proposed: the development and modernization of rural areas is a determining factor in strengthening Georgian statehood; It is advisable to consider issues of use, protection and potential management of rural areas as the most important resource of the country, performing industrial, economic, socio-demographic, cultural, environmental, recreational and other national (state) functions – on the basis of a systemic (holistic) approach; the sustainable components of the territorial development process are: population, economy, and territory. Their development must be carried out on a unified conceptual and methodological basis; the principles of synchronization, complexity and multifunctionality of territorial development programs must be observed.

Keywords: rural area, complexity, sustainable development, paradigm, modernization, strategy.



ქირითადი ტექსტი

საქართველოს ტერიტორია მოიცავს უნიკალურ ბუნებრივ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, ისტორიულ-კულტურულ პოტენციალს, რომლის რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებაზე არსებითად დამოკიდებული მდგრადი განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

თანამედროვე პირობებში სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემების მიმართ სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მეცნიერების მხრივ ყურადღება გაძლიერდა. ეს კანონზომიერი მოვლენა ჩამოყალიბდა ეგზო (გარე) და ენდო (შიდა) ფაქტორების გავლენით სწრაფად ცვალებადი გამონვევებით და გამომდინარეობს გლობალიზაციის, როგორც პროცესის განვითარების ტენდენციებიდან [მზარდი ინფორმაცია, ინტენსიური კომუნიკაცია, სამუშაო ძალის, საქონლის, კაპიტალის მოძრაობის (გაადგილების) მასშტაბების გაფართოება, რეგიონალიზაციის (ლოკალიზაციის) პროცესების განვითარება, ქვეყნებს, ბაზრებსა და ტერიტორიებს შორის კონკურენციის გაძლიერება, ტერიტორიის განვითარების ეგზოგენურ ფაქტორებთან წვდომისა და შიდა ფაქტორების სრული ამოქმედების კონკურენტუნარიანობის ამაღლების საჭიროება და სხვა].

საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების თავისებურებების (ტენდენციების) სისტემური ანალიზით დადასტურდა, რომ სასოფლო ტერიტორიების განვითარების მიმართ ტრადიციული მიდგომების ალტერნატიული შეცვლა აუცილებელია. გარდამავალი პერიოდის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა სპონტანურად ჩამოყალიბებული „სტრატეგიებით“ განხორციელდა, ხოლო თავად საბაზრო პრინციპების დამკვიდრების ობიექტური პროცესი – დამანგრეველ ფაქტორად იქცა. ამასთან, თეორიულ-პოლიტიკური ხასიათის სტრატეგიული შეცდომა იყო იდეოლოგიზებული დოქტრინის, „შოკური თერაპიის“ გამოყენება ტოტალიტარული ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიად. აღმოჩნდა, რომ იგი შეუთავსებელი

იყო ქვეყნის განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

მეორე. თეორიულ-ეკონომიკური ხასიათის სტრატეგიული შეცდომა იყო ის, რომ ობიექტურად ვერ განისაზღვრა ეკონომიკის ახალ თვისებრიობაში გადასვლის სასტარტო გარემო და რესურსული პოტენციალი; ყურადღება არ მიექცა განვითარების უნიკალურ ხასიათს, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა იწყებოდა თვისებრივად სხვა სასტარტო პირობებიდან, ვიდრე ეს ისტორიულად განხორციელდა კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში. გეგმიანი ეკონომიკა იყო გარდაქმნების სასტარტო ბაზა. იგი უფრო ახლოს იდგა თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ მოდელებთან, ვიდრე „ველური კაპიტალიზმის“ პერიოდის ეკონომიკურ სისტემებთან. ასეთი შეცდომა შემდგომში, გარდაქმნების წარუმატებლობის განმსაზღვრელი მიზეზი აღმოჩნდა.

მესამე. თეორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ხასიათის შეცდომა იყო არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტიქიურად, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე დაშლა, გარდაქმნების რთული პროცესის რეგულირებაში სახელმწიფოს პასიური პოზიცია, რამაც გამოიწვია ის, რომ მის „ნიშას“ კრიმინალური ცნობიერების საფუძველზე სპონტანურად ჩამოყალიბებული ჯგუფები დაეუფლნენ. დადგა შედეგიც: ეკონომიკური გარდაქმნების პროცესი აღმოჩნდა ბაზრის კრიმინალურ-მაფიოზური რეგულირების სტადიაში. თავად ფორმირებადმა სახელმწიფომ მისი ტრადიციული და მით უფრო ქვეყნის განვითარების იმ ეტაპზე ექსკლუზიური ფუნქციები ვერ შეასრულა.

მეოთხე. ქვეყანაში პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებში დაშვებულია სტრატეგიული ხასიათის თეორიულ-მეთოდოლოგიური შეცდომები. კერძოდ, რეფორმები ეკონომიკის დარგების მიხედვით ერთმანეთისგან იზოლირებულად წარიმართა. მას კომპლექსური, თანმიმდევრული ხასიათი, ერთიანი მეთოდოლოგია არ ჰქონდა.

მეხუთე. ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესი, ისევე როგორც ფორმაციული ცვლილებების მთავარი მოტივაცია, მთლიანად პოლიტიზებული იყო. ახალი „იდეოლოგიების“ მთელი ძალისხმევა არსებული, სოციალისტურად წოდებული ეკონომიკის, კულტურის, მორალის საფუძველშივე მოსპობას ემსახურებოდა. საზოგადოება ილუზიებში აღმოჩნდა. მოსახლეობის ნაწილი კრიმინალურ აზროვნებას ეზიარა, ქვეყნის გარედან „მოკური“ ზემოქმედებით საქართველოს პარლამენტი იძულებული გახდა ხის მორებისა და შავი ლითონის ჯართის ექსპორტის შესახებ გადამწყვეტილება მიეღო. ამით **სათავე დაედო ეროვნული სიმდიდრის საყოველთაო ძარცვის პროცესს.** კადრების შერჩევაში დაშვებულ შეცდომებს მოჰყვა მმართველობითი კრიზისი. ყოველივე ამის შედეგად ბუნებრივია ათეული წლების განმავლობაში კრიზისულ მდგომარეობაში

„ფუნქციონირება“ ეროვნული ეკონომიკა. ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი მკვეთრად დაეცა. **მხოლოდ 2018 წელს მოხერხდა მშპ-ის 1990 წლის დონეზე გასვლა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მრავალდარგოვანი აგრარული მეურნეობა.**

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა მაღალი ტემპებით იზრდება და სოფლის განვითარების ხელშემწყობი გარემოც ყალიბდება, დღევანდელი სასოფლო ტერიტორია, ფაქტობრივად, **წარმოადგენს დებრესიულ სფეროს, რომლის განმსაზღვრელია მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობა, სიღარიბე, ტერიტორიათაშორისი უთანაბრობა, უმუშევრობა, ეკონომიკურ ზრდასა და შესაძლებლობებზე არათანაბარი წვდომა, ადგილობრივი მმართველობის არასაკმარისი ფინანსური შესაძლებლობები, სოფლის განვითარებაში მოსახლეობის ჩართულობის დაბალი დონე და სხვ.**

აღსანიშნავია თავისებურებაც, რომელიც ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესებში დაფიქსირდა: ქვეყნის განვითარების წინა პერიოდებში გადაუწყვეტელი და ახლად (საბაზრო პირობებში) წარმოქმნილი პრობლემები რთულ კვანძებად ჩამოყალიბდა. მაგალითად, მიწების სპონტანურად და შესაბამისი სამართლებრივი ბაზისა და სტრატეგიის გარეშე ჩატარებულმა პრივატიზაციამ გამოიწვია ფართობების ფრაგმენტაცია და მრავალნაკვეთიანობის მაჩვენებლის ზრდა (წვრილ ოჯახურ მეურნეობებს, რომლებზეც მოდის სოფლად საბაზრო სუბიექტების საერთო რაოდენობის 98%-ზე მეტი, საშუალოდ 1,22 ჰექტარი მიწის ფართობი გააჩნია. ნაკვეთების რაოდენობაა 2,33, ერთი ნაკვეთის საშუალო ზომა – 0,52 ჰა). ისინი აწარმოებენ ხორბლის, სიმინდის, კარტოფილის, ხილის, ბოსტნეულის, ყურძნის, ციტრუსების 90%-ზე მეტს. ანალოგიური სურათია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მხრივაც.

ასეთი ტიპის საოჯახო მეურნეობები ზღუდავს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ეფექტიან გამოყენებას.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მკვეთრად დაეცა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე, მწარმოებლობის მაჩვენებელი, ინვესტიციები, კვალიფიციური კადრების მომზადების სისტემა მოიშალა, ძირითადი საწარმოო ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯართის სახით გასხვისდა საზღვარგარეთ. სარწყავი ფართობები მკვეთრად შემცირდა, ნიადაგის ნაყოფიერების ღონისძიებები არ ხორციელდება. კადრების დეფიციტი ხელს უშლის წარმოებისა და შრომის თანამედროვე ორგანიზაციული ფორმების გამოყენებას, სოფლის ტერიტორიების დაბალანსებული განვითარების პრინციპებზე გადასვლას.

ასეთ არასტაბილურ სიტუაციაში ლოგიკურია ვეძებოთ ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიულად სწორი მიმართულებებით განვითარების გზები. ამ მხრივ

მნიშვნელოვანია სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარება. ამ კონტექსტში შემოთავაზებულია სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების ახალი პარადიგმა. მას საფუძვლად უდევს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და ინსტიტუციური ფაქტორების (უპირატესად ადგილობრივი რესურსული პოტენციალის) რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების, ადგილობრივი საჯარო, კერძო და სამოქალაქო საზოგადოების როლის, ხელისუფლების (ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი) ყველა დონის შესაძლებლობების, ქვეყანაში ფუნქციონირებადი საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური სტრუქტურების, პარტნიორული ორგანიზაციების ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის ანალიზი.

სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარების უპირატესობაა, რომ განვითარების პროცესი იწყება შიდა (ენდოგენური) რესურსების პოტენციალის ეფექტიანად ათვისების მნიშვნელობის გაცნობიერებისა და პარტნიორული ურთიერთობების (თანამშრომლობის) გაღრმავების ფორმების ძიების მოტივაციით. სწორედ ასეთ ფონზეა შესაძლებელი ერთი მხრივ, მიწის (როგორც ბუნებრივი რესურსის, წარმოების ფაქტორის, მეურნეობრიობის (სამართლებრივი ურთიერთობების) ობიექტის, მეორე მხრივ, წარმოების განვითარების ძირითადი ფაქტორების (შრომა, კაპიტალი, მენარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) განვითარების ერთიან ინტეგრირებულ პროცესში ჩართვა და, მესამე მხრივ, ეგზოგენური ფაქტორების (გეოეკონომიკა, მსოფლიო ბაზრებში მონაწილეობა, საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავება, ეკონომიკური დემოკრატიის დროის გამომწვევებთან ადეკვატურობის პრინციპების დაცვა) გამოყენების ეფექტიანი გარემოს შექმნა. ეს კი ტერიტორიაზე შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მასშტაბური გაღრმავების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და საბოლოოდ მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების წინაპირობებს აყალიბებს.

ქვეყნის სასოფლო ტერიტორიების განვითარების დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა ობიექტურად განსაზღვრავს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრინციპებზე გადასვლის თეორიულად გააზრების, მეთოდურად დასაბუთებისა და პრაქტიკულად უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელების აუცილებლობას.

ტერმინი „მდგრადი“ გაეროს ეგიდით ჩატარებულ რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციაზე (1992 წ.) შემდეგანირად განისაზღვრა: „მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც ცხოვრების მაღალი დონის მიღწევას გულისხმობს“.

„მდგრადი განვითარება არის ახლანდელი თაობის

მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს მომავალი თაობების შესაძლებლობებს, დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილება“. ვიკიპედიის მიხედვით „მდგრადი განვითარება, ასევე ჰარმონიული განვითარება, დაბალანსებული განვითარება – არის ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების პროცესი, რომელშიც ბუნებრივი რესურსები, ინვესტიციების მიმართულებები, სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ორიენტაცია, პიროვნების განვითარება და ინსტიტუციური ცვლილებები შეთანხმებულია ერთმანეთთან და ამაგრებენ ახლანდელ და მომავალ პოტენციალს იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ადამიანური მოთხოვნილებები და მისწრაფებები“.

ასეთი მიდგომა მდგრადი განვითარების რეალობის უფრო სრული სურათის გაცნობიერების საფუძველს იძლევა.

აღიარებულია, რომ მდგრადი განვითარება (საზოგადოება) უნდა დაეყრდნოს ბუნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობათა მართვის (რეგულირების) აღნიშნულ პრინციპებს. ეს რთული ამოცანა-პროცესია, რომლის დინამიკა განისაზღვრება მეცნიერების (როგორც ასეთის და არა მხოლოდ ერთი დარგის) და ეკონომიკის ურთიერთგანპირობებულობის დონით (ხარისხით). იგულისხმება რომ ეკონომიკა მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიაზე ტრადიციულთან ერთად სპეციფიკურ მიზნებს ემსახურება. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების ხარისხის დინამიზმს, განვითარებად ქვეყნებში შიმშილისგან თავის დაღწევის გზების ძიებას, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში – სოციალისტური მეურნეობრიობის სისტემიდან საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში დაშვებული შეცდომების გაცნობიერებას.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდი რიგი, მანამდე უცნობი თავისებურებებით, ტენდენციებით გამოირჩევა და მოითხოვს სისტემური მიდგომებით კვლევას, სიღრმისეულ ანალიზს, განვითარების კანონზომიერებათა გამოვლენას, თანამედროვე მიდგომებით პერსპექტივის განსაზღვრას და სხვა.

მიზნები და ამოცანები

გამოკვლევის მიზანია სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების კონცეპტუალური (თეორიული) დასაბუთება და ქვეყნის რესურსული პოტენციალის მიზნობრივი პროგრამებით (პროექტებით) მართვის სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავება.

გამოკვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია შემეცნების დიალექტიკური მეთოდი, რომელიც პროცესებს, მოვლენებს იხილავს მათ მუდმივ განვითარებასა და ურთიერთკავშირში, მეცნიერული აბსტრაგირების, ინდუქციის, დედუქციის, ისტორიულ-ლოგიკური, სისტემურ-ფუნქციური, შედარებითი ანალიზის, ეკონომიკურ-მეთოდოლოგიური მოდელირების, ინფორმაციების

მოძიებისა და დამუშავების ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები და სხვა.

მიზნის განხორციელების ძირითადი ამოცანებია:

- **თეორიული და მეთოდური მიდგომებით იმის დასაბუთება, რომ სასოფლო ტერიტორია წარმოადგენს ქვეყნის ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთიანი ტერიტორიული სივრცის ნაწილს, რომელმაც კომპლექსურად უნდა შეასრულოს საწარმოო-ეკონომიკური, სოციალურ-დემოგრაფიული, კულტურული, ბუნებადამცველი, რეკრეაციული და სხვა ეროვნული (სახელმწიფოებრივი) ფუნქციები.**

- **სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების თავისებურებების, ტენდენციების, კანონზომიერებათა შესახებ არსებული გამოცდილების შესწავლა-ანალიზი როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში.**

ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ სწორად გავაცნობიეროთ პოზიტიური და ნეგატიური მოვლენები, გამოყენებული კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომების მართებულობა; უფრო ღრმად გავიაზროთ გლობალურ პროცესებთან ლოკალური ტერიტორიების განვითარების ინტერესების თავსებადობისთვის რეალური პირობების შექმნა; **როგორ გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო პირობები, შრომითი ტრადიციები, შიდა რეგიონული თავისებურებები პოსტ-სოციალისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბებული ნეგატიური მხარეების აღმოსაფხვრელად და გავატაროთ შესაბამისი ღონისძიებები; თავიდან ავიცილოთ ის შეცდომები, რომლებიც ადრე თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო ტერიტორიების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იყო დაშვებული. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ჩვენი ჩამორჩენა ვაქციოთ რეალურ შესაძლებლობად (ფაქტორად), რომ კონცეპტუალურად და მეთოდურად საკუთარი რესურსული, პირველ რიგში, ბუნებრივ-საწარმოო და ინტელექტუალური პოტენციალის ამოქმედებით განვსაზღვროთ მდგრადი განვითარების პრინციპები, ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც გარე (ეგზოგენური), ასევე შიდა (ენდოგენური) ფაქტორების ერთობლივად გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული.**

- **საქართველოში სასოფლო ტერიტორიების განვითარების თანამედროვე მდგომარეობის სისტემური მიდგომებით შესწავლა-ანალიზი.**

ეს ამოცანა მოითხოვს სასოფლო ტერიტორიების განვითარების შესახებ ქვეყანაში შექმნილი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის, საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობების პროგრამული დოკუმენტების ანალიზს და შეფასებას. ეს რთული ამოცანა საზოგადოებრივი ურთიერთობების ახალი მოვლენების ობიექტურად გაცნობიერების სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ამიტომ საჭიროებს კონკრეტულად ეროვნული ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, გარდაქმნების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტების, თავისებურებების, მუნიციპალიტეტების ტერიტორიის განვითარებაზე ასახული ტენდენციების, ეკონომიკური კრიზისის, ცხოვრების დონის დაცემის, ეკონომიკური ინტერესების (პიროვნული, საზოგადოებრივი, სახელმწიფო) დაპირისპირების, კრიმინალური ცნობიერების აღზევების, მმართველობითი სისტემების პარალიზების, კუთხური სეპარატიზმისა და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების გამომწვევი მიზეზების ობიექტურად ახსნას. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სუბიექტის, წარმოების საშუალებების მესაკუთრისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფაქტობრივად ტრანსფორმაციული პროცესებიდან ჩამოცილების მიზეზების ღრმა ანალიზი.

- **როგორ გამოიყენება ამჟამად სასოფლო ტერიტორიებზე წარმოების ძირითადი ფაქტორები:** მიწა, შრომა, კაპიტალი, მენარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება. თითოეული ფაქტორის განხილვა-ანალიზი მოგვცემს საშუალებას, ობიექტურად შეფასდეს მათი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, რომელთა მიმართ სწორი რეაგირება (შესაბამისი რეკომენდაციებით) ხელს შეუწყობს მათ კონსოლიდირებულად და ეფექტიანად გამოყენების ხელსაყრელი პირობების (გარემოს) ჩამოყალიბებას. სისტემური მიდგომებით უნდა გაანალიზდეს მრავალსუბიექტიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირების ფონზე (კერძო, ნვრილი სასაქონლო, სახელმწიფო და შერეული ტიპის) ეკონომიკური წყობები, წარმოებითი ურთიერთობების განვითარების ტენდენციები და პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების წინაპირობები.

- **სასოფლო ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების გამოყენების, დაცვისა და პოტენციალის მართვის პრობლემების განხილვა მიზანშეწონილია სისტემური (ჰოლისტიკური) მიდგომების საფუძველზე, რაც გულისხმობს ბუნებრივი რესურსების, როგორც ინტეგრირებული სისტემის (მთელის) განხილვას (ანალიზს) შემადგენელი ნაწილების ურთიერთგანპირობებულობის დონის გათვალისწინებით. მაგალითად, მიწა (ბუნებრივი რესურსი - წარმოების ფაქტორი - მეურნეობრიობის (სამართლებრივი ურთიერთობების) ობიექტი (უძრავი ქონება).**

მიწა როგორც ბუნებრივი რესურსი - სისტემა, მოიცავს ნიადაგს, ნიალისეულს, ტყის, წყლის, რეკრეაციულ რესურსებს, საცხოვრის სივრცეს (შენობა-ნაგებობები), რომელთა რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებაზეა დამოკიდებული მოსახლეობის აღწარმოება, ასევე სოციალური და ეკონომიკური დანიშნულების ობიექტების გაადგილების სივრცეს (აქ ფუნქციონირებს სამუშაო ძალა, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებს სოფლად საწარმოო ძალების განვითარებაში),

ტერიტორიას, რომელიც აღიარებულია პოლიტიკური სტატუსით – სახელმწიფო საზღვარი.

- როგორია სივრცითი მოწყობის, მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ურთიერთკავშირები მიწის კონსოლიდაციის სწორად წარმართვის, მიწათსარგებლობის სქემის შედგენისა და მის საფუძველზე ტერიტორიის მდგრადი განვითარების პროგრამის შემუშავებისათვის. სასოფლო ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმა გათვალისწინებულია 2035 წლამდე ჰქონდეს ყველა მუნიციპალიტეტს.

სივრცითი მოწყობის გეგმასთან ერთად მიზანშეწონილია ჩატარდეს მიწების ინვენტარიზაცია, რომლის შედეგები საფუძველად დაედება მიწათმოწყობის (მიწათსარგებლობის) სქემების დამუშავებას, მათ საფუძველზე მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების პროგრამის შედგენას.

- როგორ არის გამოყენებული და მეცნიერულად დამუშავებული ტერიტორიის განვითარების პროგნოზირება და სტრატეგიული დაგეგმვა (პოლიტიკის პროგრამირება-დაგეგმვა), ინფორმაციული უზრუნველყოფა, მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების როლის გაძლიერების მოტივაცია.

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებაში არსებული მდგომარეობის ანალიზით ობიექტურად უნდა აისახოს ის მიზეზები, რომლებიც აფერხებენ საქართველოს პირობებში სასოფლო ტერიტორიის განვითარების ფაქტობრივად უალტერნატივო ფორმის – კოოპერაციის გამოყენებას. ცხადია, რომ წვრილი ოჯახური მეურნეობების ეფექტიანად განვითარების გზა კოოპერაციაზე გადის. განსაკუთრებით ეს ეხება პროდუქციის რეალიზაციის, ნედლეულის გადამუშავების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურების ფორმებს.

- გაანალიზდეს სოფლად საშუალო ფენის ფორმირების ორგანიზაციული, ეკონომიკური, სოციალური წინაპირობები. სასოფლო ტერიტორიის განვითარებაში სახელმწიფო პროტექციონიზმის როლი, ტერიტორიაზე განხორციელებული (ან დაგეგმილი) სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, სტიმულირების ფორმები, დემოგრაფიული მდგომარეობა, მიგრაციის, უმუშევრობის, რურალიზაციის (ქალაქის მოსახლეობის სოფლად გადასვლის პროცესი) მაჩვენებლები.

- როგორ არის გამოყენებული მდგრადი განვითარების ინდიკატორები: ეკოლოგიური (ეკოსისტემების დაცვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება), სოციალური (გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობის ყველა ჯგუფის ჩართვა განვითარების გადაწყვეტილებების მიღებაში), ეკონომიკური (მოსახლეობის საბაზო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რესურსების სამართლიანი განაწილება, საზოგადოებრივად სასარგებლო პროდუქციისა და მომსახურების წარმოების ზრდა), ინსტიტუციური განვითარების (პოლიტიკის პროგრამირება და დაგეგმვა, სამეცნიერო დამუშავებები, საერთაშორისო

სამართლებრივი ინსტრუმენტები, ინფორმაციული უზრუნველყოფა, ტერიტორიის განვითარებაში მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების როლის ზრდა).

- როგორ ყალიბდება ურთიერთობები ადგილობრივ საჯარო სექტორს, ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასა და ადგილობრივ კერძო სექტორს შორის. როგორია დეცენტრალიზაციის დონე, საჯარო-კერძო სექტორის პარტნიორობა, ადგილობრივი, მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარება, ტერიტორიის განვითარებაში დონორი ორგანიზაციების მონაწილეობა, ცირკულარული ეკონომიკის მოდელზე გადასვლის წინაპირობები, ბიუჯეტმორისი ურთიერთობების მექანიზმი, მუნიციპალიტეტის ინფორმაციული ბაზა და სხვა.

ზემოთ აღნიშნული და კვლევის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების განხილვის (ანალიზის) შედეგები (ინფორმაციული ბაზა) გათვალისწინებული იქნება კონკრეტული მუნიციპალიტეტის სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პროგრამაში.

- საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში დადასტურდა, რომ რთული პროცესების მართვა მხოლოდ მიზნობრივ-პროგრამული მიდგომებით არის შესაძლებელი, რომ ეკონომიკის დაგეგმვისა და საბაზრო მექანიზმების თანაარსებობა აუცილებელია. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ამით (ურთიერთმოქმედებით) მიიღწევა ეფექტიანობა. სასოფლო ტერიტორიის განვითარების პროგრამა ის ინსტრუმენტია, რომლის გამოყენებით პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების მწვავე პრობლემების გადაწყვეტა იგეგმება „ქვევიდან“, ეფუძნება კონსულტაციების, შეთანხმებების (კომპრომისების) პრინციპს და უფრო სრულად გამოხატავს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ინტერესებს, ამასთან ასრულებს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების ფუნქციას.

სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარების მიზნობრივ პროგრამაში სამ მთავარ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

პირველი – განვითარების რომელ საფეხურზეა ტერიტორია (ჩვენს შემთხვევაში სასოფლო მუნიციპალიტეტი), როგორია მისი ფუნქციონირების ბუნებრივ-საწარმოო, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური თავისებურებები, ტენდენციები. ეს გვჭირდება იმისათვის, რომ ვიცოდეთ როგორია განვითარების სასტარტო ბაზა, საზოგადოების ქცევის მოტივაცია, გლობალურ პროცესებთან ადაპტირების დონე, ინტეგრაციული პროცესების განვითარების ხარისხი, სივრცობრივი ასპექტები, ცხოვრების დონე და ა.შ., რაც საფუძველად უნდა დაედოს განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის პროგნოზირებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ობიექტურად და ერთიან კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომებით შეფასდეს არსებული მდგომარეობა.

მეორე – როგორია ტერიტორიის განვითარების სტრატეგიული მიზანი. ამ შემთხვევაში საკმარისი არ

იქნება ვიცოდეთ მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობები, აუცილებელია გარემოსა და სხვათა ინტერესების (მომიჯნავე ტერიტორიების) შესწავლა-შეფასება, მათი თანხვედრის, თუ დაპირისპირების, მოსალოდნელი გამონვევების პროგნოზირება (ეს ძირითადად ეხება ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენებას), რათა განისაზღვროს განვითარების ოპტიმალური მიმართულებები.

მესამე – როგორ, რომელი რესურსებით (ნიადაგი, წყალი, ნიაღვრე, შრომითი და სხვა) და რა პერიოდში ვგეგმავთ დასახული სტრატეგიული მიზნის მიღწევას. ამისათვის საჭიროა სწორად განისაზღვროს განვითარების ადეკვატური ფორმები და მექანიზმები, დაფინანსების წყაროები. ასეთი მიდგომებით შედგენილი პროგრამის პროექტს იხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. მისი განხორციელებისათვის განისაზღვრება მონიტორინგის შესაბამისი ფორმა.

სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარების ახალი პარადიგმის ძირითადი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

- **სასოფლო ტერიტორია ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სივრცე-რესურსია**, რომელიც ასრულებს საწარმო-ეკონომიკურ, სოციალურ-დემოგრაფიულ, კულტურულ, ბუნებადამცველ, რეკრეაციულ და სხვა ეროვნულ (სახელმწიფოებრივ) ფუნქციებს. მის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებაზე არსებითად დამოკიდებული **მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება** (ეროვნული უსაფრთხოების ჩაუნაცვლებელი ნაწილი), ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა (აუცილებელი პირობა საზოგადოების განვითარებისათვის), ქვეყნის იდენტობის, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება-განმტკიცება (გათანამედროვეობა).

- **ტერიტორიის მდგრადი განვითარება** ეფუძნება ალიარებულ პრინციპს, რომლის შესაბამისად საზოგადოების დღევანდელი მოთხოვნილებები ისე უნდა დაკმაყოფილდეს, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. ფორმითა და შინაარსით ინოვაციური მიდგომა პრიორიტეტს ანიჭებს ღარიბებს, მათი შესაძლებლობების გაფართოებას. **უფრო მეტიც, სიღარიბის აღმოფხვრა განსაზღვრულია მდგრადი განვითარების აუცილებელ პირობად.**

- **პრინციპული მნიშვნელობა აქვს სასოფლო ტერიტორიის განვითარების ინდიკატორების შერჩევას**, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის წარმოებას, დემოგრაფიულ განვითარებას, საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურას და ა.შ.

ინდიკატორების განსაზღვრის ამოსავალი საწყისია გაეროს მიერ დამტკიცებული მდგრადი განვითარების ინდიკატორების სისტემა და ტერიტორიის განვითარების პრობლემების კვლევის შედეგად ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით განსაზღვრული

(გამოვლენილი) ინდიკატორები.

- **ტერიტორიების მდგრადი განვითარების კონცეპტუალური საწყისი უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპი**, ქვეყნის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური განვითარების კომპლექსურობა. ამიტომ თვისებრივად განსხვავებული მიდგომა საჭირო სახელმწიფოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფორმირების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ბაზის განსაზღვრის მიმართ. ამ თვალსაზრისით **მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტების ტერიტორიის მდგრადი განვითარების პროცესი განვიხილოთ როგორც ინტეგრირებული სისტემა, რომლის მდგრადი კომპონენტებია: მოსახლეობა (საზოგადოება), მეურნეობა (ეკონომიკა), ტერიტორია (გარემო). მათი განვითარება უნდა წარიმართოს ერთიან კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ საფუძველზე. ამით მიიღწევა ტერიტორიაზე მმართველობითი ზემოქმედების ეფექტიანობა, რომელიც დააჩქარებს მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.**

- **აუცილებელია სასოფლო ტერიტორიების განვითარების მიზნობრივი პროგრამების სინქრონიზაცია**. იგულისხმება სახელმწიფო, დარგობრივი, მუნიციპალური, ინვესტიციური (ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების პროგრამები, გზების, გაზსადენების, წყალმომარაგების ქსელების მშენებლობის პროექტები და სხვა).

- **ტრადიციისამებრ, დღემდე დამკვიდრებულ „სასოფლო ტერიტორიას“ მნიშვნელოვანწილად უკავშირებენ მხოლოდ იმ ადგილს, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა განვითარებული (აგრარული სექტორი – სისტემაშემქმნელი ფაქტორი)**. თანამედროვე პირობებში, როცა გლობალური პროცესები მასშტაბურად და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სწრაფად ვითარდება, სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარების სტრატეგიაში, აგრარული სფეროს გარდა, გასათვალისწინებელია სხვა დარგების განვითარების პოტენციალი (პერსპექტივა). კერძოდ, ტერიტორიის კომპლექსურად, რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების საკითხი. **მომავალში პრიორიტეტი მიეცემა მრავალფუნქციურ მიდგომას, რაც ხელს შეუწყობს ბუნებრივ-რესურსული, სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული პოტენციალის უფრო სრულად ათვისებას და შესაბამისად ტერიტორიის მართვის სისტემის ოპტიმალურობას.**

- **საბაზრო ურთიერთობების განვითარების დღევანდელ ეტაპზე სოფლად ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის სოციალური პრობლემები**. დღევანდელი სოფლის სახეს არსებითად მწვავე დემოგრაფიული მიდგომარეობა და სიღარიბე განსაზღვრავს, ამიტომ სასოფლო ტერიტორიების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკით უნდა განისაზღვროს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- **დემოგრაფიული მიდგომარეობის გაჯანსაღების კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავება-განხორციე-**

ლება და ქალაქიდან სოფლის დასახლებებში გადასვლის (დასავლეთის ქვეყნებში ამ პროცესს რურალიზაციას ეძახიან) მატერიალური და მორალური სტიმულირება. შესაბამისი კანონმდებლობით, უნდა შეიზღუდოს ურბანიზაციის პროცესი. **სოფელს (თემს) ადგილობრივი პირობების შესაბამისად უნდა განესაზღვროს სტატუსი.** მას მუდმივ სარგებლობაში უნდა გადაეცეს ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი (საძოვარი, სათიბი, წყლის ფონდი, ტყის ფონდი).

- მიზნობრივად განხორციელდეს ეკონომიკის დივერსიფიკაცია, თანამედროვე სოციალური, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა და სხვ. ტერიტორიის (მუნიციპალიტეტის) მდგრადი განვითარების პროგრამაში უნდა აისახოს ეკონომიკური, სოციალური, ბუნებრივ-კლიმატური, საკადრო პოტენციალის ამოქმედების მიზნები და ეტაპობრივი ამოცანები, დაფინანსების წყაროები და მართვის მექანიზმები. **სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების მხარდაჭერის ფუნქცია.**

- სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია ტერიტორიის განვითარების მონიტორინგი და მიზნობრივი პროგრამა, რომლითაც განსაზღვრულია შესაბამისი ინდიკატორები, მიზანი და ამოცანები. ასეთი პროგრამის ფორმირება უნდა მოხდეს ტერიტორიის სივრცის დაგეგმარების გეგმისა და მიწის ინვენტარიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული მინათმონყოფის სქემის საფუძველზე.

- სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების დროის გამონევენების შესაბამისად თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. ამჟამად მოქმედი სახელმწიფო, რეგიონული, დარგობრივი სტრატეგიები უფრო მეტად დეკლარაციული ხასიათისაა. დასახული მიზნები და ამოცანები არ ემყარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით შემოთავაზებულ სიახლეებს (ეს უფრო მეტად ეხება მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას), ასევე ეკონომიკის დივერსიფიკაციის, სანარმოო და შრომითი რესურსების აღწარმოების, ცხოვრების დონის (ხარისხის) ამაღლების საკითხებს. ეს ხდება რეალობას მონევეტილი ადგილობრივი „სტრატეგიების“ გამო, ამიტომ განვითარების პროცესი მიზნობრივად არ წარიმართება. გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად ქვეყანაში სასოფლო ტერიტორიების განვითარებაში შექმნილი მდგომარეობა მრავალმხრივ პრობლემათა ერთობლიობაა, რომელთა გადაწყვეტას ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება, ამიტომ საჭიროებს ეტაპობრივ მიდგომას.

- სასოფლო ტერიტორიების განვითარება-მოდერნიზაცია ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობა-ფაქტორია.

იგი არა მხოლოდ ეკსკლუზიური როლით (ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფა) განისაზღვრება, არამედ

იმითაც, რომ მისი განვითარების მასშტაბებსა და ეფექტიანობაზე დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის ახალი, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაც. სასოფლო წარმოება ამოსავალი საბაზო საწყისია მომიჯნავე დარგების, კერძოდ, ნედლეულის გადამამუშავებელი, ქიმიური, სასოფლო, მანქანათმშენებლობისა და სხვა დარგების განვითარებისათვის.

- გეოეკონომიკური ფუნქციის (როგორც განვითარების სტრატეგიული რესურსის) ეფექტიანი გამოყენება სახელმწიფოს ხელს შეუწყობს ევროპისა და აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის პროცესში აქტიური როლი შეასრულოს. გაიზრდება მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო, განსაკუთრებით კი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, ახალ ტექნოლოგიებზე, კვალიფიციურ მუშახელზე და ა.შ. ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებით გაძლიერდება წვდომა რესურსებზე, კაპიტალის, პროდუქციისა და სამუშაო ძალის უფრო ეფექტიანად გამოყენებაზე.

- სასოფლო ტერიტორიის მდგრადი განვითარების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში განსაკუთრებული როლი აკისრია მინათმონყოფას. მისი ახალი სისტემის შექმნის ამოცანა მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს, კერძოდ, საკანონმდებლო ბაზის, მართვის ორგანიზაციული სისტემის, ეკონომიკური მექანიზმის ახალ პრინციპებზე ფორმირებას. ქვეყანაში მწვავედ დგას მიწების კონსოლიდაციის საკითხი. სოფლების, მუნიციპალიტეტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიწის ნაკვეთების, საძოვრების, განსაკუთრებით სახელმწიფო საზღვრების პრობლემა გადანევეტილი არ არის. გასათვალისწინებელია ის თავისებურებაც, რომ მინათმონყოფა, როგორც მიწის მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩამოყალიბებული სამართლებრივი, ეკონომიკური, საინჟინრო-ტექნიკური და სხვა სამუშაოთა თანმიმდევრული და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სისტემა, ქვეყნის მიწის რესურსების (მიწის სახელმწიფო ფონდის) მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენების მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც სახელმწიფოს საშუალებას აძლევს უზრუნველყოს მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სისტემური მართვა. ამიტომ, რომ მინათმონყოფა სახელმწიფო მართვის მეთოდად (ინსტრუმენტად) არის მიჩნეული და სახელმწიფო პოლიტიკით ხორციელდება. გამორიცხულია მინათმონყოფის ჩანაცვლება პროცესებზე ზემოქმედების სხვა მეთოდებით. ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს მინათმონყოფის ერთიანი (დარგთაშორისი ფუნქციებით) სამსახური. **დღევანდელ პირობებში მიზანშეწონილია მისი ფუნქციონირება მიწის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციულ სისტემაში.**

- სასოფლო ტერიტორიის კომპლექსურ განვითარებაში ფაქტობრივად არ მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. სასოფლო ტერიტორიის განვითარებაში კოოპერაციის როლის ამაღლების მიზ-

ნით მიზანშეწონილია: სპეციალური პროგრამით განხორციელდეს ღონისძიებანი კოოპერაციის უპირატესობის პოპულარიზაციისათვის, გათვალისწინებულ იქნეს ინვესტიციების ზრდა, ჩამოყალიბდეს კვალიფიციური კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, უპირატესობა მიეცეს მეორე დონის კოოპერატივებს, რაც ხელს შეუწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას, ვერტიკალური ინტეგრაციის შემდგომ გაღრმავებას. კოოპერატივების განვითარება უნდა წარიმართოს მიზნობრივი პროგრამებით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერაციის საქმიანობის ინსტიტუციური მოწყობა მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. კოოპერაციული მოძრაობის მიზანმიმართულად რეგულირებისათვის მიზანშეწონილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციულ სისტემაში შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების სააგენტო, რომელიც შემდგომ გარდაიქმნება წევრობაზე დაფუძნებულ იურიდიულ პირად. კოოპერაციის განვითარების დაჩქარების მიზნით მიზანშეწონილია შეიქმნას კოოპერაციული აგროსაკრედიტო ბანკი.

- სასოფლო ტერიტორიების მდგრად განვითარებაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის როლის განსაზღვრას. FAO-ს მიერ მიწის რესურსების გამოყენების დაგეგმვა აღიარებულია მდგრადი განვითარების მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ქვეყანაში მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით აუცილებელია ქვეყნის ტერიტორიის განვითარების ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებების (ვერტიკალური ზონალობა, ნიადაგის ტიპების მრავალფეროვნება, დარგობრივი სპეციალიზაციის დონე და სხვ.) გათვალისწინებით განისაზღვროს განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივა. იგულისხმება მიწაზე ყველა დარგის მოთხოვნილებათა გაცნობიერება, მიწის კატეგორიების შესაბამისად დაბალანსების ოპტიმალური სქემის შედგენა, მიწის იმ ფართობების გამოვლენა, რომლებიც მომავალში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (ათვისება, არსებულის გაუმჯობესება, მელიორაცია და სხვ.). მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა გეგმა განხორციელდება მიზნობრივი პროგრამებით (პროექტებით).

- პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის ობიექტია ქვეყნის ტერიტორიის მიწის ფონდი (მიუხედავად საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმისა). პირველ ეტაპზე უნდა შეფასდეს მიწის რესურსების გამოყენების დონე (მისი სამეურნეო, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური, ორგანიზაციულ-მმართველობითი ასპექტები), განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო მიწის რეზერვიც (სახელმწიფო მარაგი) და ამის შესაბამისად პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დამუშავდეს

მაჩვენებელთა პროგნოზული გაანგარიშებები. მხედველობაში უნდა მივიღოთ მიწის რესურსების ისეთი თავისებურებები, როგორცაა ბიომრავალფეროვნება, რომელიც ინდივიდუალურ მიდგომებს საჭიროებს. როგორც წესი, დაგეგმვისას დაცული უნდა იყოს კომპლექსურობა, უნდა განისაზღვროს დაგეგმვის იერარქიული დონეც. იგი უნდა იყოს ორსაფეხურიანი – ქვეყნისა (ცენტრალური) და მუნიციპალიტეტის დონეზე. მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პროგნოზირებისა და დაგეგმვის სამსახური დღევანდელ ეტაპზე მიზანშეწონილია ფუნქციონირებდეს მიწის მართვის ცენტრალურ ორგანოში (ამჟამად მიწის მართვის სააგენტოში).

- მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების პრობლემა არსებითად წყდება ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიულ საზღვრებში.

მუნიციპალური წარმონაქმნი, რომელიც რთული ინტეგრირებული სისტემაა, განიცდის როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი ფაქტორების არსებით გავლენას და დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკური განვითარების კონიუნქტურაზე. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების „საქმიანობა“ იმის ნათელი მაგალითი იყო, რომ მათ თვითრეგულირების რეჟიმში ფუნქციონირების უნარი არ აღმოაჩნდათ. ეს გამოცდილება იმის მაჩვენებელია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განვითარება არსებითად დამოკიდებულია შემდგომი ორგანოების საქმიანობაზე.

- ადგილობრივი თვითმმართველობა მიზანშეწონილია ორდონიანი იყოს: სოფელი, როცა მას საზღვრებით, მოსახლეობით, რესურსებით ნორმალური ფუნქციონირებისათვის პირობები გააჩნია და თემი, რომელიც მოიცავს რამდენიმე დასახლებას.

სოფელს (თემს) უნდა ჰქონდეს განვითარების გეგმა (მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის ნაწილი), რომელშიც ჩამოყალიბდება პრიორიტეტები (მოსახლეობის უშუალო ჩართულობით), განისაზღვრება ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც მიღებულია როგორც შიდა წყაროებიდან (მიწის (ქონების) გადასახადის, ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი საწარმოების, ვაჭრობის ობიექტებისა და სხვა ორგანიზაციების შემოსავლების სახით (საბიუჯეტო ფედერალიზმის პრინციპების გათვალისწინებით), ასევე სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული სახსრები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთის რეგიონების (მუნიციპალიტეტების), სოფლების (თემების) მდგრად განვითარებას.

ტერიტორიის განვითარების პროგრამაში განისაზღვრება პირობები, თუ როგორ იქნეს მიღწეული სასოფლო ტერიტორიის განვითარების პროცესის ინტეგრაცია განვითარების ყველა მიმართულებასთან, რათა დაბალანსდეს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრიორიტეტები, გაფართოვდეს დროის ჰორიზონტი და პროცესი მაქსიმალურად იყოს ინტეგრირებული სახელმწიფოს გრძელვადიან სტრატეგიასთან.

ამით უფრო მოხერხდება სტრატეგიული (სამოქმედო) გეგმების, მიზნობრივი პროგრამების, პროექტების კონცენტრაცია და რეალიზაცია, ეკონომიკური პროცესების დაბალანსება და ტექნოლოგიური წყობების ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ტერიტორიის მდგრად განვითარებას.

- საქართველოს შიდა რეგიონული თავისებურებებისა და უნიკალურობის გამო აუცილებელია ქვეყნის რეგიონების (მათ შორის სასოფლო ტერიტორიების) ინტერესების დაბალანსება.

ცენტრმა ქვეყნის სტრატეგიული განვითარების წარმმართველის ფუნქცია უნდა შეასრულოს, უზრუნველყოს ბუნებრივ-საწარმოო, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა თავისებურებებით ერთმანეთისაგან განსხვავებული რეგიონების ერთიანი სტრატეგიით განვითარება.

ანგარიშგასანევია თავისებურება, რომ ქვეყნის შიდა რეგიონულ მრავალფეროვნებას თავად სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და მომავალშიც ექნება. სოფელი, ქალაქი, მხარე, ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც მთელის (საქართველოს ტერიტორიული სივრცე) ნაწილი და თავადაც მთელი მათი შემადგენელი ნაწილების მიმართ, ერთიანი გენეტიკური ფესვებით, ტრადიციებითა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნებით ინდიკატორის ფუნქციას ასრულებს.

- იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივი და საწარმოო პირობები ქვეყანაში არათანაბრადაა განაწილებული, აუცილებელია რეგიონების (ავტონომიური რესპუბლიკა, მხარე) მდგრადი განვითარების დონის გათანაბრების კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება. ამისათვის კი ადგილობრივი მმართველობა მართვის რეალურ ინსტიტუტად უნდა ჩამოყალიბდეს. მუნიციპალიტეტების (ტერიტორიების) მდგრადი განვითარების პროგრამა ემყარება სახელმწიფოს პოლიტიკურ მიზანს, სამართლებრივ ბაზას, მართვის მექანიზმს, რესურსულ პოტენციალს და სრულად გამოხატავს განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, რეგიონულ ინტერესებს და ფაქტობრივად ცენტრისა და რეგიონის (ტერიტორიის) ინტერესების დაბალანსების ქმედითი ინსტრუმენტია.

- ასეთი პროგრამის რეალიზაციის სავარაუდო შედეგები (ქვეყანაში არსებული რესურსული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებისათვის ერთობლივი ძალისხმევა, განვითარების პროცესებში მონაწილე სუბიექტების მოტივაცია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნებისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის თანამედროვე ფორმების გამოყენების აუცილებლობის გაცნობიერება და სხვა) მოამზადებს რეალურ საფუძველს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების ინდიკატური დაგეგმვის პრინციპებზე გადასაყვანად.

ინდიკატური გეგმა ეროვნულ ეკონომიკაში ფორმირებადი მრავალწილობრივი (წვრილი სასაქონლო

წყობა, კერძო, საზოგადოებრივი, სახელმწიფო, შერეული და სხვა), ე.ი. პლურალიზმის პირობებში განიხილება, როგორც ერთი მხრივ, სახელმწიფოს, მეორე მხრივ, ეკონომიკური სუბიექტების, მესამე მხრივ, ტერიტორიის კომპლექსური განვითარების ინტერესების კოორდინაციის მექანიზმი.

- ინდიკატური დაგეგმვა – გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის ერთიან სივრცეში – ეფუძნება საკუთრების ფორმებისა და კოორდინაციის მექანიზმებს შორის შეთანხმებულ მოქმედებას, ეკონომიკის განვითარების პროგნოზებს, მრავალ ვარიანტულობას, განსაზღვრავს მაკრო-, მეზო- და მიკროდონეზე მდგრადი განვითარების ინდიკატორებს, ინტეგრაციის მიმართულებებს, პროპორციებს, ტემპებს.

ინდიკატური გეგმა – განსაზღვრავს არა მხოლოდ ტერიტორიის მდგრადი განვითარების ორიენტირებს, არამედ, მასთან ერთად დასახული მიზნის მიღწევის მეთოდებს. ასეთი გეგმა უნდა ჰქონდეთ მუნიციპალიტეტებს, როგორც ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს. ამიტომ აუცილებელია სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების გეგმის შედგენის მეთოდის დამუშავება.

სასოფლო ტერიტორიების განვითარების ახალი პარადიგმით შემოთავაზებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკის ეტაპობრივად, თანმიმდევრულად და კომპლექსურად განხორციელება უზრუნველყოფს, საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირობების ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა სრულად გათვალისწინებით, ორმხრივი ინტერესების დაცვას და ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეში მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

ქვემოთ განხილულია სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემების კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები.

**სასოფლო ტერიტორიების მდგრადი
განვითარების რაოდენობრივ-ინსტიტუციური
ანალიზის მეთოდოლოგიური ჩარჩო და
პოლიტიკის რეკომენდაციები**

შესავალი

თანამედროვე განვითარების ეკონომიკაში სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარება განიხილება როგორც ერთ-ერთი ყველაზე რთული და მრავალგანზომილებიანი პრობლემა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური ტრანსფორმაცია მიმდინარეობს და ტერიტორიული უთანასწორობა მაღალია. (Karami & Madlener, 2023; Guo & Li, 2024) საქართველოს შემთხვევაში სასოფლო სივრცე კვლავ ინარჩუნებს მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ ფუნქციას, თუმცა არსებული განვითარების ტრაექტორია ხასიათდება

სტრუქტურული სისუსტეებით, დაბალი პროდუქტიულობით, დემოგრაფიული დეგრადაციითა და ინსტიტუციური შეზღუდვებით. აღნიშნული გარემოებები განსაზღვრავს საჭიროებას ისეთი ანალიტიკური ჩარჩოს შემუშავებისთვის, რომელიც შეძლებს განვითარების პროცესების სისტემურ გააზრებას და პოლიტიკისთვის გამოყენებადი დასკვნების ფორმირებას.

ჩასატარებელი კვლევა მიზნად ისახავს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების შეფასებისა და ინტერპრეტაციის ინტეგრირებული მეთოდოლოგიური ჩარჩოს ჩამოყალიბებას საქართველოს მაგალითზე. კვლევა დაეფუძნება რაოდენობრივი ანალიზისა და ინსტიტუციური ინტერპრეტაციის შერწყმას და განვითარების პროცესს განიხილავს როგორც ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და მმართველობითი ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგს. კვლევის ამოცანა არ შემოიფარგლება არსებული მდგომარეობის აღწერით, არამედ მიმართული იქნება განვითარების განმაპირობებელი მექანიზმების გამოვლენასა და პოლიტიკის პროგრამირების მეცნიერულად დასაბუთებული საფუძვლის შექმნაზე.

მეთოდოლოგიური მიდგომა, მონაცემთა ბაზა და ინდიკატორი ჩარჩო

კვლევა დაეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომლის ცენტრალურ ელემენტს რაოდენობრივი ანალიზი შეადგენს, ხოლო თეორიულ-ინსტიტუციური ჩარჩო უზრუნველყოფს მიღებული შედეგების კონტექსტუალიზაციას. ასეთი მიდგომა განპირობებულია სასოფლო ტერიტორიების განვითარების კომპლექსური ბუნებით, სადაც ცალკეული მაჩვენებლები ვერ ასახავს ინსტიტუციური გარემოს, მმართველობითი პრაქტიკისა და სივრცითი ურთიერთდაამოკიდებულებების სრულ სურათს.

კვლევის ანალიზის ერთეულად განისაზღვრება მუნიციპალიტეტი, რაც მომავალში შესაძლებელს გახდის განვითარების დინამიკის შეფასებას ლოკალურ დონეზე და ტერიტორიული ჰეტეროგენულობის გამოვლენას. პანელური ლოგიკის გამოყენება უზრუნველყოფს დროითი ცვლილებებისა და სივრცითი განსხვავებების ერთდროულ ანალიზს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდგრადობის შეფასებისას. კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო დაეფუძნება მდგრადი განვითარების მრავალგანზომილებიან გაგებას, რომლის ფარგლებში ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კომპონენტები განიხილება ურთიერთდაკავშირებულ სისტემად, ხოლო ინსტიტუციური ფაქტორები — როგორც ამ სისტემის ფუნქციონირების განმსაზღვრელი ელემენტები. (Liu et al., 2024)

კვლევა დაეფუძნება მეორად რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც მოიცავს ოფიციალურ სტატისტიკას, ადმინისტრაციულ ჩანაწერებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აგრეგირებულ ინდიკატორებს.

მონაცემთა შერჩევა განხორციელდება იმ პრინციპით, რომ ინდიკატორებმა ასახონ არა მხოლოდ განვითარების შედეგები, არამედ ის პროცესები და მექანიზმები, რომლებიც ამ შედეგებს განაპირობებს.

მდგრადი განვითარების შეფასება განხორციელდება ინტეგრირებული ინდიკატორი ჩარჩოს მეშვეობით, რომელიც გააერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და ინსტიტუციურ განზომილებებს. ასეთი მიდგომა მომავალში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებს შორის შედარებადობას და თავიდან აიცილებს ერთგანზომილებიან ინტერპრეტაციებს, რომლებიც განვითარების მხოლოდ ცალკეულ ასპექტებს ასახავს. ინდიკატორი ჩარჩო შეიქმნება ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება როგორც ანალიტიკური შეფასებისთვის, ისე მონიტორინგისა და პოლიტიკის შეფასების პროცესში. (Memo & Pieńkowski, 2023; Widomski & Musz-Pomorska, 2023)

რაოდენობრივი ანალიზის ლოგიკა და სივრცითი პერსპექტივა

კვლევის რაოდენობრივი ანალიზი დაეფუძნება პანელური და სივრცითი ანალიტიკური მიდგომების კომბინაციას. ასეთი ინტეგრაცია საშუალებას მისცემს კვლევას გამოავლინოს განვითარების ფაქტორების დინამიკა დროში და მათი ურთიერთდაამოკიდებულება სივრცეში. სასოფლო ტერიტორიების განვითარება იშვიათად მიმდინარეობს იზოლირებულად; მეზობელი ტერიტორიების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადგილობრივ განვითარების ტრაექტორიაზე. (Elhorst et al., 2024)

დინამიკური პერსპექტივის გამოყენება კვლევას მისცემს საშუალებას შეაფასოს განვითარების პროცესების ინერციული ხასიათი და დაგვიანებული ეფექტები. სივრცითი პერსპექტივა კი წარმოაჩენს რეგიონთაშორის გადადინების ეფექტებს და ტერიტორიული კონცენტრაციის ტენდენციებს. მიღებული რაოდენობრივი შედეგები ინტერპრეტირებული იქნება ინსტიტუციური კონტექსტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს შედეგების პოლიტიკურ და სოციალურ რელევანტურობას.

მოსალოდნელი შედეგები

კვლევის ერთ-ერთ ძირითად შედეგს წარმოადგენს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების ინტეგრირებული შეფასების ჩარჩოს ჩამოყალიბება. დაგეგმილია ისეთი ინდიკატორი სისტემის გამოყენება, რომელიც გააერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და ინსტიტუციურ განზომილებებს და შესაძლებელს გახდის განვითარების დონის არა ფრაგმენტულად, არამედ სისტემურად შეფასებას. აღნიშნული მიდგომა მომავალში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებს შორის შედარებადობას და შექმნის საფუძველს ტერიტორიული დისბალანსების იდენტიფიკაციისთვის.

კვლევის შედეგად ჩამოყალიბდება მუნიციპალიტეტების განვითარების ტიპოლოგია, რომელიც ასახავს განსხვავებულ განვითარების ტრაექტორიებსა და მოდელებს. ეს ტიპოლოგია არ იქნება მხოლოდ სტატისტიკური კლასიფიკაცია, არამედ დაეფუძნება განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების ღრმა ანალიზს. შედეგად, შესაძლებელი გახდება იმის დადგენა, თუ რომელ პირობებში ვითარდება სასოფლო ტერიტორია შედარებით მდგრადად და რომელი ფაქტორების ნაკლებობა განაპირობებს ჩამორჩენას.

მნიშვნელოვანი მოსალოდნელი შედეგია ინსტიტუციური ფაქტორების როლის მკაფიოდ გამოვლენა. კვლევა აჩვენებს, რომ განვითარების მდგრადობა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ რესურსულ პოტენციალსა და ინფრასტრუქტურაზე, არამედ მმართველობითი შესაძლებლობების ხარისხზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსურ ავტონომიასა და პოლიტიკის განხორციელების ეფექტიანობაზე. ამგვარი დასკვნები ხელს შეუწყობს ინსტიტუციური რეფორმების მნიშვნელობის უკეთ გააზრებას სასოფლო განვითარების კონტექსტში. (Mpongwana & Cishe, 2024)

კვლევის შედეგები ასევე წარმოაჩენს სივრცითი ურთიერთდამოკიდებულებების მნიშვნელობას. მოსალოდნელია, რომ გამოვლინდება მეზობელი მუნიციპალიტეტების განვითარების დონის გავლენა ადგილობრივ შედეგებზე, რაც ხაზს გაუსვამს რეგიონული პოლიტიკის კოორდინაციის აუცილებლობას. ამგვარი შედეგები გააფართოებს განვითარების ანალიზს ადმინისტრაციული საზღვრების მიღმა და ხელს შეუწყობს უფრო ინტეგრირებული ტერიტორიული პოლიტიკის ფორმირებას. (Piedra-Peña et al., 2024)

საბოლოოდ, კვლევა შექმნის ცოდნის ბაზას, რომელიც გამოყენებადი იქნება როგორც შემდგომი აკადემიური კვლევებისთვის, ისე პრაქტიკული პოლიტიკის შეფასებისა და კორექტირების პროცესში. მიღებული შედეგები გახდება საფუძველი განვითარების დინამიკის მონიტორინგისთვის და საშუალებას მისცემს პოლიტიკის შემუშავებლებს შეაფასონ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოვლინდება მის პირდაპირ გამოყენებადობაში სახელმწიფო და მუნიციპალური განვითარების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში. კვლევა მიზნად დაისახავს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მხარდაჭერას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც სასოფლო ტერიტორიების განვითარების პოლიტიკა ხშირად ეფუძნება ზოგად, ნაკლებად დიფერენცირებულ მიდგომებს.

მოსალოდნელია, რომ კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება მუნიციპალური განვითარების პროგრამების დიზაინსა და პრიორიტეტების განსაზღვრისთვის.

ინდიკატორებზე დაფუძნებული შეფასების ჩარჩო მუნიციპალიტეტებს მისცემს შესაძლებლობას, განსაზღვრონ საკუთარი განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, სწორად გადაანალიზონ რესურსები და შეიმუშაონ მიზნობრივი ინტერვენციები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების შეზღუდულობის პირობებში.

სახელმწიფო დონეზე კვლევა ხელს შეუწყობს რეგიონული და სოფლის განვითარების სტრატეგიების დახვეწას. მოსალოდნელია, რომ მიღებული დასკვნები გამოყენებული იქნება პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების პროცესში და დაეხმარება ცენტრალურ ხელისუფლებას პოლიტიკის შედეგებზე ორიენტირებული მართვის სისტემის ჩამოყალიბებაში. კვლევა შექმნის ანალიტიკურ საფუძველს პოლიტიკის კორექტირებისთვის და თავიდან აიცილებს ერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღებას განსხვავებული პირობების მქონე ტერიტორიებისთვის.

განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება კვლევის შედეგებს მინის რესურსების მართვისა და სივრცითი დაგეგმარების სფეროში. მოსალოდნელია, რომ კვლევა წარმოაჩენს მინის ფრაგმენტაციის, ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობისა და ბაზრებთან სიახლოვის გავლენას განვითარების მდგრადობაზე. ეს ხელს შეუწყობს უფრო ეფექტიანი მიწათსარგებლობის პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურული ინვესტიციების დაგეგმვას.

ასევე მნიშვნელოვანია კვლევის წვლილი ადგილობრივი მენარმეობისა და კოოპერაციის განვითარების პოლიტიკაში. კვლევა აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ინსტიტუციურმა მხარდაჭერამ და კოორდინირებულმა პოლიტიკამ გააძლიეროს ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობა და ხელი შეუწყოს დასაქმების ზრდას სასოფლო ტერიტორიებზე.

კვლევის ინოვაციურობა

კვლევის ინოვაციურობა გამოვლინდება როგორც თეორიულ, ისე მეთოდოლოგიურ და გამოყენებით დონეზე. თეორიულად, კვლევა გააზრებს სასოფლო ტერიტორიების განვითარებას არა როგორც აგრარული სექტორის პრობლემას, არამედ როგორც მრავალგანზომილებიან სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს, სადაც ინსტიტუციური და სივრცითი ფაქტორები ცენტრალურ როლს შეასრულებს.

მეთოდოლოგიური ინოვაცია მდგომარეობს რაოდენობრივი ანალიზისა და ინსტიტუციური ინტერპრეტაციის ინტეგრირებაში. კვლევა არ შემოიფარგლება სტატისტიკური აღწერით, არამედ მიმართავს დინამიკურ და სივრცით ანალიტიკურ მიდგომებს, რაც საშუალებას მისცემს განვითარების პროცესების უფრო ღრმად გააზრებას. ასეთი მიდგომა იშვიათად გამოიყენება საქართველოს სასოფლო განვითარების კვლევებში და ქმნის ახალ ანალიტიკურ სტანდარტს.

ინოვაციურია ასევე მუნიციპალურ დონეზე მდგრადი განვითარების შეფასების ჩარჩოს გამოყენება. კვლევა მოახდენს საერთაშორისო მიდგომებს ადგილობრივ კონტექსტზე ადაპტირებას, რაც შესაძლებელს გახდის მათი პრაქტიკული გამოყენებას პოსტტრანსფორმაციული ეკონომიკის პირობებში.

გამოყენებით დონეზე ინოვაცია გამოიხატება იმაში, რომ კვლევა შექმნის პოლიტიკის პროგრამირების მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომელიც აკავშირებს ანალიტიკურ შედეგებს პრაქტიკულ გადაწყვეტილებებთან. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს პოლიტიკის ფორმირების პროცესის უფრო გამჭვირვალე, სისტემური და შედეგებზე ორიენტირებული გახდეს.

დასკვნა

ამრიგად, კვლევა შექმნის ფართო მასშტაბის აკადემიურ და პრაქტიკულ ღირებულებას. იგი გაამდიდრებს სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების შესახებ მეცნიერულ დისკურსს და უზრუნველყოფს პოლიტიკისთვის რეგულაციურ, მონაცემებზე დაფუძნებულ დასკვნებს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ინკლუზიური და მდგრადი ტერიტორიული განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმვის სახელმძღვანელო. ტ. I ძირითადი გზამკვლევი;
2. საქართველოს მუნიციპალიტეტების სივრცითი დაგეგმვის სახელმძღვანელო, ტომი 1, 2, 3. თბილისი 2019 წელი;
3. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი;
4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დებულება;
5. საქართველოს რეგიონების განვითარების პროგრამა 2018-2021 წლები;
6. ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2018-2022 წლები, თბილისი, 5 ივნისი, 2018 წელი;
7. საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
8. ოქტეშელაშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული ზონალური სქემა. თბილისი, 2009 წელი;
9. Развитие сельских территорий. Иновации, диверсификация. Калуга, ЗАО «Типография флагман», 2011 г.;

10. Развитие сельских территорий: зарубежный опыт;
11. ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბილისი, 2001 წელი;
12. ნ. ჭითანავა, ლ.თაკალანძე. სოციალური ეკონომიკა, ფორმირება და განვითარება. I ნაწილი, თბილისი, 2008 წელი;
13. ნ. ჭითანავა. გლობალური პროცესები ერთპოლუსიან მსოფლიოში (საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები). თბილისი, 2021 წელი;
14. Зарубежный опыт развития социальной инфраструктуры села. Журнал "Russian Journal of Management". Том II, N4, 2023 г.;
15. Elhorst, J. P., Tziolas, I., Tan, C., & Milionis, P. (2024). The distance decay effect and spatial reach of spillovers. *Journal of Geographical Systems*, 26, 265–289. <https://doi.org/10.1007/s10109-024-00440-5>;
16. Guo, Y., & Li, S. (2024). A policy analysis of China's sustainable rural revitalization: Integrating environmental, social and economic dimensions. *Frontiers in Environmental Science*, 12, 1436869. <https://doi.org/10.3389/fenvs.2024.1436869>;
17. Karami, M., & Madlener, R. (2023). Sustainability performance of rural municipalities in Germany. *Energy, Sustainability and Society*, 13(46). <https://doi.org/10.1186/s13705-023-00425-0>;
18. Liu D., Li F., Qiu M., Zhang Y., Zhao X., He J. (2024). An integrated framework for measuring sustainable rural development towards the SDGs. *Land Use Policy*, 147, 107339. <https://doi.org/10.1016/j.landusepol.2024.107339>;
19. Memo, U., & Pieńkowski, D. (2023). Sustainable rural development indicators in Bulgaria, Germany, Poland, Romania and the Netherlands: A review of data. *Frontiers in Environmental Science*, 11, 1323688. <https://doi.org/10.3389/fenvs.2023.1323688>;
20. Mpongwana, Z., & Cishe, E. N. (2024). Evidence of factors hindering establishment of viable rural development action in Eastern Cape municipalities. *African Journal of Governance and Development*, 13(1). <https://doi.org/10.36369/2616-9045/2024/v13i1a3>;
21. Piedra-Peña, J., Breuillé, M.-L., & Le Gallo, J. (2024). Municipal efficiency spillovers in France. *The Annals of Regional Science*, 73, 2143–2172. <https://doi.org/10.1007/s00168-024-01326-6>;
22. Widomski, M. K., & Musz-Pomorska, A. (2023). Sustainable development of rural areas in Poland since 2004 in the light of sustainability indicators. *Land*, 12(2), 508. <https://doi.org/10.3390/land12020508>.

ფირმის გრძელვადიანი ინვესტიციებისა და ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიური მიდგომა

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2026.01.05>

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ფირმის გრძელვადიანი საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგია და მისი ძირითადი მიმართულებების თანამედროვე მიდგომები. კვლევის მიზანს წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის ეკონომიკური არსის, საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდებისა და რისკების მართვის მექანიზმების შესწავლა, ასევე საინვესტიციო პორტფელის ფორმირების ძირითადი პრინციპების გაანალიზება. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ინვესტიციების როლზე ფირმის ფინანსური მდგრადობის, კონკურენტუნარიანობისა და გრძელვადიანი განვითარების პროცესში.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური ანალიზის თეორიული და პრაქტიკული მიდგომები, შედარებითი ანალიზი, ფინანსური მაჩვენებლების შეფასება და საინვესტიციო საქმიანობის განხილვის თანამედროვე ინსტრუმენტები. ნაშრომში განხილულია სტატიკური და დინამიკური შეფასების მეთოდები.

ფირმის საინვესტიციო გრძელვადიანი სტრატეგიის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პორტფელის დივერსიფიკაციაზე, რისკების სწორ შეფასებასა და თანამედროვე საინვესტიციო მიდგომების გამოყენებაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციურ, ციფრულ და ეკოლოგიურად ორიენტირებულ ინვესტიციებს, რომლებიც ხელს უწყობს ფირმის ფინანსური მდგრადობის ზრდასა და ბაზარზე კონკურენტული პოზიციების გამყარებას.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება გამოიხატება იმაში, რომ წარმოდგენილი კვლევა და რეკომენდაციები



ბესარიონ ნაყოფია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
<https://orcid.org/0000-0001-9017-3658>
besarionakopia@yahoo.com

შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფირმის საინვესტიციო პოლიტიკის დაგეგმვის, გრძელვადიანი საინვესტიციო გადანაცვლებების მიღებისა და რისკების მართვის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: გრძელვადიანი საინვესტიციო სტრატეგია, გრძელვადიანი პორტფელი, რისკი, დივერსიფიკაცია, ფინანსური ეფექტიანობა, ფინანსური სტაბილურობა.

METHODOLOGICAL APPROACHES TO THE EVALUATION OF A FIRM'S LONG-TERM INVESTMENTS AND CASH FLOWS

Besarion Nakopia

Doctor of Economic Sciences, Professor Tbilisi Humanitarian University
<https://orcid.org/0000-0001-9017-3658>
besarionakopia@yahoo.com

ABSTRACT

This paper examines the methodological aspects of evaluating a firm's long-term investments and cash flows, as well as contemporary approaches to investment decision-making. The study aims to explore the economic nature of investment activities, investment project evaluation methods, risk management mechanisms, and the fundamental principles of investment portfolio formation. Particular attention is paid to the role of investments in enhancing a firm's financial sustainability, competitiveness, and long-term growth.

The methodological framework of the research is based on theoretical and practical approaches to economic analysis, comparative analysis, the assessment of financial performance indicators, and modern tools for evaluating investment activities. The paper discusses both static and dynamic methods of investment appraisal and highlights their practical application in corporate financial management.

The effectiveness of a firm's long-term investment strategy largely depends on portfolio diversification, accurate risk assessment, and the adoption of modern investment approaches. Special emphasis is placed on innovative, digital, and environmentally sustainable investments, which contribute to strengthening a firm's financial stability and improving its competitive position in the marketplace.

The practical significance of the study lies in the applicability of its findings and recommendations to investment policy planning, long-term investment decision-making, and risk management processes. The research outcomes may serve as a useful guide for managers, investors, and financial analysts seeking to improve the efficiency and sustainability of corporate investment activities.

Keywords: long-term investment strategy, long-term portfolio, risk, diversification, financial efficiency, financial stability.



ძირითადი ტექსტი

ინვესტიცია წარმოადგენს ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც გამოხატავს რესურსების – როგორც ფულად, ისე მატერიალური ან ინტელექტუალური სახით – მიზნობრივ მიმართვას მომავალი სარგებლის მიღების მიზნით. ინვესტიციის არსი მრავალმხრივია: იგი ასახავს კაპიტალის დროებით შენირვას, მოლოდინს მომავალი მოგების შესახებ, რისკის შემცველობას და რესურსების ეფექტიანი განაწილების საჭიროებას. ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ინვესტიცია განიხილება. როგორც განვითარების ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც ქმნის დამატებით ღირებულებას და უზრუნველყოფს ეკონომიკის სტრუქტურულ გაზრდას. [ნერეთელი თ., 2018, 23.]

ინვესტიციის ეკონომიკური არსი განსაკუთრებულად გამოკვეთილია კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიების ფარგლებში, სადაც ინვესტირება განიხილება როგორც კაპიტალის დაგროვების აუცილებელი პროცესი. ინგლისურენოვანი ლიტერატურის მიხედვით, ინვესტიცია არის „კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მიმართულია პროდუქციის მომავალი ტალღების ზრდისკენ და გამოხატავს მიმდინარე მოხმარებაზე უარის თქმას უფრო მაღალი მომავალი სარგებლის მისაღებად.“ [Mankiw N., 2021, 43.] ამ მიდგომით, ინვესტიცია არა მხოლოდ ფინანსური აქტივების შექმნას, არამედ სამენარმო ინიციატივის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს.

თანამედროვე ეკონომიკურ მიდგომებში ინვესტიციის კატეგორია დაკავშირებულია არა მხოლოდ მატერიალური აქტივების შექმნასთან, არამედ ინტელექტუალური, ადამიანური და საინფორმაციო რესურსების განვითარებასთან. გლობალიზაციის პირობებში გრძელვადიანი ინვესტიცია უფრო კომპლექსურ ეკონომიკურ მოვლენად გადაიქცა, რადგან ფირმები აერთიანებენ არა მხოლოდ შიდა ფინანსურ რესურსებს, არამედ საერთაშორისო კაპიტალს, ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და გლობალურ პარტნიორობას. ინვესტიციის ეკონომიკური კატეგორია განიხილება როგორც მრავალგანზომილებიანი ფენომენი, რომელიც აერთიანებს კაპიტალის დაგროვებას, რისკისა და მოგების ბალანსს, სტრატეგიულ დაგეგმვას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. გლობალური ეკონომიკის სწრაფი დინამიკის პირობებში გრძელვადიანი ინვესტიცია ხდება არა მხოლოდ ფინანსური ინსტრუმენტი, არამედ ფირმის კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ძირითადი საფუძველი.

ინვესტიციები მრავალფეროვანი ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებსა და ფორმებს. ინვესტიციის სახეების კლასიფიკაცია უკავშირდება იმ აქტივებსა და მიზნებს, რომლებსაც ფირმა ინვესტირების პროცესში იყენებს. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულია ინვესტიციების დაყოფა რეალურ, ფინანსურ, ინტელექტუალურ და სოციალურ სახეებად. [ნერეთელი თ., 2018, 63.] რეალური ინვესტიციები წარმოადგენს კაპიტალის დაბანდებას მატერიალურ აქტივებში – შენობებში, ტექნოლოგიებში, სანარმოო ხაზებში, ინფრასტრუქტურაში და სხვა ფიზიკურ ობიექტებში. რეალური ინვესტიციები ქმნის დამატებით სანარმოო შესაძლებლობებს და პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებთან. როგორც ინგლისურენოვანი ავტორები აღნიშნავენ, რეალური ინვესტიცია არის „ფიზიკური კაპიტალის ზრდა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის გრძელვადიან პროდუქტიულობას. [Mankiw N., 2021, 52.] რეალური ინვესტიციები ყველაზე მეტად დაგეგმვასა და გრძელვადიან სტრატეგიას საჭიროებს. ფინანსური ინვესტიციები უკავშირდება კაპიტალის განთავსებას ფინანსურ ინსტრუმენტებში – აქციებში, ობლიგაციებში, საინვესტიციო ფონდებში, ბანკის დეპოზიტებში და სხვა ფასიან ქალაქებში.

ინტელექტუალური ინვესტიციები მიემართება არამატერიალურ აქტივებზე – ცოდნაზე, კვალიფიკაციაზე, კვლევაზე და განვითარებაზე (R&D), პროგრამულ უზრუნველყოფაზე, პატენტებსა და ბრენდულ ღირებულებაზე. ქართულ ლიტერატურაში ინტელექტუალური ინვესტიცია განისაზღვრება როგორც „ინვესტირება ადამიანურ და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებში, რომლებიც უზრუნველყოფს ინოვაციურ განვითარებას.“ [გრძელიძე მ., 2019, 78.] ინტელექტუალური ინვესტიციები ფირმის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ იქცა. სოციალური ინვესტიციები მიმართულია საზოგადოების, გარემოსა და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

გრძელვადიანი ინვესტირება წარმოადგენს ფირმის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მიმდინარე საქმიანობის სტაბილურობას, ისე მომავალი ზრდისა და კონკურენტული უპირატესობების ფორმირებას. ფირმის მიერ გაცემულ ინვესტიციებს, როგორც კაპიტალურს, ისე ინტელექტუალურს, ძალუძს შექმნას დამატებითი ღირებულება, გააუმჯობესოს პროდუქ-

ციის ხარისხი, გაზარდოს ოპერაციული ეფექტიანობა და განამტკიცოს ბაზარზე პოზიციები. შესაბამისად, გრძელვადიანი ინვესტირების მიზნები მრავალმხრივი ხასიათისაა და მოიცავს როგორც ფინანსურ, ისე სტრატეგიულ მიმართულებებს.

ინვესტირების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია და ფირმის საბაზრო ღირებულების ზრდა. კაპიტალის ეფექტიანი განაწილება უზრუნველყოფს უფრო მაღალ შემოსავალს აქტივებიდან, რაც საბოლოოდ აისახება აქციონერების კეთილდღეობაზე. სტრატეგიული თვალსაზრისით, ინვესტიციების მიზანი მხოლოდ ფინანსური მოგება არ არის. ისინი აუცილებელია ტექნოლოგიური განახლებისთვის, ინოვაციების დანერგვისთვის, ახალი ბაზრების ათვისებისა და პროდუქტის ან მომსახურების დივერსიფიკაციისთვის. რადგანაც დებიტორული დავალიანება იქცევა ფულად საშუალებად მხოლოდ რამოდენიმე დროის გასვლის შემდეგ, მისი შეფასება არ შეიძლება შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით მისაღებ თანხას. ამიტომ ყველა სახის დებიტორული დავალიანება და მონეტარული ფასიანი ქაღალდები უნდა შეფასდეს დისკონტირებული ღირებულებით, რომელიც უნდა იქნეს მომავალში მიღებული. ხშირ შემთხვევაში დისკონტის სიდიდე უმნიშვნელოა და წლიური წმინდა მოგების გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება. ამიტომ დებიტორული დავალიანების ძირითადი ნაწილი აღირიცხება მოსალოდნელი დაფარვის თანხით, ხოლო დავალიანება უპროცენტოდ გაცემულ ობლიგაციებზე-ნომინალური ღირებულებით.

თუ დისკონტის სიდიდე ზუსტად არაა განსაზღვრული, მაშინ შეიძლება გამოყენებულ იქნას კრედიტზე პროცენტი საბაზრო განაკვეთით რისკის შესაბამის დონით. ფირმის ინვესტორული კაპიტალის დისკონტირება საბაზრო განაკვეთის გამოყენებით ან რენტაბელობის შიდა ნორმით იძლევა საშუალებას ფირმის ფულადი სახსრების ნაკადების მიახლოებით შეფასებას. დებიტორული დავალიანებისათვის პროცენტის სესხისათვის განაკვეთად ჩვეულებრივ, გამოიყენება დადგენილი პროცენტის ნორმა. რამდენადაც დებიტორული დავალიანების დისკონტირებული შეფასება გაცემული სესხით ჩვეულებრივ ტოლია მისი ნომინალური ღირებულებისა, დებიტორული დავალიანება აღირიცხვაში აისახება ნომინალური ღირებულებით.

აუცილებლობის შემთხვევაში ფირმას შეუძლია მიიღოს ფულადი საშუალებები დებიტორული დავალიანების დაფარვის ვადის გასვლამდე. უწინარეს ყოვლისა, მას შეუძლია გაყიდოს იგი. ფირმას ნებაყოფლობით შეუძლია თავის თავზე აიღოს რისკი და დაარღვიოს ვალდებულება დებიტორობაზე. თუ რისკი გადადის მყიდველზე, მაშინ დებიტორული დავალიანება გაიყიდება „ბრუნვის გარეშე“. სესხი და გაყიდვა „ბრუნვის გარეშე“ წარმოადგენს პირდაპირ ვადიან დაკვეთას. ამასთან წარმოიშობა კითხვა: რას წარმოადგენს არსებითად ასეთი დაკვეთა-გაყიდვას თუ სესხს. დებულებაში „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ“ მიუთითებს, რომ ასეთი ოპერაცია განიხილება როგორც გაყიდვა, თუ იგი აკმაყოფილებს

მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებს: გამცემი პირი უთმობს კონტროლის უფლებას ეკონომიკურ მოგებაზე, რომელიც განივთვლება დებიტორულ დავალიანებაში; გამცემი პირის ვალდებულება „ბრუნვით“-ს პირობის თანახმად შეიძლება რეალურად შეფასდეს; მიმღებს არ შეუძლია მოითხოვოს გადმომცემი პირისაგან შეისყიდოს დებიტორული დავალიანება გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც არ ეწინააღმდეგება „ბრუნვით“-ს პირობებს.

თუმცა ამ თვალსაზრისს არ იზიარებენ ამერიკელი მეცნიერები ე. ს. ხენდრიკსენი, მ. ფ. ვან ბრენდა და სხვები. ისინი ამტკიცებენ, რომ დებიტორული დავალიანების ყველა გადაცემა წარმოადგენს დაფინანსების ალტერნატიულ ვარიანტებს, ყველა ისინი განიხილება როგორც უბრალო სესხი, სადაც აქტივები გამოიყენება როგორც უზრუნველყოფა. დებიტორული დავალიანების ბალანსური შეფასების ერთ-ერთ არსებით ფაქტორს შეადგენს მისი დაფარვის ხარისხის განსაზღვრა. როგორც ცნობილია, შემოსავალი იზომება მოსალოდნელი ფულადი შემოსავლების თანხით. ამდენად, დებიტორული დავალიანების უშუალო ჩამონერას საანგარიშო პერიოდის მოგების ხარჯზე არა აქვს თეორიული დასაბუთება. ამიტომ საანგარიშო პერიოდის შემოსავლები კორექტირდება ე. წ. „საეჭვო ვალების დაფარვის რეზერვის“ დარიცხვისას.

ანგარიშგებაში შემოსავალი აისახება, როგორც მიღებული აქტივი, რომელიც შემოსულია პროდუქციაზე გაცვლით და აქვს საიმედო შეფასება. რამდენადაც დებიტორული დავალიანება ჩვეულებრივ გამოისახება ფულში, ადგილი აქვს შესამოწმებელი შეფასების საზომს და შემოსავალი აისახება, როგორც გაყიდვის დროს ან ადრე მიღებული. გაყიდვის შემდეგ წმინდა შემოსავლის ნებისმიერი ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ დარიცხული პროცენტებით ან მიუღებელი გადასახადის შეცდომის შეფასების კორექტირებით. დებიტორულ დავალიანებად განიხილება ფასიანი ქაღალდები, როგორებიცაა ობლიგაციები, თამასუქები, რომლებშიც თარიღი და დაფარვის ღირებულებაა განსაზღვრული. ისინი შემოსავლებში უნდა იქნას აყვანილი წმინდა მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით, ამ შემთხვევაში, როცა დისკონტის სიდიდის დონე სჭარბობს საბაზროს.

საერთოდ, ბუღალტრული პროცედურებით მიღებულია ფასიანი ქაღალდები, როცა ისინი წარმოადგენენ საბრუნავი საშუალებების ნაწილს, აღირიცხება ორი შეფასებიდან უმცირესით (თვითღირებულებით ან საბაზრო ღირებულებით). ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი უფრო მისაღებია ფასიანი ქაღალდის გაყიდვის შემთხვევაში მოგების ან ზარალის გასაზომად. თუ საბაზრო ფასი აინევა თვითღირებულებაზე ზემოთ, ღირებულების ზრდა ჩვეულებრივ არ რეგისტრირდება, რამდენადაც მოგება ამ შემთხვევაში ფორმალურად არაა რეალიზებული; შესაბამისად ეს შეიძლება გაქრეს მანამ, სანამ ეს ფასიანი ქაღალდები იქნება გაყიდული. თუ საბაზრო ღირებულება გახდა მათ თვითღირებულებაზე ნაკლები, ზარალი უნდა დაიფაროს, ხოლო ფასიანი ქაღალდები ბალანსში აისახება მათი რეალიზაციის

მიმდინარე ღირებულებით.

ასევე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დებულებით კოტირებული ფასიანი ქაღალდები ითვლება გრძელვადიან ან მოკლევადიან ინვესტიციად და უნდა შეფასდეს ერთად, როგორც ფასიანი ქაღალდების პორტფელი ორი სიდიდიდან (თვითღირებულება და საბაზრო ღირებულება) უმცირესით.

ფასიანი ქაღალდებში დროებითი დაბანდება ჩვეულებრივ კეთდება ფულადი საშუალებების მეორადი რეზერვის შესაქმნელად. შესაბამისად, ფასიანი ქაღალდებიდან მოგება დივიდენდებიდან და პროცენტებიდან წარმოადგენენ მეორე ხარისხოვანს ფირმის ძირითად საქმიანობასთან შედარებით. ფასიანი ქაღალდების პროცენტებიდან მიღებული მოგება დაირიცხება და აისახება ანგარიშგებაში, როგორც იმ საანგარიშგებო პერიოდში მიღებული, რომელსაც მიეკუთვნება თვით პროცენტი. დივიდენდებიდან მიღებული მოგების აღიარება ხდება მისი გამოცხადების მომენტიდან, რამდენადაც ამ მომენტამდე აქციონერს არა აქვს მათზე პრეტენზიის კანონიერი უფლება.

ზემოთ ხსენებული ღირებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, კაპიტალურ ფასიანი ქაღალდებში გრძელვადიანი ფულადი დაბანდებები უნდა აღირიცხოს ცალკე, უმცირესის შეფასების მეთოდოლოგიით. აქციის გრძელვადიანი პორტფელიდან მოკლევადიან ფასიანი ქაღალდებში გადატანა უნდა მოხდეს ორიდან უმცირესის შეფასების მეთოდოლოგიით. თუ საბაზრო ფასი დაბალია თვითღირებულებაზე, მაშინ იგი მხედველობაში არ მიიღება, სხვაობა განეკუთვნება მოგების შემცირებას, როგორც არარეალიზებული ზარალი. ასეთი პროცედურა აქციის განმეორებითი ყიდვის ტოლფასია. თუ საბაზრო ფასის დაცემა განიხილება არა დროებითი მოვლენა, მაშინ იგი აისახება, როგორც მიღებული (რეალიზებული) მოგება.

მონეტარული საბრუნავი საშუალებები წარმოადგენს ფულადი ერთეულების მსყიდველობითი უნარის საერთო ფიქსირებულ თანხას, რომელიც განკუთვნილია და მისაწვდომია მიმდინარე საოპერაციო ციკლის ან ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გამოსაყენებლად. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ფული მისი სხვადასხვა ფორმითა და მათი მოთხოვნის უფლებით. ფულის მიღება ძირითადად განისაზღვრება ფორმალური და არაფორმალური ხელშეკრულებებით, რომლითაც დგინდება, რომ ერთი მხარე იღებს ვალდებულებას მეორე მხარეს განსაზღვრულ მომენტში დროის განსაზღვრულ შუალედის განმავლობაში გადაუხდის ფულის განსაზღვრულ თანხას.

არამონეტარული საბრუნავი საშუალებები წარმოადგენს უფლებას ან მოთხოვნას, რომელზეც წინასწარ არაა ცნობილი არც თარიღი, მათი მიმართება ფულში, არც ფულადი თანხა. მათ მიეკუთვნება: დაბანდებანი სხვა საწარმოს ჩვეულებრივ აქციებში; მზა პროდუქციის მარაგები და ავანსირებული ხარჯები.

ფულადი საშუალებები აღირიცხება მათი მიმდინარე შეფასებით. შესაბამისად, ნებისმიერი მოგება და ზარალი აღიარდება გასული აქტივების გაცვლის შედეგად მიღებული ფულადი საშუალებების თანხით,

ამავე დროს არც ერთი მოგება და ზარალი არსებული ფულადი საშუალებებიდან აქტივებზე გაცვლამდე არ აღიარდება მიღებულად. გამოწვევის შეიძლება შეადგენდეს ფულის მსყიდველობითი უნარის ცვლილებები. უცხოური ვალუტით არსებული დაბანდება უნდა იყოს გამოსახული ეროვნული ვალუტით ბალანსის შედგენის თარიღისთვის არსებული კურსით.

ავანსირებულ ხარჯებს ბევრი საერთო აქვთ, რომელიც იძლევა მათ ერთ ჯგუფში გაერთიანების შესაძლებლობას, ამასთან, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. ზოგიერთი მათგანი წარმოადგენილია მატერიალური აქტივებით (მაგ. დამხმარე მასალები), ზოგი არის აქტივების გამოყენების უფლებით, რომელიც ეკუთვნის სხვა საწარმოს, დანარჩენი ხარჯები მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა სახის აქტივებთან და პასივებთან, მარაგების შეფასების მეთოდოლოგია განსხვავდება მონეტარული აქტივებისა და ავანსირებული ხარჯების შეფასებისაგან. მონეტარულ აქტივებში გამოისახება განსაზღვრული მსყიდველობითი უნარის ფულადი თანხის ოდენობით, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ამჟამად ან გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად, მონეტარული აქტივების მიმდინარე ღირებულება შეიძლება გაანგარიშებულ იქნას მოსალოდნელ ფულადი შემოსავლების დისკონტირებით, რაც შეეხება ავანსირებულ საშუალებებს, ისინი წარმოადგენენ მომსახურებას, რომელიც იქნება განეული მისი შემოსავლების შექმნის პროცესში. ამ მომსახურების ღირებულების განსაზღვრა, როგორც მათ მიერ შექმნილი დამატებითი შემოსავალი, არ წარმოადგენს შესაძლებელს. ისინი შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მათი შექმნის ღირებულებით (მიმდინარე ან წარსული). მარაგების ღირებულება ესაა საშუალებების, რომლებშიც შედის დანახარჯები მათ შექმნაზე, შემოტანაზე და განლაგებაზე. თავის მხრივ, ამ საშუალებების შეფასება იზომება იმ დანახარჯებით, რომელიც იყო განეული მათ შექმნაზე. ამასთან, წარმოიშვა რიგი კითხვები: რომელი დანახარჯი ჩაითვალოს აუცილებლად; რომელი დანახარჯი შეიძლება ასოცირდებოდეს ამ თუ იმ საქონელთან (პროდუქტთან); რომელი დანახარჯი უნდა იყოს მიკუთვნებული ხარჯებზე. აუცილებელს მიეკუთვნება დანახარჯები, რომელიც განეულია ჯანსაღი გონებით. ამერიკული „ბუღალტრული გამოკვლევის ბიულეტენი“ (ARB) იძლევა რეკომენდაციას, რათა შეხედულების გამომეშავების საფუძველად ამ საკითხში გამოყენებული იქნას ნორმების პრინციპი, სადაც მითითებულია, რომ ზოგიერთი გარემოცვის გამო ისეთი ხარჯები, როგორიცაა უბრალო მოწყობილობები, ზენორმატიული წუნი, ორმაგი ფრახტი და განმეორებითი დანახარჯები, შეიძლება იმდენად გადახრილი იყოს ნორმატიული ხარჯებისაგან, რომ ისინი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საანგარიშო პერიოდის დანახარჯებად და არა როგორც პროდუქციის მარაგის ღირებულების ნაწილი. თავის მხრივ, „ამერიკის ბუღალტერთა ასოციაცია“ (AAA) აღნიშნავს, რომ მხოლოდ ის დანახარჯები, რომლებიც დასაბუთებულად შედის პროდუქტიულში, შეიძლება ჩართული იქნას პროდუქციის თვითღირებულებაში.

მთავარი არის ის, რომ ყველა აქტივი აისახება მათი დაფარვის მიმდინარე დისკონტირებული შეფასების თანხით, განუსაზღვრელობის მხედველობაში მიღების კორექტირებით. არსებითობისა და კონსერვატიზმის პრინციპებიდან გამომდინარე აქტივები არ უნდა იყოს შეფასებული მათი შესაძლო რეალიზაციის წმინდა ღირებულებაზე ზევით. აქტივების ღირებულების ზრდა წყდება ექსპლუატაციაში გადაცემის ან გასაყიდად გამზადების შემდეგ.

ფირმის სტრატეგიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი არის ასევე ადამიანურ კაპიტალში გრძელვადიანი ინვესტირება, რაც ზრდის კვალიფიკაციას, პროდუქტიულობასა და ორგანიზაციულ მოქნილობას. თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში კორპორაციები სულ უფრო მეტად აფასებენ ინტელექტუალურ რესურსებს, ამიტომ ტრენინგებში, განათლებასა და კორპორაციული კულტურის გაძლიერებაში ჩადებული ინვესტიციები გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდის ფირმის კონკურენტუნარიანობას. [Becker, G., 2009, 27.]

ფირმის საინვესტიციო სტრატეგიის ფორმირების პროცესში ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია რისკისა და შემოსავლის ოპტიმიზაცია. თანამედროვე ეკონომიკაში ინვესტორები ყოველთვის ცდილობენ მიაღწიონ მაქსიმალურ მოგებას მინიმალური რისკის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ფინანსური თეორიის ერთ-ერთ ძირითად საძირკველს და გრძელვადიანი ინვესტიციების დაგეგმვის საფუძველს. [Markowitz H., 1952, 45.] ფირმების საინვესტიციო სტრატეგია მეტად რთული და მრავალგანზომილებიანია, რაც განპირობებულია გლობალური კონკურენციის ზრდით, ტექნოლოგიური ცვლილებების სწრაფი ტემპით და სოციალურ-ეკოლოგიური ფაქტორების მზარდი მნიშვნელობით. თანამედროვე მიდგომები გრძელვადიან ინვესტირებაში გულისხმობს დივერსიფიკაციას, ESG/მწვანე ინვესტიციებს და ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიებს, რომლებიც ფირმას საშუალებას აძლევს გაზარდოს ეფექტიანობა, შემცირდეს რისკები და გაუმკლავდეს გლობალური ბაზრის გამოწვევებს. [Stiglitz J., 2002, 25.]

ESG და მწვანე ინვესტიციები თანამედროვე ეკონომიკაში მნიშვნელოვან სტრატეგიულ ელემენტს წარმოადგენს. ფირმები მიმართავენ ინვესტიციებს ისეთ პროექტებში, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას, სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას და კორპორაციული მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას. საერთაშორისო კვლევები მიუთითებენ, რომ ESG ინვესტიციები არა მხოლოდ ზრდის ფირმის რეპუტაციას, არამედ აძლიერებს გრძელვადიან ფინანსურ შედეგებს. [Eccles, R., Ioannou, I., Serafeim, G., 2014, 16] მწვანე ინვესტიციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალურ კაპიტალურ ბაზრებზე, სადაც კლიმატის ცვლილების და მდგრადობის საკითხები მნიშვნელოვნად აისახება ინვესტორების გადაწყვეტილებებზე.

ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიები მოიცავს ტექნოლოგიური ინოვაციების, big data, AI, cloud computing და Industry 4.0 ტექნოლოგიების დანერგვას. ფირმები, რომლებიც წარმატებით იყენებენ ციფრულ

ტრანსფორმაციას, ზრდიან წარმოების ეფექტიანობას, ამცირებენ ოპერაციულ ხარჯებს, და აძლიერებენ კონკურენტულ უპირატესობას გლობალურ ბაზარზე. [Brynjolfsson, E., McAfee, A., 2014, 34.] ციფრული ტრანსფორმაცია ასევე აძლევს შესაძლებლობას ფირმებს, სწრაფად მოახდინონ ადაპტირება ბაზრის ცვლილებებთან და მიიღონ სწრაფი საინვესტიციო გადაწყვეტილებები რეალურ დროში.

თანამედროვე მიდგომები გრძელვადიან საინვესტიციო სტრატეგიაში – დივერსიფიკაცია, ESG/მწვანე ინვესტიციები და ციფრული ტრანსფორმაცია – წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელოვან კომპონენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ფირმის მდგრად განვითარებას, გლობალურ კონკურენციასთან ადაპტიაციას და ფინანსური რისკების ეფექტიან მართვას.

გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების შეფასება ფირმის ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთ ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს. საინვესტიციო კვლევა მიზნად ისახავს პროექტის სარგებლის, რისკების და ეფექტიანობის განსაზღვრას. ამ მიზნით გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, რომელთა შორის საწყისი ეტაპი ხშირად დაკავშირებულია სტატიკურ მეთოდებთან, რომლებიც ფასეულობას ძირითადად მოკლევადიან ან „სტანდარტულ“ ფინანსურ პარამეტრებზე დაყრდნობით განსაზღვრებენ. [Brealey R., Myers, S., 2020, 34] დაბრუნების პერიოდი წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ სტატიკურ მეთოდს. იგი განსაზღვრავს პერიოდს, რომელშიც პროექტიდან მიღებული ნეტო ფულადი ნაკადები უზრუნველყოფენ თავდაპირველად ინვესტირებულ კაპიტალს. მთავარი უპირატესობაა მეთოდის სიმარტივე და პირდაპირი ინტერპრეტაცია: ინვესტორი ადვილად განსაზღვრავს, როდის დაბრუნდება ჩადებული კაპიტალი. თუმცა, როგორც ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, მეთოდი არ ითვალისწინებს ფულის დროებით ღირებულებას და არ აისახება პროექტის გრძელვადიან შემოსავლიანობაზე. [Ross S., Westerfield, R., Jaffe, J., 2019, 67.]

Accounting Rate of Return (ARR) – უკეგების სააღრიცხვო განაკვეთი წარმოადგენს საინვესტიციო პროექტების შეფასების ერთ-ერთ სტატიკურ მეთოდს, რომელიც ეფუძნება პროექტის საშუალო წლიური მოგების ანალიზს. აღნიშნული მეთოდი აჩვენებს, რა მოცულობის სარგებელს იღებს ფირმა განხორციელებული ინვესტიციიდან და მას გამოხატავს მთლიანი ინვესტიციის ან საბაზისო კაპიტალის პროცენტული მაჩვენებლის სახით. ARR-ის მთავარი უპირატესობაა მისი გამოყენების სიმარტივე და ფინანსურ ანგარიშგებასთან ადვილად დაკავშირება, რის გამოც იგი პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება.

თუმცა, მეთოდს გარკვეული შეზღუდვებიც გააჩნია. კერძოდ, იგი არ ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას და ნაკლებ ყურადღებას აქცევს საინვესტიციო რისკებს, რაც პროექტის გრძელვადიანი ეფექტიანობის შეფასებას ართულებს. სწორედ ამიტომ, სტატიკური მეთოდები უმეტესად გამოიყენება პროექტების პირველადი განხილვისას ან მცირე მოცულობის ინვესტი-

ციების შეფასების დროს, როდესაც მთავარი აქცენტი კეთდება კაპიტალის მოკლევადიან უკუგებაზე.

უკუგების პერიოდი და უკეგების სააღრიცხვო განაკვეთი (ARR) ფირმას საშუალებას აძლევს სწრაფად და მარტივად შეაფასოს პროექტის სანყისი ფინანსური ეფექტიანობა. თუმცა, გრძელვადიანი საინვესტიციო გადანყვეტილებების მიღებისას აუცილებელია მათი შერწყმა დინამიკურ მეთოდებთან, რათა გათვალისწინებულ იქნეს ფულის დროითი ღირებულება, რისკები და პროექტის მომავალი შემოსავლიანობა. [Brigham E., Ehrhardt, M., 2021, 23.]

გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შეფასება მოითხოვს არა მხოლოდ შემოსავლიანობის განსაზღვრას, არამედ რისკების სისტემატურ ანალიზს. გლობალური ბაზრის სწრაფი ცვლილებები, ეკონომიკური ციკლები და პოლიტიკურ-საკანონმდებლო ფაქტორები ქმნიან პირობებს, რომელშიც ფირმას უნევს მიიღოს საინვესტიციო გადანყვეტილებები გაუთვალისწინებელი რისკების პირობებში. [Brealey, R., Myers, S., Allen, F., 2020, 34] სწორედ ამიტომ, ინვესტორები იყენებენ სხვადასხვა რისკის განხილვის ინსტრუმენტს, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია Scenario Analysis და Sensitivity Analysis.

სცენარების ანალიზი (Scenario Analysis) წარმოადგენს საინვესტიციო პროექტების შეფასების მნიშვნელოვან მეთოდს, რომელიც სხვადასხვა შესაძლო სიტუაციის გათვალისწინებით პროექტის შედეგების პროგნოზირებას ემსახურება. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ინვესტორი აფასებს, როგორ შეიძლება შეიცვალოს პროექტის შემოსავლიანობა ოპტიმისტური, რეალისტური ან პესიმისტური სცენარის პირობებში. ეს ფირმას საშუალებას აძლევს წინასწარ განსაზღვროს შესაძლო რისკები, შეაფასოს პროექტის მდგრადობა და მიიღოს უფრო ინფორმირებული საინვესტიციო გადანყვეტილებები. [Damodaran A., 2020, 43.] მაგალითად, სხვადასხვა მაკროეკონომიკური ფაქტორის ცვლილება, პროდუქციის ფასების მერყეობა ან მოთხოვნის შემცირება შეიძლება განხილულ იქნეს განსხვავებულ სცენარებად.

სენსიტიურობის ანალიზი (Sensitivity Analysis) კი განსაზღვრავს, რამდენად მგრძობიარეა პროექტი კონკრეტული ფაქტორების ცვლილების მიმართ. ამ მეთოდის მიზანია გამოავლინოს ის პარამეტრები, რომლებიც ყველაზე ძლიერ გავლენას ახდენენ პროექტის შედეგებზე, როგორცაა ნეტო მიმდინარე ღირებულება (NPV), შიდა მოგებიანობის ნორმა (IRR) ან მომგებიანობის ინდექსი (PI). მაგალითად, კაპიტალის ღირებულების, გაყიდვების მოცულობის ან საოპერაციო ხარჯების ცვლილება პირდაპირ აისახება პროექტის ფინანსურ შედეგებზე. მეთოდის მთავარი უპირატესობა მისი სიმარტივე და შედეგების ადვილად ინტერპრეტირების შესაძლებლობაა, რაც ინვესტორს საშუალებას აძლევს ყურადღება გაამახვილოს ყველაზე მნიშვნელოვან რისკებზე. [Ross S., Westerfield, R., Jaffe, J., 2019, 32.]

სცენარებისა და სენსიტიურობის ანალიზის ერთობლივი გამოყენება ფირმას აძლევს შესაძლებლობას

უფრო სრულყოფილად შეაფასოს გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტი და ეფექტიანად მართოს რისკები. აღნიშნული მეთოდები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური არასტაბილურობისა და ბაზრის ცვალებადი პირობების დროს, როდესაც საინვესტიციო გადანყვეტილებების მიღება მაღალი გაურკვევლობის პირობებში ხდება. [Berk J., DeMarzo, P., 2020, 64.]

ფირმის საინვესტიციო პორტფელის ფორმირება წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ სტრატეგიულ პროცესს, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას მაქსიმალურად გაზარდოს მოგება და შეამციროს რისკი. თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში ინვესტიციური გადანყვეტილებების ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია პორტფელის სწორად დაგეგმვაზე და აქტივების ოპტიმალურ კომბინაციაზე. [ჯანელიძე კ., 2018, 34.]

საინვესტიციო პორტფელის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რამდენიმე ძირითად პრინციპს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის დივერსიფიკაცია, რაც გულისხმობს აქტივების განაწილებას სხვადასხვა სექტორსა და გეოგრაფიულ რეგიონებში. აღნიშნული მიდგომა ამცირებს ფირმის დამოკიდებულებას ერთ კონკრეტულ ფაქტორზე და ხელს უწყობს რისკების დაბალანსებასა და სტაბილური შემოსავლების მიღებას [მაჭარაშვილი შ., 2020, 30.]

პორტფელის ფორმირებისას მნიშვნელოვანია ასევე სეზონურობისა და ეკონომიკური ციკლების გათვალისწინება. ფირმამ უნდა შეარჩიოს ისეთი აქტივები, რომლებიც სხვადასხვა ეკონომიკურ პირობებში უზრუნველყოფენ სტაბილურობასა და ფინანსურ მდგრადობას [კუპატაძე დ., 2019, 45.]. მნიშვნელოვანი პრინციპია ლიკვიდურობაც, რაც ნიშნავს, რომ პორტფელის გარკვეული ნაწილი უნდა შედგებოდეს მარტივად რეალიზებადი აქტივებისგან, რათა კომპანიამ შეძლოს სწრაფი რეაგირება ბაზრის მოულოდნელ ცვლილებებზე.

პორტფელის მართვისას აუცილებელია რენტაბელურობასა და რისკს შორის ბალანსის დაცვა. საინვესტიციო გადანყვეტილებების მიღების პროცესში ხშირად გამოიყენება ისეთი ფინანსური მაჩვენებლები, როგორცაა ნეტო მიმდინარე ღირებულება (NPV), შიდა მოგებიანობის ნორმა (IRR) და მომგებიანობის ინდექსი (PI), რომლებიც პროექტის ეფექტიანობის შეფასების საშუალებას იძლევა [თოდუა ნ., 2021, 38.]

თანამედროვე პირობებში კომპანიები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საერთაშორისო ბაზრებს, ინოვაციურ პროექტებსა და ეკოლოგიურად ორიენტირებულ ინვესტიციებს. ეს მიმართულებები ხელს უწყობს ფირმის გრძელვადიან კონკურენტულ უპირატესობას და ფინანსურ მდგრადობას. შესაბამისად, საინვესტიციო პორტფელის ფორმირება ეფუძნება არა მხოლოდ ფინანსურ ეფექტიანობას, არამედ სტრატეგიულ დაგეგმვასა და რისკების მართვას.

ფირმის საინვესტიციო საქმიანობის კვლევა მიზნად ისახავს საინვესტიციო სტრატეგიის ეფექტიანობის შეფასებას, პორტფელის ოპტიმიზაციასა და გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას [ჯანელიძე კ., 2018, 32.]. აღნიშნული კვლევა ეფუძნება რო-

გორც სტატიკურ და დინამიკურ შეფასების მეთოდებს, ასევე რისკების შეფასების ინსტრუმენტებს, რომლებიც ფირმას ეხმარება უფრო ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში [მაჭარაშვილი შ., 2020, 23].

განხილვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფინანსურ მაჩვენებლებს, როგორცაა ნეტო შემოსავალი, ინვესტიციის უკუგება (ROI), შიდა მოგებიანობის ნორმა (IRR), ნეტო მიმდინარე ღირებულება (NPV) და მომგებიანობის ინდექსი (PI) [თოდუა ნ., 2021, 98]. აღნიშნული ინდიკატორები ასახავენ პროექტების მომგებიანობასა და ფირმის რესურსების გამოყენების ეფექტიანობას.

საერთაშორისო ბაზრების არასტაბილურობა და კრიზისული მოვლენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფირმების გრძელვადიან საინვესტიციო საქმიანობაზე. სწორედ ამიტომ, ფირმები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პორტფელის დივერსიფიკაციასა და რისკების შემცირებას [კუპატაძე დ., 2019, 34]. პრაქტიკა აჩვენებს, რომ სწორად დაგეგმილი გრძელვადიანი საინვესტიციო პორტფელი ზრდის შემოსავლიანობას, უზრუნველყოფს სტაბილურობას და ამცირებს ერთ კონკრეტულ სექტორზე დამოკიდებულებას [ბერძენიშვილი გ., 2022, 37].

საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება შეუძლებელია რისკების განხილვის გარეშე. თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში ფირმები მუდმივად აწყდებიან ფინანსურ, პოლიტიკურ და საბაზრო რისკებს, რაც საინვესტიციო გადაწყვეტილებებს უფრო რთულსა და მრავალფაქტორულს ხდის [ჯანელიძე კ., 2018, 23].

რისკების შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. სენსიტიურობის ანალიზი განსაზღვრავს, როგორ აისახება კონკრეტული პარამეტრების ცვლილება პროექტის შედეგებზე, მათ შორის NPV-ის, IRR-ისა და PI-ის მაჩვენებლებზე [ბერძენიშვილი გ., 2022, 76]. სცენარების ანალიზი კი აფასებს პროექტის ეფექტიანობას სხვადასხვა ეკონომიკური გარემოს პირობებში [კუპატაძე დ., 2019, 26]. დამატებით გამოიყენება სტრეს-ტესტირება, რომლის მიზანია უკიდურესი ეკონომიკური პირობების მოდელირება და პორტფელის მდგრადობის შეფასება [თოდუა ნ., 2021, 62].

ფირმის გრძელვადიანი საინვესტიციო სტრატეგიის განხილვისას, მნიშვნელოვანია ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, რადგან ეს ხელს უწყობს პორტფელის მართვის გაუმჯობესებას და გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობის შექმნას [ჯანელიძე კ., 2018, 23]. სტრატეგიის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს დივერსიფიცირებული საინვესტიციო პორტფელი, რომელიც მოიცავს რეალურ, ფინანსურ, ინტელექტუალურ და ეკოლოგიურ აქტივებს, რაც ამცირებს რისკის დონეს [მაჭარაშვილი შ., 2020, 82]. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირება, რაც ფირმას საშუალებას აძლევს გაზარდოს შემოსავლიანობა და შეინარჩუნოს სტაბილურობა ეკონომიკური ცვლილებების პირობებში [თოდუა ნ., 2021, 32].

ინოვაციური პროექტები, ტექნოლოგიური განვითარება და გრძელვადიანი ნმვანე ინვესტიციები კიდევ

უფრო აძლიერებს ფირმის კონკურენტუნარიანობას და ზრდის მის მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში [კუპატაძე დ., 2019]. ამასთანავე, რისკ-მენეჯმენტის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა სენსიტიურობის ანალიზი, სცენარების შეფასება და სტრეს-ტესტირება, კომპანიას ეხმარება სწრაფად მოერგოს ცვალებად ეკონომიკურ გარემოს და შეამციროს პოტენციური დანაკარგები.

დასკვნა

ნაშრომში განხილულმა საკითხებმა აჩვენა, რომ გრძელვადიანი საინვესტიციო საქმიანობა ფირმის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს. ინვესტიციები უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფინანსური რესურსების ზრდას, არამედ ტექნოლოგიური განვითარების, ინოვაციების დანერგვისა და კონკურენტული უპირატესობის ფორმირების შესაძლებლობას. თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში საინვესტიციო გადაწყვეტილებების ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია როგორც ფინანსურ მაჩვენებლებზე, ისე რისკების სწორ შეფასებასა და სტრატეგიულ დაგეგმვაზე.

კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ფირმებმა გრძელვადიანი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უნდა გამოიყენონ როგორც სტატიკური, ისე დინამიკური შეფასების მეთოდები, რათა უფრო სრულყოფილად შეფასდეს პროექტების ეფექტიანობა და შესაძლო რისკები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციას, რადგან სხვადასხვა სექტორსა და აქტივში კაპიტალის განაწილება ამცირებს ფინანსურ რისკებს და უზრუნველყოფს შემოსავლების სტაბილურობას. ასევე მნიშვნელოვანია რისკების მართვის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენება, მათ შორის სცენარებისა და სენსიტიურობის მეთოდი, რაც ფირმას საშუალებას აძლევს სწრაფად მოერგოს ეკონომიკური გარემოს ცვლილებებს. თანამედროვე პირობებში მიზანშეწონილია ინოვაციურ, ციფრულ და ეკოლოგიურად ორიენტირებულ პროექტებში ინვესტიციების ზრდა, რადგან ეს ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რისკების ანალიზს. გამოიკვეთა, რომ თანამედროვე პირობებში ფირმები მუდმივად ექვემდებარებიან ეკონომიკურ, ფინანსურ და საბაზრო რისკებს. სწორედ ამიტომ, სცენარების განხილვა და სენსიტიურობის მეთოდის გამოყენება აუცილებელია საინვესტიციო პროექტების მდგრადობის შესაფასებლად. აღნიშნული მეთოდები კომპანიებს ეხმარება შესაძლო დანაკარგების შემცირებასა და უფრო მოქნილი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაში.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაცია ფირმის ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. სხვადასხვა სექტორსა და აქტივში კაპიტალის განაწილება ამცირებს რისკებს

და ზრდის შემოსავლიანობის სტაბილურობას. ამასთან ერთად, თანამედროვე პირობებში იზრდება ინოვაციური, ციფრული და ეკოლოგიურად ორიენტირებული ინვესტიციების მნიშვნელობა, რადგან ისინი უზრუნველყოფენ ფირმის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას.

ამრიგად, ეფექტიანი საინვესტიციო გრძელვადიანი სტრატეგია წარმოადგენს ფირმის ფინანსური მდგრადობის, კონკურენტუნარიანობისა და გრძელვადიანი განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს. თანამედროვე პირობებში წარმატებას აღწევენ ის კომპანიები, რომლებიც ახერხებენ ინვესტიციების ეფექტიან მართვას, რისკების სწორ შეფასებასა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი გ. ინვესტიციური გადაწყვეტილებების მართვა გლობალურ ბაზრებზე. თბილისი, 2022;
2. ავთანდილ სილაგაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბილისი. 2021;
3. პაპავა ვ. ეკონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი. თბილისი 2022;
4. კოვზანაძე ი. თანამედროვე საბანკო საქმე. თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 2022;

5. თოდუა ნ. ფინანსური მენეჯმენტი და ინვესტიციური სტრატეგიები. თბილისი, 2021;
6. კუპატაძე დ. ფირმის სტრატეგიული მენეჯმენტი და პორტფელის ანალიზი. თბილისი, 2019;
7. მაჭარაშვილი შ. ინვესტიციების მართვა თანამედროვე კომპანიებში. თბილისი, 2020;
8. წერეთელი თ. ინვესტიციები და მათი ეკონომიკური როლი. თბილისი, 2018;
9. Becker, G. Human Capital: A Theoretical and Empirical Analysis. University of Chicago Press, 2009;
10. Berk, J., & DeMarzo, P. Corporate Finance. Pearson, 2020;
11. Brealey, R., Myers, S., & Allen, F. Principles of Corporate Finance. McGraw-Hill, 2020;
12. Brigham, E., & Ehrhardt, M. Financial Management: Theory & Practice. Cengage Learning, 2021;
13. Brynjolfsson, E., & McAfee, A. The Second Machine Age: Work, Progress, and Prosperity in a Time of Brilliant Technologies. W.W. Norton & Company, 2014;
14. Damodaran, A. Applied Corporate Finance. Wiley, 2020;
15. https://www.mof.ge/en/fl/sakhelmtsifo_finansebis_statistika_sakhelmtsifo_biujeti?page=1
16. <https://www.economy.ge/?page=economy&s=51&lang=ge>.

ტურისტული აქტივობების გავლენა ეკონომიკურ კავშირებსა და ნდობის მშენებლობაზე შეჩერებულ კონფლიქტებში: აფხაზეთის მაგალითი

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2026.01.06>



ლარისა დოლიკაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
<https://orcid.org/0009-0007-3064-3487>
l.dolikashvili@seu.edu.ge



ლარისა თაქალაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,
<https://orcid.org/0000-0003-1126-6464>
speaker@sou.edu.ge

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტები კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება და სერიოზულ გავლენას ახდენს, როგორც რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ისე სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ხშირად ფერხდება ეკონომიკური საქმიანობა, იზრდება უმუშევრობა, მცირდება მოსახლეობას შორის ნდობა და სუსტდება თანამშრომლობის შესაძლებლობები. აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს შემთხვევაში, სადაც აფხაზეთის რეგიონის კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა, როგორც რეგიონული განვითარება, ისე საზოგადოებებს შორის ურთიერთობების აღდგენის პროცესი. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ პრაქტიკულ გზებს, რომლებიც მშვიდობის დამყარებას ხელს შეუწყობს არა მხოლოდ პოლიტიკური შეთანხმებების, არამედ ყოველდღიური ეკონომიკური ურთიერთობების მეშვეობით.

ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ იმ სფეროს, რომელსაც შეუძლია კონფლიქტურ გარემოშიც კი პოზიტიური როლის შესრულება. მიუხედავად არსებული უსაფრთხოების რისკებისა და ინფრასტრუქტურული პრობლემებისა, სწორად დაგეგმილი ტურისტული საქმიანობა ქმნის სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას და ამყარებს ეკონომიკურ კავშირებს სხვადასხვა საზოგადოებას შორის. ამგვარად, ტურიზმი შეიძლება იქცეს ერთგვარ ეკონომიკურ ხიდად, რომელიც კონფლიქტის შედეგად დაშორებულ მხარეებს შორის ურთიერთობას ამარტივებს და თანამშრომლობის საფუძველს ქმნის, მათ შორის ისეთ სენსიტიურ კონტექსტებში, როგორიცაა აფხაზეთის რეგიონებთან დაკავშირებული ურთიერთობები.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი; აფხაზეთი; შეჩერებული კონფლიქტები; მშვიდობის მშენებლობა; ნდობის აღდგენა; ეკონომიკური თანამშრომლობა; სოციალური კავშირები.

THE IMPACT OF TOURISM ACTIVITIES ON ECONOMIC RELATIONS AND TRUST-BUILDING IN FROZEN CONFLICTS: THE CASE OF ABKHAZIA

Larisa Dolikashvili

Georgian National University
Academic Doctor of Economics, Associate Professor,
<https://orcid.org/0009-0007-3064-3487>
l.dolikashvili@seu.edu.ge

Larisa Takalandze

Sokhumi State University
Academic Doctor of Economics, Professor,
<https://orcid.org/0000-0003-1126-6464>
speaker@sou.edu.ge

ABSTRACT

In the modern world, conflicts remain a significant problem and have a serious impact on both regional security and socio-economic development. In conflict-affected regions, economic activity is often hindered, unemployment increases, trust among the population declines, and opportunities for cooperation weaken. These challenges are particularly evident in the case of Georgia, where the conflicts in the Abkhazia region have significantly impeded both regional development and the process of restoring relations between societies. Under such conditions, particular importance is attached to practical approaches that promote peace not only through political agreements but also through everyday economic interactions.

Tourism is one of the sectors that can play a positive role even in a conflict environment. Despite existing security risks and infrastructural challenges, properly planned tourism activities create employment opportunities, support the development of local businesses, and strengthen economic ties between different communities. Thus, tourism can become a kind of economic bridge that facilitates interaction between parties separated by conflict and lays the foundation for cooperation, including in sensitive contexts such as relations connected to the Abkhazia region.

Keywords: Tourism; Abkhazia; Suspended conflicts; Peacebuilding; Trust-building; Economic cooperation; Social ties.



შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტები კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება და სერიოზულ გავლენას ახდენს როგორც რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ისე სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ხშირად ფერხდება ეკონომიკური საქმიანობა, იზრდება უმუშევრობა, მცირდება მოსახლეობას შორის ნდობა და სუსტდება თანამშრომლობის შესაძლებლობები. აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს შემთხვევაში, სადაც აფხაზეთის რეგიონის კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა როგორც რეგიონული განვითარება, ისე საზოგადოებებს შორის ურთიერთობების აღდგენის პროცესი. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ პრაქტიკულ გზებს, რომლებიც მშვიდობის დამყარებას ხელს შეუწყობს არა მხოლოდ პოლიტიკური შეთანხმებების, არამედ ყოველდღიური ეკონომიკური ურთიერთობების მეშვეობით.

ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ იმ სფეროს, რომელსაც შეუძლია კონფლიქტურ გარემოშიც კი პოზიტიური როლის შესრულება. მიუხედავად არსებული

უსაფრთხოების რისკებისა და ინფრასტრუქტურული პრობლემებისა, სწორად დაგეგმილი ტურისტული საქმიანობა ქმნის სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას და ამყარებს ეკონომიკურ კავშირებს სხვადასხვა საზოგადოებას შორის. ამგვარად, ტურიზმი შეიძლება იქცეს ერთგვარ ეკონომიკურ ხიდად, რომელიც კონფლიქტის შედეგად დაშორებულ მხარეებს შორის ურთიერთობას ამარტივებს და თანამშრომლობის საფუძველს ქმნის, მათ შორის ისეთ სენსიტიურ კონტექსტებში, როგორცაა აფხაზეთის რეგიონებთან დაკავშირებული ურთიერთობები.

თემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ რეგიონებისთვის, რომლებიც კონფლიქტის გამოცდილებას ატარებენ და ეკონომიკური განვითარების ალტერნატიულ გზებს ეძებენ. თანამედროვე პირობებში ტურიზმი სულ უფრო მეტად განიხილება როგორც მშვიდობის მშენებლობის პრაქტიკული ინსტრუმენტი, თუმცა მისი პოტენციალი ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი და გამოყენებული. საქართველოს მაგალითზე ეს საკითხი დამატებით მნიშვნელობას იძენს, რადგან ტურიზმის საშუალებით შესაძლებელია ნდობის ეტაპობრივი აღ-

დგენა და მოსახლეობებს შორის არაპოლიტიკური თანამშრომლობის ნახალისება. შესაბამისად, აუცილებელია ტურიზმის როლის გააზრება როგორც ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება.

კვლევის მიზანია ტურიზმის როლის შესწავლა კონფლიქტების პირობებში და მისი შეფასება მშვიდობის მშენებლობის პროცესში, კერძოდ კი იმის დადგენა, თუ როგორ შეუძლია ტურიზმს ეკონომიკური კავშირების გაძლიერება და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, მათ შორის აფხაზეთს რეგიონში, სტაბილური განვითარების ხელშეწყობა.

კვლევის ფარგლებში დასახულია შემდეგი ამოცანები:

- კონფლიქტების სოციალურ-ეკონომიკური გავლენის გაანალიზება აფხაზეთის რეგიონების მაგალითზე;
- ტურიზმის შესაძლებლობების შეფასება ეკონომიკური თანამშრომლობისა და დასაქმების კუთხით;
- უცხოური გამოცდილების შესწავლა, სადაც ტურიზმი წარმატებით გამოიყენება კონფლიქტის შემდეგი განვითარების პროცესში;
- რეკომენდაციების შემუშავება ტურიზმის გამოყენებისთვის მშვიდობის მშენებლობის მიზნებით საქართველოს კონფლიქტური რეგიონების კონტექსტში.

კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელიც მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების განხილვას. ასევე გამოყენებულია შედარებითი და დოკუმენტური ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ტურიზმის როლი სხვადასხვა კონფლიქტურ გარემოში.

რაოდენობრივი მონაცემების მისაღებად ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობის, იქაური გიდებსა და ტურიზმით დაინტერესებულ პირებს შორის, Facebook-ის შემდეგი გვერდების და ჯგუფების საშუალებით: (აფხაზეთის მაცხოვრებლების დამოკიდებულების კვლევა საქართველოს სხვა რეგიონებში მოგზაურობის მიმართ).

ხოლო მეორე რაოდენობრივი კვლევა: „ტურიზმის როლი კონფლიქტურ რეგიონებში და აფხაზეთიდან საქართველოს სხვა რეგიონებში მოგზაურობის ბარიერები.“ რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა საქართველოს გიდებსა და ტურიზმით დაინტერესებულ პირებს შორის Facebook-ის პლატფორმის გამოყენებით. კვლევის სამიზნე აუდიტორია მოიცავდა: პროფესიონალურ გიდებს, რომლებიც ოფიციალურად ან არაოფიციალურად სთავაზობენ ტურისტულ მომსახურებას; ტურიზმით დაინტერესებულ პირებს, მათ შორის ადგილობრივ მოყვარულებს და მიკრო/პირდაპირი ტურისტული სერვისის მომწოდებლებს; ტურისტული გამოცდილების გაზიარებით დაინტერესებულ ჯგუფებს, სადაც აქტიურად მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა ტურისტული დესტინაციებისა და სერვისების შესახებ.

მეცნიერული სიახლე. კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ტურისტული აქტივობების მრავალგანზომილებიან ანალიზში, როგორც მექანიზმისა, რომელიც კონფლიქტის პირობებში ერთდროულად გავლენას ახდენს ეკონომიკური კავშირების გაძლიერებასა და ნდობის ფორმირების პროცესებზე. აფხაზეთის მაგალითზე ტურიზმი გაანალიზებულია ინტეგრირებულ ჭრილში, სადაც იგი განიხილება როგორც ეკონომიკური ურთიერთობების გამაძლიერებელი ფაქტორი და ასევე როგორც სოციალურ-კომუნიკაციური დამაკავშირებელი რგოლი კონფლიქტურ მხარეებს შორის. აღნიშნული მიდგომა აფართოებს ტურიზმის კვლევით ჩარჩოს და მასში აერთიანებს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალური ინტერაქციისა და ნდობის ფორმირების კომპონენტებს.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება მისი გამოყენებადობით კონფლიქტ-სენსიტიური პოლიტიკის დაგეგმვასა და განვითარების სტრატეგიებში. მიღებული შედეგები აჩვენებს ტურიზმის პოტენციალს როგორც ნდობის აღდგენისა და ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერების ეფექტურ ინსტრუმენტს. ამასთან, კვლევა იძლევა პრაქტიკულ რეკომენდაციებს ადგილობრივი თემების ჩართულობის გაძლიერების, მცირე მასშტაბის ტურისტული ინიციატივების განვითარების და მდგრადი ეკონომიკური თანამშრომლობის მოდელის ჩამოყალიბების მიმართულებით, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს უწყობს სოციალური სტაბილურობისა და ურთიერთნდობის განმტკიცებას.

**ტურიზმი - აფხაზეთის
კონფლიქტის კონტაქსტში**

აფხაზეთის რეგიონის კონფლიქტებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ტურისტული სივრცის განვითარებაზე. აღნიშნული რეგიონები საბჭოთა პერიოდში ქვეყნის ტურისტულ რუკაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებებს წარმოადგენდა, განსაკუთრებით აფხაზეთი, რომელიც ზღვისპირა კურორტების, კლიმატური რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის გამო, ფართო პოპულარობით სარგებლობდა. 1980-იან წლებში რეგიონის სანაპიროები მთლიანად გლობალური ტურისტული აქტივობის დაახლოებით 40%-ს იკავებდა, რაც გულისხმობდა ფართომასშტაბიან სასტუმროებს, კურორტებს და სხვა ტურისტულ მომსახურებებს, რომლებიც ერთობლივად ქმნიდნენ სრულ ეკოსისტემას [16]

კონფლიქტის შემდეგ ტურისტული ნაკადები მკვეთრად დაეცა; გათვლებით, 1992–1993 წლების ომამდე აფხაზეთში ყოველწლიურად ათიათასობით სტუმარი ჩერდებოდა. ომის შემდეგ ეს მონაცემები თითქმის ნულამდე შემცირდა [12]

1990-იანი წლების შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად ტურისტული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად დაზიანდა, ხოლო უსაფრთხოების და სამართლებრივი გაურკვევლობის გამო რეგიონი საერთაშორისო

ტურისტული ბაზრიდან პრაქტიკულად გამოეთიშა.

აფხაზეთში 1992-1993 წლებში მიმდინარე შეიარაღებულმა კონფლიქტმა გამოიწვია ადგილობრივი ეკონომიკაში დაახლოებით 11.3 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის ზარალი. აღნიშნული დანაკარგი მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურის მასშტაბურ განადგურებას, ისე სანარმოო სექტორის ფუნქციონირების მნიშვნელოვან შეზღუდვასა და დეგრადაციას. ეს მონაცემები ასახავს რეგიონული ეკონომიკის პრაქტიკულად სრულ კოლაფსს, რომელიც აფხაზეთში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად განიცადა. აღნიშნული პროცესის გავლენით მნიშვნელოვნად დაზიანდა ეკონომიკური სისტემა, რაც დღემდე აისახება სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. კერძოდ, აფხაზეთში უმუშევრობის დონე კვლავ მაღალია, ხოლო მოსახლეობის შემოსავლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება კონფლიქტამდე არსებულ, შედარებით სტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობას [2].

ოფიციალური საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (UNWTO) და მსოფლიო ბანკი (World Bank), არ ასახავენ აფხაზეთის რეგიონს დამოუკიდებელ ტურისტულ მიმართულებებად, რაც განპირობებულია მათი არაღიარებული სტატუსით. შესაბამისად, ამ რეგიონებში ტურიზმის შესახებ სრულფასოვანი, საერთაშორისო დღიარებული სტატისტიკა არ არსებობს. არსებული მონაცემები ძირითადად ეყრდნობა დე ფაქტო წყაროებსა და ღია საინფორმაციო რესურსებს, რაც საჭიროებს ფრთხილ და კრიტიკულ გამოყენებას აკადემიურ კვლევებში [21].

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა წყაროს მიხედვით, აფხაზეთში ბოლო წლებში ფიქსირდება ტურისტული ვიზიტების ზრდა. 2023 წელს რეგიონში რეგისტრირებული იყო დაახლოებით 1.3 მილიონი ვიზიტორი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული ტურისტები იყვნენ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და რუსეთის ფედერალური სასახლერო სამსახურის მონაცემების შედარებით დგინდება, რომ 2025 წელს რუსი ტურისტების რაოდენობა აფხაზეთში, სხვა რეგიონებთან შედარებით, განსაკუთრებით მაღალი იყო. 2025 წელს დანარჩენ საქართველოში რუსი ტურისტების საერთო რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 1.3 მილიონს, რაც ქვეყნის ტურისტული ნაკადის 23.2%-ია. აფხაზეთში კი რუსეთის მოქალაქეების ვიზიტების რაოდენობა 1.6 მილიონს მიაღწია, რაც 300 ათასზე მეტია დანარჩენ საქართველოს მაჩვენებელზე. ამ დროისთვის აფხაზეთში ტურებზე მოთხოვნა წელიწადში 20.2%-ით გაიზარდა, რაც რეგიონს რუსეთის ტურისტული ნაკადის თვალსაზრისით ერთ-ერთ ლიდერად აქცევს. მსოფლიო კონტექსტში, აფხაზეთს ტურისტების რაოდენობით უსწრებს მხოლოდ: თურქეთი (6.9 მლნ რუსი ტურისტი), ჩინეთი (2.5 მლნ), არაბთა გაერთიანებული საემიროები (2.4 მლნ), ეგვიპტე (2 მლნ) და ტაილანდი (1.9 მლნ) [10].

აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ტურიზმი, მიუხედავად კონფლიქტური გარემოსა და საერთაშორისო იზოლაციისა, მაინც რჩება ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. თუმცა მისი განვითარება მკაცრად არის შეზღუდული ერთ კონკრეტულ ბაზარზე დამოკიდებულებით და საერთაშორისო კონკურენციის არარსებობით.

ტურისტული სეგმენტი ამ შენარჩუნებულ მაჩვენებლებშიც კი შორდება სრულ შესაძლებლობებს. სასტუმროებში ხელმისაწვდომია დაახლოებით 13 000 საწოლი, რაც დაბალია ფართომასშტაბიანი ტურისტული ინდუსტრიისთვის, თუმცა მაინც მნიშვნელოვანია ადგილობრივი დასაქმებისა და შემოსავლებისათვის [13]. თუნდაც მცირე მასშტაბის სასტუმროებისგან და კერძო ქირავნებიდან რეგიონის ბიუჯეტი იღებდა დაახლოებით 6 მილიონ რუბლს წელიწადში მხოლოდ საოჯახო ტურისტული გადასახადებიდან.

კონფლიქტების შედეგად უამრავი ეთნიკური მოსახლეობა დისლოცირდა ან იძულებით გადაადგილდა სხვადასხვა რეგიონში, რაც ხელს უწყობს მიგრაციის ზრდას დედაქალაქისა და ეკონომიკური ცენტრების მიმართულებით. შედეგად, რეგიონებში დღემდე სერიოზული რეგიონული ეკონომიკური და სოციალური განსხვავებებია შესამჩნევი.

ჰუმანიტარული სერვისების გაუმჯობესება კვლავ დიდი გამოწვევაა. პოლიცია, ჯანდაცვა და სხვა სოციალური მომსახურებები ვერ უზრუნველყოფენ ეფექტიან და თანაბარ მომსახურებას. განსაკუთრებით აფხაზეთში, ელექტროენერჯის დეფიციტი (ზოგჯერ მიწოდება დღეში მხოლოდ რამდენიმე საათით) ზღუდავს როგორც ეკონომიკურ აქტივობას, ისე ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების სტაბილურობას.

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარება მკვეთრად განსხვავებულ სურათს აჩვენებს. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2024-2025 წლებში ქვეყანაში დაფიქსირდა 5.5 მილიონზე მეტი საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა დაახლოებით 4.6 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ტურიზმი ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ სექტორად ჩამოყალიბდა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კონტრასტს ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებით და ხაზს უსვამს კონფლიქტების ნეგატიურ ეკონომიკურ ეფექტს.

მშვიდობის მშენებლობის კონტექსტში ტურიზმის მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ტურიზმი ვერ ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, იგი შეიძლება განიხილებოდეს როგორც არაპოლიტიკური თანამშრომლობის პოტენციური სივრცე, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს ადამიანებს შორის კონტაქტის აღდგენას, ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას და ნდობის ეტაპობრივ გაძლიერებას.

შემოსავლის წყაროა, არამედ უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ წამყვან სექტორსაც წარმოადგენს. 2019 წელს საერთაშორისო ვიზიტორებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 3 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო 2024 წლის მონაცემები მიუთითებს როგორც ვიზიტორთა რაოდენობის, ისე ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ტენდენციებზე [17].

ამავდროულად, ტურიზმი წარმოადგენს ინოვაციის და ცოდნის გადაცემის პლატფორმას, რადგან კერძო კომპანიები მუდმივად მუშაობენ მომსახურების ხარისხის, ტექნოლოგიური გადამწყვეტილებების და მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესებაზე, რაც ზრდის სექტორის კონკურენტულუნარიანობასა და პროდუქტის მრავალფეროვნებას. ვინაიდან საერთაშორისო ტურისტები ხშირად ეძებენ განსხვავებულ მომსახურებებს, ქვეყნები და კომპანიები იძულებულნი არიან გათვალისწინონ გლობალური სტანდარტები, რაც ინვესტიციას და თანამშრომლობას დაბრკოლებების გარეშე ააქტიურებს.

გლობალური და ეროვნული მონაცემები ქმნიან ერთგვაროვან სურათს ტურიზმის შესაძლებლობების შესახებ: სექტორი მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდას, დასაქმების გაზრდას, მომსახურებისა და ექსპორტის სექტორების განვითარებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც ხაზს უსვამს ტურიზმის უწყვეტ, ხარისხიან განვითარებას და ეკონომიკური თანამშრომლობის დიდ პოტენციალს.

აფხაზეთში ტურიზმის განვითარების პოტენციური განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური თანამშრომლობის, მშვიდობის მშენებლობისა და ნდობის აღდგენის თვალსაზრისით. უსაფრთხოდ და ეტაპობრივად განხორციელებულმა ტურისტულმა ინიციატივებმა შესაძლებელია შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, ჩართოს ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკურ პროცესებში და ხელი შეუწყოს რეგიონების კულტურული და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას. ამგვარად, ტურიზმი არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს, არამედ აძლიერებს რეგიონულ თანამშრომლობას, ინვესტიციების მოზიდვას და გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების პროცესს.

**გადაადგილების პოლიტიკა და რეალობა:
აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის
მოგილობა ენგურის ხაზის გავლით**

აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია როგორც ოკუპირებული ტერიტორია, წარმოადგენს რთულ სამართლებრივ და პოლიტიკურ სივრცეს, სადაც გადაადგილების საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კონფლიქტის შემდგომი რეალობა აყალიბებს მრავალშრიან მმართველობით გარემოს, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობის გადაადგილება ექვემდებარება როგორც საქართველოს

ცენტრალური ხელისუფლების, ასევე აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის რეგულაციებს.

საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ ადგენს, რომ აფხაზეთის მიმართულებით გადაადგილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს მიერ განსაზღვრული საკონტროლო პუნქტის გავლით — ენგურის ხიდი. სხვა მიმართულებით გადაადგილება საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით განიხილება უკანონო შესვლად. აღნიშნული რეგულაცია წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მექანიზმს, თუმცა პრაქტიკაში ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე [17].

მეორე მხრივ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება თავადაც აწესებს ნებართვების სისტემას, რომელიც განსაზღვრავს, ვის და რა პირობებით შეუძლია ენგურის ხაზის გადაკვეთა. შედეგად, გადაადგილების პროცესი ორმაგი კონტროლის ქვეშ ხორციელდება, რაც ქმნის ადმინისტრაციულ ბარიერებს და ზრდის სამართლებრივ გაურკვევლობას.

გალის რაიონის მოსახლეობა წარმოადგენს განსაკუთრებით დაუცველ სოციალურ ჯგუფს, რაც განპირობებულია როგორც გეოპოლიტიკური იზოლაციით, ისე საბაზისო სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობით. აღნიშნული რეგიონის მცხოვრებლებისთვის ენგურის ხიდი ფაქტობრივად წარმოადგენს კრიტიკულ ინფრასტრუქტურულ არტერიას, რომლის მეშვეობითაც ისინი ახორციელებენ ნვდომას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რესურსებზე, მათ შორის – სამედიცინო მომსახურებაზე, სოციალურ მხარდაჭერაზე, განათლებაზე და ეკონომიკურ აქტივობებზე.

მოდრაობის შეზღუდვა ან ენგურის ხიდის პერიოდული ჩაკეტვა პირდაპირ და მყისიერ გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, აძლიერებს მათი დაუცველობის ხარისხს და ზრდის ჰუმანიტარული რისკების მასშტაბს. აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებით მწვავედ აისახება იმ პირებზე, რომლებიც დამოკიდებულნი არიან რეგულარულ სამედიცინო მომსახურებაზე ან საარსებო მინიმუმის უზრუნველსაყოფად საჭირო ეკონომიკურ საქმიანობაზე. არსებული მონაცემებით, ყოველკვირეულად საშუალოდ დაახლოებით 2,000 ადამიანი კვეთს ენგურის ხიდს აფხაზეთიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ძირითადად გალის რაიონიდან ზუგდიდის მიმართულებით. გადაადგილების ძირითადი მიზნები უკავშირდება როგორც გადაუდებელი და გეგმიური სამედიცინო მომსახურების მიღებას, ასევე ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ნაკადში შედის 40-ზე მეტი ეთნიკური

აფხაზი, რომელთაც ასევე ესაჭიროებათ სამედიცინო სერვისებზე წვდომა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჰუმანიტარული საჭიროებების ტრანსეთნიკურ და უნივერსალურ ხასიათს [9].

გადაადგილების თავისუფლება აღიარებულია როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება საერთაშორისო სამართალში. თუმცა კონფლიქტურ რეგიონებში უსაფრთხოების, პოლიტიკური სტაბილურობისა და იურისდიქციული დავეების არგუმენტით ეს უფლება იზღუდება. აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობა აღმოჩნდა „ორმაგ სამართლებრივ სივრცეში“ — ისინი ექვემდებარებიან როგორც საქართველოს სამართლებრივ ნორმებს, ისე დე ფაქტო ადმინისტრაციულ წესებს, რაც იწვევს დოკუმენტაციის, იდენტიფიკაციისა და სამართლებრივი სტატუსის პრობლემებს.

აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირი კანონიერად გადმოდის ენგურის ხიდის გავლით და მისი შემოსვლა ფიქსირდება საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ქვეყნის შიგნით გადაადგილება სამართლებრივად შეზღუდული არ არის. თუმცა პრაქტიკული სირთულეები შესაძლოა დაკავშირებული იყოს დოკუმენტაციის სტატუსთან, რეგისტრაციასთან ან პოლიტიკურ კონტექსტთან.

ენგურის ხაზი წარმოადგენს არა მხოლოდ ფიზიკურ გამყოფ ზოლს, არამედ სამართლებრივ და ჰუმანიტარულ საზღვარს, რომელიც განსაზღვრავს აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის მობილობის შესაძლებლობებს. გადაადგილების არსებული წესი ასახავს კონფლიქტის მოუგვარებლობას და აჩვენებს, თუ როგორ იკვეთება სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკა და ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობა ერთსა და იმავე სივრცეში.

ამ პირობებში ტურიზმის განვითარება განსაკუთრებით რთულდება, რადგან სამოქალაქო გადაადგილებაზე არსებული შეზღუდვები მნიშვნელოვნად აფერხებს ტურისტების თავისუფალ გადაადგილებას აფხაზეთის მიმართულებით. შესაბამისად, ტურიზმის განვითარება მოითხოვს როგორც სამართლებრივი ჩარჩოს, ისე ჰუმანიტარული და უსაფრთხოების მექანიზმების სტაბილიზაციას. დოკუმენტაციის გამარტივება და უსაფრთხო ტურისტული მარშრუტების შექმნა საშუალებას მისცემს დაბალანსდეს ჰუმანიტარული საჭიროებები და ტურიზმის განვითარების პოტენციალი, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს რეგიონში მშვიდობის მშენებლობას და ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებას.

აფხაზეთში ფიზიკური გადაადგილების შეზღუდვა რეალური პოლიტიკური და უსაფრთხოების ბარიერია, თუმცა ეს გარემოება არ გამოორიცხავს ტურიზმის, როგორც მშვიდობის მშენებლობის ინსტრუმენტის გამოყენებას. თანამედროვე კონფლიქტოლოგიურ და ტურიზმის კვლევებში აღიარებულია, რომ პოსტკონფლიქტურ სივრცეებში თანამშრომლობა ხშირად იწყება არა მასობრივი ტურისტული ნაკადებით, არამედ ალტერნატიული, არაპირდაპირი და ეტაპობრივი ფორმატებით. ტურიზმი

ამ შემთხვევაში განიხილება არა მხოლოდ როგორც ეკონომიკური აქტივობა, არამედ როგორც სოციალური კომუნიკაციის პლატფორმა.

პირველ ეტაპზე აქცენტი შეიძლება გაკეთდეს: ვირტუალურ კულტურულ პროექტებზე, ონლაინ გამოფენებზე და ვებინარებზე, სტუდენტურ/აკადემიურ თანამშრომლობაზე, საერთო მემკვიდრეობის კვლევებზე. მსგავსი მიდგომები გამოყენებული იყო კვიპროსში, სადაც პირდაპირი გადაადგილება შეზღუდული იყო, მაგრამ კულტურული დიალოგი ნეიტრალურ პლატფორმებზე მიმდინარეობდა. ეს ეტაპი მიზნად ისახავს სტერეოტიპების შემცირებას და კომუნიკაციის არხების გახსნას.

II ეტაპი – მცირე მასშტაბის ერთობლივი ინიციატივები. საერთო თემატური ფორუმები, ახალგაზრდული პროექტები, კვლევითი ექსპედიციები (ნეიტრალურ სივრცეებში).

III ეტაპი – სიმბოლური ტურისტული პროდუქტები. ვირტუალური მარშრუტები, ერთობლივი ბრენდინგი (მაგ., შავი ზღვის კულტურული მემკვიდრეობა). პირდაპირი ტურისტული მარშრუტების ნაცვლად შეიძლება დაიწყოს: ერთობლივი კვლევები (ეთნოგრაფია, კულინარია, ფოლკლორი), ვირტუალური ტურები, დოკუმენტური პროექტები. მაგალითად, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ომის შემდეგ ერთობლივმა მემკვიდრეობითმა პროექტებმა შეამცირა ეთნიკური დაყოფა.

IV ეტაპი – მხოლოდ აღნიშნული პირობების უზრუნველყოფის შემდეგ იქმნება ფიზიკური ტურიზმის განვითარების რეალური შესაძლებლობა. პოლიტიკური კონსენსუსისა და უსაფრთხოების გარანტიების პირობებში. მსგავსი ტრანსფორმაცია დაფიქსირდა ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც ტურიზმის ზრდა დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ნდობის საფუძველი შეიქმნა. კონფლიქტურ სივრცეში ნაჩქარევი ეკონომიკური პროექტები შეიძლება აღქმული იყოს პოლიტიკურ მანიპულაციად. ისტორიული ნარატივების განსხვავება ზრდის დაძაბულობას. საზოგადოებრივი მზაობის გარეშე ტურიზმი ვერ გახდება შერიგების ინსტრუმენტი. ამიტომ სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს კონფლიქტზე მგრძობიარე დაგეგმვას (conflict-sensitive tourism planning). საქართველოს შემთხვევაში, სადაც აფხაზეთთან გადაადგილება შეზღუდულია, ტურიზმის განვითარება ვერ ეფუძნება მხოლოდ ფიზიკურ ინფრასტრუქტურას და საჭიროებს კონფლიქტ-სენსიტიურ მიდგომას. მისი ინიცირება შესაძლებელია აკადემიური თანამშრომლობით, საერთაშორისო ორგანიზაციების — განსაკუთრებით United Nations Development Programme-ის დიალოგის პროგრამების — მხარდაჭერით, საერთო კულტურული მემკვიდრეობის კვლევით და შავი ზღვის რეგიონულ პროექტებში ჩართვით. ამგვარად, ტურიზმი ამ კონტექსტში იწყება არა მატერიალური ობიექტების შექმნით, არამედ ნდობისა და თანამშრომლობის საფუძვლის ფორმირებით.

ტურიზმი როგორც ნდობის აღდგენის პრაქტიკული ინსტრუმენტი

აფხაზეთი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში კლასიფიცირდება როგორც შეჩერებული კონფლიქტების ტიპური მაგალითი, რომლებიც ერთდროულად ატარებს როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ პოლიტიკურ მნიშვნელობას. აღნიშნული კონფლიქტები უშუალოდ უკავშირდება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხს და წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სისტემისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას. რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური ჩართულობა აღნიშნულ რეგიონებში, მათ შორის მუდმივი სამხედრო ყოფნა და ე.წ. დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარება, არსებითად ზღუდავს კონფლიქტების მშვიდობიანი და შეთანხმებაზე დაფუძნებული რეგულირების შესაძლებლობებს. აღნიშნული გარემოებები ხელს უწყობს ხანგრძლივი დე ფაქტო გამიჯვნის კონსოლიდაციას, რაც აისახება კონფლიქტის მხარეებს შორის სოციალური ურთიერთობების დასუსტებაში, ურთიერთდობის დეფიციტში და ისტორიული მესხიერების ურთიერთგამომრიცხავი ნარატივების ჩამოყალიბებაში. შედეგად, მცირდება მოსახლეობებს შორის პირდაპირი კონტაქტები, ძლიერდება გაუცხოების პროცესები და ფორმირდება სტაბილური სოციალური და ფსიქოლოგიური ბარიერები, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს შერიგებისა და მდგრადი მშვიდობის მიღწევის გრძელვადიან პერსპექტივებს.

ნდობის აღდგენა აღნიშნულ პირობებში წარმოადგენს მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც მოიცავს, ერთი მხრივ, კონფლიქტით განპირობებული სტერეოტიპებისა და შიშის თანდათანობით შემცირებას ცენტრალურ ხელისუფლებასა და კონფლიქტის რეგონებს შორის, ხოლო მეორე მხრივ — ადამიანებს შორის პირდაპირი და მდგრადი კავშირების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას. აღნიშნული პროცესი ეფუძნება საერთო ინტერესების იდენტიფიცირებასა და პიროვნულ გამოცდილებებზე დაფუძნებულ თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს ურთიერთგაგებისა და ურთიერთდობის ფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი პოლიტიკურ და ინსტიტუციურ დონეზე კვლავაც არაღიარებულ და ჩაკეტილ ხასიათს ატარებს, ნდობის აღდგენის პოტენციური უფრო რეალისტურად იკვეთება მიკრო და საზოგადოებრივ დონეზე, განსაკუთრებით კულტურული, საგანმანათლებლო და ხალხთაშორისი ურთიერთქმედების პლატფორმების მეშვეობით.

კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში ნდობის დეფიციტი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს მშვიდობის მშენებლობის გზაზე. პოლიტიკური მოლაპარაკებების შეზღუდული ეფექტიანობისა და „გაყინული კონფლიქტების“ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალურ, ადამიანებზე ორიენტირებულ მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობს ურთიერთგაგების ეტაპობრივ აღდგენას.

ამ კონტექსტში ტურიზმი შეიძლება განიხილებოდეს როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც ქმნის თანამშრომლობის გამოცდილებას პოლიტიკური სტატუსის საკითხებზე ფოკუსირების გარეშე.

ტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა, აერთიანებს სხვადასხვა აქტორს - ადგილობრივ მოსახლეობას, მცირე და საშუალო მენარმეებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. საერთო ეკონომიკური ინტერესები და კულტურული მემკვიდრეობის გაზიარება ქმნის თანამშრომლობის ნეიტრალურ სივრცეს, სადაც ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტი ამცირებს სტერეოტიპებს და ზრდის ურთიერთდობას. განსაკუთრებით ეფექტიანად მიიჩნევა მცირე მასშტაბის ტურისტული ინიციატივები, როგორცაა თემზე დაფუძნებული ტურიზმი, ეკოტურიზმი და კულტურული მარშრუტები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობას აძლიერებს.

ევროკავშირი ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც მშვიდობის აქტორი და განვითარების მხარდამჭერი. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამები აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, მათ შორის განათლების, კულტურისა და რეგიონული განვითარების მიმართულებით, ქმნის საფუძველს ტურიზმის ინტეგრირებისთვის მშვიდობის მშენებლობის სტრატეგიებში. ევროკავშირის მიდგომა ეფუძნება რბილი ძალის გამოყენებას, სადაც ეკონომიკური თანამშრომლობა და ადამიანებს შორის კავშირები განიხილება კონფლიქტის მართვის დამატებით მექანიზმად.

საქართველოს კონფლიქტურ რეალობაში, განსაკუთრებით აფხაზეთის რეგიონთან დაკავშირებულ კონტექსტში, ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვან შეზღუდვებს აწყდება უსაფრთხოების, გადაადგილებისა და პოლიტიკური ფაქტორების გამო. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ შეზღუდვებში იკვეთება ტურიზმის ალტერნატიული ღირებულება - იგი შეიძლება იქცეს ნდობის აღდგენის არაპირდაპირ ინსტრუმენტად. ევროკავშირის მხარდაჭერილი ინიციატივები, რომლებიც ფოკუსირებულია კულტურულ მემკვიდრეობაზე, საგანმანათლებლო გაცვლებსა და ადგილობრივი თემების ეკონომიკურ გაძლიერებაზე, ქმნის თანამშრომლობის პრაქტიკულ გამოცდილებას კონფლიქტის პირდაპირი პოლიტიზაციის გარეშე.

განსაკუთრებულ როლს ასრულებს საგანმანათლებლო ტურიზმი და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამები, რომლებიც აერთიანებს სწავლას, კულტურულ გამოცდილებასა და მოგზაურობას. ასეთი პროგრამები ხელს უწყობს საერთო გამოცდილების დაგროვებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდის მშვიდობიანი თანაცხოვრების შესაძლებლობას. უმაღლესი განათლების დაწესებულებები ამ პროცესში შუამავლურ ფუნქციას ასრულებენ, რადგან ისინი ქმნიან ნეიტრალურ და ინსტიტუციურად სანდო სივრცეს დიალოგისა და ცოდნის გაზიარებისთვის.

ამრიგად, ტურიზმი მშვიდობის მშენებლობის პრო-

ცესში სცდება მხოლოდ ეკონომიკური განვითარების ჩარჩოს. იგი წარმოადგენს პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს ნდობის აღდგენას, თანამშრომლობის კულტურის ჩამოყალიბებას და ეკონომიკური ხიდეების ფორმირებას კონფლიქტით დაზარალებულ გარემოში. საქართველოს მაგალითი აჩვენებს, რომ ტურიზმის ეფექტიანი ინტეგრაცია შესაძლებელია მხოლოდ განათლების, ძლიერი ინსტიტუციური ჩარჩოსა და ევროკავშირის მსგავსი საერთაშორისო აქტორების გრძელვადიანი მხარდაჭერის პირობებში.

ტურისტული ინიციატივები მშვიდობის მშენებლობის პროცესში

მშვიდობის მშენებლობის პროცესში ტურისტული ინიციატივები სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც დამატებითი, თუმცა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ განვითარებას, სოციალურ ინკლუზიასა და ნდობის აღდგენის მექანიზმებს. კონფლიქტით დაზარალებულ გარემოში ასეთი ინიციატივები ქმნის თანამშრომლობის პრაქტიკულ სივრცეს, სადაც ურთიერთქმედება ეფუძნება საერთო ინტერესებს და არა პოლიტიკური დაპირისპირების ლოგიკას. ტურიზმის მოქნილი და მრავალგანზომილებიანი ბუნება მას განსაკუთრებით ეფექტიანს ხდის მშვიდობის მშენებლობის არაპირდაპირ პროცესებში.

ტურისტული ინიციატივები შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის თემზე დაფუძნებული ტურიზმის, ეკოტურიზმის, კულტურული და საგანმანათლებლო ტურიზმის სახით. თემზე დაფუძნებული ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას და მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც ზრდის საკუთრების განცდას და ამცირებს სოციალურ დაძაბულობას. ეკოტურიზმი, თავის მხრივ, აერთიანებს გარემოს დაცვასა და ეკონომიკურ საქმიანობას, რაც კონფლიქტურ რეგიონებში შეიძლება იქცეს ნეიტრალურ თანამშრომლობის სფეროდ.

კულტურული ტურიზმის ინიციატივები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონფლიქტურ გარემოში, რადგან კულტურული მემკვიდრეობა ხშირად საერთო ისტორიულ და იდენტობის ელემენტებს აერთიანებს. კულტურული მარშრუტები, მუზეუმები და ფესტივალები ქმნის შესაძლებლობას საერთო ნარატივების ფორმირებისთვის და ხელს უწყობს კულტურულ დიალოგს. ამ პროცესში ტურიზმი მოქმედებს როგორც რბილი ძალის ინსტრუმენტი, რომელიც ამცირებს დაპირისპირების სიმწვავეს და ზრდის ურთიერთგაგებას.

ევროკავშირის ჩართულობა ტურისტული ინიციატივების მხარდაჭერაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამები რეგიონული განვითარების, განათლებისა და კულტურული თანამშრომლობის მიმართულებით ხელს უწყობს ტურიზმის ინტეგრირებას მშვიდობის მშენებლობის ფა-

რთო სტრატეგიებში. აღნიშნული პროგრამები არა მხოლოდ ფინანსურ რესურსებს უზრუნველყოფს, არამედ ხელს უწყობს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას და ადგილობრივი აქტორების ჩართულობას.

საქართველოს კონფლიქტურ კონტექსტში ტურისტული ინიციატივების განხორციელება მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდება, თუმცა ამავე დროს ავლენს მათ სტრატეგიულ პოტენციალს. აფხაზეთის რეგიონთან დაკავშირებულ კონფლიქტებში უსაფრთხოების საკითხები და გადაადგილების შეზღუდვები ზღუდავს ფართომასშტაბიან ტურიზმს, თუმცა მცირე, მიზნობრივი ინიციატივები - განსაკუთრებით განათლებასთან და კულტურულ გაცვლებთან დაკავშირებული - შეიძლება იქცეს ნდობის აღდგენის ეფექტიან საშუალებად. ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები ქმნის თანამშრომლობის ალტერნატიულ არხებს, რომლებიც ნაკლებად პოლიტიზებულია და უფრო მეტად ორიენტირებულია ადამიანებზე.

ტერიტორიული კონფლიქტების მართვა თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო ან პოლიტიკურ მექანიზმებზე დაყრდნობით და სულ უფრო მეტად ეფუძნება სოციალურ, ეკონომიკურ და ნარატიულ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ კონფლიქტის დინამიკასა და მისი ტრანსფორმაციის შესაძლებლობებს. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი არაძალადობრივი ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს ნდობის აღდგენას და კონფლიქტურ მხარეებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას.

აფხაზეთის რეგიონში ტურიზმი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი, რომელიც აერთიანებს ნდობის აღდგენის პროცესს, ხალხთაშორის კონტაქტების გაღრმავებას, ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებას და კონფლიქტთან დაკავშირებული ნარატივების ტრანსფორმაციას. ამგვარი მრავალგანზომილებიანი გავლენა ტურიზმს აქცევს მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რომელიც პოტენციურად უწყობს ხელს როგორც სოციალურ ინტეგრაციას, ისე გრძელვადიან სტაბილურობას.

I. კონფლიქტ-სენსიტიური საფუძვლის შექმნა. რეგიონის ისტორიული, სოციალური და კულტურული სენსიტიურობის სიღრმისეული კვლევა, Do No Harm პრინციპის დაცვა, რათა ინიციატივებმა არ გააღრმავოს დაპირისპირება, ნეიტრალური საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა (ევროკავშირი, UNDP, არასამთავრობო ორგანიზაციები).

II. ხალხთაშორისი კონტაქტების არაპოლიტიზებული არხები. კულტურული, საგანმანათლებლო და პროფესიული გაცვლითი პროგრამები. ერთობლივი ტრენინგები ტურიზმის, ხელოვნებისა და მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. ახალგაზრდობისა და ქალთა ინიციატივების მხარდაჭერა.

III. მცირე მასშტაბის, თემზე ორიენტირებული ტურისტული ინიციატივები. აგრო-ტურიზმი, ეკო-ტური-

ზმი, კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი, ადგილობრივი თემების მიერ მართული სერვისები, შემოსავლის გამჭვირვალე გადანაწილება.

IV. ერთობლივი ეკონომიკური ინტერესების ჩამოყალიბება. ერთობლივი ტურისტული მარშრუტები. მომსახურების ჯაჭვის (ტრანსპორტი, კვება, ხელნაკეთი პროდუქცია) განვითარება. ეკონომიკური სარგებელი როგორც სტაბილურობის ფაქტორი.

V. საერთაშორისო ჩარჩოები (ევროკავშირის როლი). ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს ნეიტრალური დაფინანსება, მონიტორინგისა და ინფრასტრუქტურის განვითარება. სტანდარტების დანერგვა მდგრადი და ეთიკური ტურიზმისთვის. მხარდაჭერა ადგილობრივი აქტორებისთვის კონფლიქტ-სენსიტიური პროექტების მართვისას რის შედეგადაც რუსეთის გავლენა შემცირდება არა კონფორმტაციით, არამედ ალტერნატიული, მომგებიანი განვითარების შეთავაზებით.

VI. ნარატივების ტრანსფორმაცია. აფხაზეთი აღიქმება არა როგორც კონფლიქტის ზონა, არამედ საერთო კულტურული და ისტორიული სივრცე. ტურიზმი ქმნის პოზიტიურ საერთაშორისო იმიჯს. შიდა და გარე აუდიტორიებში ძლიერდება მშვიდობის დისკურსი.

ტურისტული ინიციატივები მშვიდობის მშენებლობის პროცესში წარმოადგენენ მრავალფუნქციურ მექანიზმს, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ სარგებელს, სოციალურ ჩართულობასა და ნდობის განმტკიცებას. მათი წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სისტემის აქტიურ მონაწილეობაზე, ძლიერი ინსტიტუციური ჩარჩოს არსებობასა და საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის ევროკავშირის, გრძელვადიან მხარდაჭერაზე. სწორად დაგეგმილი ტურისტული ინიციატივები შეიძლება იქცეს მდგრადი მშვიდობის ხელშემწყობ ფაქტორად კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებში.

კვლევის ანგარიში: ტურიზმი და სოციალური კავშირები

რაოდენობრივი მონაცემების მისაღებად ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის, იქაური გიდებისა და ტურიზმით დაინტერესებულ პირებს შორის, Facebook-ის გვერდების და ჯგუფების საშუალებით: (აფხაზეთის მაცხოვრებლების დამოკიდებულების კვლევა საქართველოს სხვა რეგიონებში მოგზაურობის მიმართ) ხოლო მეორე რაოდენობრივი კვლევა: „ტურიზმის როლი კონფლიქტურ რეგიონებში და აფხაზეთიდან საქართველოს სხვა რეგიონებში მოგზაურობის ბარიერები.“ საქართველოს გიდებსა და ტურიზმით დაინტერესებულ პირებს შორის. კვლევა მიზნად ისახავს ტურიზმის გავლენის გაანალიზებას სოციალურ კავშირებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, განსაკუთრებით კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში. გამოკითხულთა დემოგრაფიული ანალიზი აჩვენებს, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია. კერძოდ,

42.9% მიეკუთვნება 19-25 წლის ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო 40% — 13-18 წლის კატეგორიას. გენდერული სტრუქტურა თითქმის თანაბარია, ქალთა მცირედი უპირატესობით (51.4%). გეოგრაფიული განაწილების მიხედვით, რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია გალის რაიონიდან (77.1%), ხოლო დანარჩენი ნაწილი მოდის სოხუმიდან, ტყვარჩელიდან და სხვა დასახლებებიდან. პროფესიული კუთხით, დომინირებენ სტუდენტები და სხვადასხვა სფეროში დასაქმებული პირები, მაშინ როდესაც ტურიზმის სექტორში უშუალოდ ჩართული რესპონდენტების წილი შედარებით მცირეა.

კვლევის შედეგები მიუთითებს მოგზაურობის მაღალი აქტივობისა და პოზიტიური განწყობების არსებობაზე. რესპონდენტთა 60%-ს ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული აქვს ვიზიტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ხოლო საერთო ჯამში 80%-ს ერთხელ მაინც უმოგზაურია. მოგზაურობის ძირითადი მიზნებია დასვენება (37.1%) და პირადი/ოჯახური კავშირების შენარჩუნება (34.3%), რაც ცხადყოფს ტურიზმის არა მხოლოდ რეკრეაციულ, არამედ სოციალურ ფუნქციას. აღსანიშნავია, რომ სხვა რეგიონებში მოგზაურობის მიმართ განწყობა უკიდურესად პოზიტიურია (88.5%), ხოლო მომავალში მოგზაურობის სურვილს თითქმის ყველა რესპონდენტი (97%) გამოხატავს.

მოტივაციური ფაქტორების ანალიზი აჩვენებს, რომ ტურისტული ინტერესების ცენტრში ბუნებრივი გარემო და დასვენებაა, რასაც მოსდევს კულტურული და საგანმანათლებლო მოტივები. მოგზაურობის ფორმატის თვალსაზრისით, უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად მოგზაურობას (54.3%), რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ტურიზმის სოციალურ განზომილებას. ასევე აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები უფრო მეტად ამჯობინებენ ხანგრძლივ ვიზიტებს (ერთ კვირაზე მეტი), რაც მიუთითებს ღრმა გამოცდილებისა და ინტეგრაციის სურვილზე. მოგზაურობისას ყველაზე მეტად ფასდება სტუმართმოყვარეობა (60%), რასაც მოსდევს მომსახურების ხარისხი და ტურისტული ობიექტების მრავალფეროვნება.

მიუხედავად პოზიტიური დამოკიდებულებებისა, კვლევამ გამოკვეთა მნიშვნელოვანი ბარიერები, რომლებიც ზღუდავს ტურისტულ აქტივობას. მთავარი შემაფერხებელი ფაქტორებია ფინანსური რესურსების შეზღუდულობა და უსაფრთხოების საკითხები. რესპონდენტთა თითქმის ნახევარი აღნიშნავს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს მოგზაურობის ძირითად დაბრკოლებას. შესაბამისად, სახელმწიფოსგან ისინი ელიან გადაადგილების პროცედურების გამარტივებასა და ფინანსურ მხარდაჭერას, ხოლო ტურისტული სექტორის წარმომადგენლებისგან — უფრო ხელმისაწვდომ ფასებს (65.7%). ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უსაფრთხოებისა და ნდობის გარემოს შექმნას, რომელიც განსაზღვრულია, როგორც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ტურისტული აქტივობის ზრდისთვის.

კვლევის დასკვნითი ნაწილი ხაზს უსვამს ტურიზმის მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას. რესპონდენტთა 77.2% მიიჩნევს, რომ ტურიზმი მნიშვნელოვან, ხოლო ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს კონფლიქტურ რეგიონებში მშვიდობის მშენებლობის, სოციალური კავშირების განმტკიცებისა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პროცესში. აღნიშნული შედეგი ცხადყოფს, რომ ტურიზმი აღიქმება არა მხოლოდ დასვენებისა და გართობის საშუალებად, არამედ როგორც სოციალური ინტეგრაციისა და ნდობის აღდგენის ეფექტიან მექანიზმად.

მეორე კვლევა: „ტურიზმის როლი კონფლიქტურ რეგიონებში და აფხაზეთიდან საქართველოს სხვა რეგიონებში მოგზაურობის ბარიერები.“ პირველ რიგში, რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ კვლევის სამიზნე ჯგუფი ძირითადად „პოსტ-კონფლიქტურ“ თაობას წარმოადგენს. კერძოდ, გამოკითხულთა 75.6% 19-25 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ერთიანდება, ხოლო 64.4% სტუდენტია, რაც მიუთითებს აკადემიური სივრცის მნიშვნელოვან როლზე აღნიშნული დისკურსის ფორმირებაში. ამასთან, აღსანიშნავია ქალთა მაღალი წარმომადგენლობა (75.6%), რაც შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც ინდიკატორი იმისა, რომ მშვიდობის მშენებლობისა და სოციალური ინტეგრაციის საკითხები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ახალგაზრდა ქალებში. კვლევამ ასევე გამოავლინა ერთსულოვანი დამოკიდებულება ტურიზმის, როგორც მშვიდობის ხელშემწყობი ინსტრუმენტის მიმართ: რესპონდენტთა 100% აღიარებს მის მნიშვნელობას, ხოლო 84.4% მას „ძალიან მნიშვნელოვან“ ფაქტორად მიიჩნევს სოციალურ-ეკონომიკური კავშირების აღდგენის პროცესში. აღნიშნული შედეგები ადასტურებს, რომ საზოგადოებაში არსებობს მზაობა ტურიზმის ჰუმანიტარული ფუნქციის გააზრებისა და მისი გამოყენების მიმართ.

F-statistic	1712.691	Durbin-Watson stat	2.308329	
Prob(F-statistic)	0.000000			

აგებულია ავტორების მიერ EViews 13-ში

როგორც მთლიანობაში მოდელი, ასევე ყველა ცვლადი, გარდა ხელფასის მესამე ლაგისა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 5%-იანი მნიშვნელოვნების დონისთვის. ARDL მოდელში გათვალისწინებული არის კოვიდ-19 პანდემიის 2 ფიქტიური ცვლადი. COVID ცვლადი ასახავს გრძელვადიან გავლენას, მისი კოეფიციენტი დადებითია, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ პანდემიის პირობებში შრომის მიწოდების შემცირებამ გარკვეულ სექტორებში ხელი შეუწყო ხელფასების ზრდას. COVID_SR ცვლადი კი ასახავს პანდემიის მოკლევადიან შოკს, მისი კოეფიციენტი უარყოფითია, პანდემიის პირველ ეტაპზე ეკონომიკური აქტივობის შემცირება უარყოფითად აისახა ხელფასებზე.

ARDL მოდელი განკუთვნილია სტაციონალური მწკრივების მოდელირებისთვის, თუმცა თუ მოდელში შემავალ ცვლადებს შორის არსებობს გრძელვადიანი კავშირი ანუ კონტეგრაცია, შესაძლებელი ხდება არასტაციონალური მწკრივების გამოყენება. გაფართოებული დიკი-ფულერის ტესტის (Augmented Dickey-Fuller - ADF) შედეგები წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი 3: ADF ტესტის შედეგები

Test Type	Level		First Difference	
	Wage	Migration	Wage	Migration
With Constant	0.9281	-1.6063	-3.8324***	-5.7099***
With Constant & Trend	-0.6341	-2.6576	-3.974**	-5.6609***
Without Constant & Trend	3.5961	0.6128	-1.0815	-5.6992***

შენიშვნა: (**) მნიშვნელოვანია 5%-იანი დონისთვის, (***) მნიშვნელოვანია 1%-იანი დონისთვის
აგებულია ავტორების მიერ EViews 13-ში

როგორც ცხრილიდან ჩანს, როგორც რეალური ხელფასი, ასევე მიგრაციის მწკრივი წარმოადგენს მწკრივს, ანუ არის არასტაციონალური დონეზე. შესაბამისად, კონტეგრაციული კავშირის არსებობა შემოწმდა სპეციალური F-Bounds ტესტით. შედეგად მივიღეთ რომ მწკრივებს შორის არსებობს კონტეგრაცია (იხ. ცხრილი 4):

ცხრილი 4: კოინტეგრაციის F-Bounds ტესტის შედეგები

F-Bounds Test		Null Hypothesis: No levels relationship		
Test Statistic	Value	Signif.	I(0)	I(1)
F-statistic	22.75826	10%	4.04	4.78
k	1	5%	4.94	5.73
		2.5%	5.77	6.68
		1%	6.84	7.84

აგებულია ავტორების მიერ EViews 13-ში

მიღებული შედეგი გვაძლევს საფუძველს გადავიდეთ ECM (Error Correction Model) მოდელზე, რომელიც საშუალებას იძლევა განვიხილოთ, როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი კავშირები.

ცხრილი 5: ECM მოდელის შედეგები

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	-0.741226	0.188731	-3.927413	0.0003
D(LOGWAGE_REAL(-1))	-0.520834	0.078776	-6.611539	0.0000
D(LOGWAGE_REAL(-2))	-0.360948	0.087310	-4.134089	0.0001
D(LOGWAGE_REAL(-3))	-0.491665	0.072478	-6.783625	0.0000
COVID	0.049429	0.012077	4.092811	0.0002
COVID_SR	-0.054829	0.017328	-3.164242	0.0026
LOG(GDP_PC)	0.218142	0.035026	6.227933	0.0000
CointEq(-1)*	-0.202360	0.029705	-6.812415	0.0000


აგებულია ავტორების მიერ EViews 13-ში

კოინტეგრაციის კორექტირების პარამეტრი (CointEq(-1)) მოთავსებულია მისთვის ლოგიკურ შუალედში [-1,0] და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოდელი სტაბილურია. ის მიახლოებით 20.2%-ით კორექტირდება მოკლევადიანი პერიოდიდან გრძელვადიან პერიოდამდე გადასვლისას.

თეორიული ნაწილის განხილვისას აღინიშნა, რომ ხელფასებსა და მიგრაციას შორის არსებობს ორმხრივი კავშირი. ეს ინვესს ერთდროულობის პრობლემას, მის გადასაჭრელად გამოყენებული არის VAR (Vector Autoregression) მოდელი. ეს მოდელი არ საჭიროებს მკაცრი ეგზოგენურობის მოთხოვნას. VAR მოდელის სპეციფიკაციამდე აუცილებელია ოპტიმალური ლაგის სიგრძის განსაზღვრა. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა შვარცის საინფორმაციო კრიტერიუმი, მის საფუძველზე შეირჩა მე-4 ლაგი. მიიღება VAR(4) მოდელი, მისი გამოყენების წინაპირობაა სისტემის სტაბილურობა, რომელიც მოითხოვს, რომ პოლინომის ყველა ფესვი ერთის მოდულზე ნაკლები იყოს. სტაბილურობის პირობის დარღვევა და კოინტეგრაციის არსებობა საფუძველს იძლევა გადავიდეთ VECM (Vector Error Correction Model) მოდელზე.

VECM მოდელის ფარგლებში ცვლადებს შორის დინამიური ურთიერთქმედების შესასწავლად გამოყენებულია იმპულსებზე გამომხაურების ფუნქციები (Impulse-Response Function – IRF). შედეგად მიიღება:

გრაფიკი 1: იმპულსზე გამომხაურების ფუნქცია VECM სისტემაში




აგებულია ავტორების მიერ EViews 13-ში

გრაფიკის X ლერძზე დროითი პერიოდი არის გამოსახული (კვარტალი), ხოლო Y ლერძზე შოკის მაგნიტუდა. მიგრაციაში მომხდარი დადებითი შოკი ხელფასზე პირველ პერიოდში უცვლელ, შემდეგ დადებით, საბოლოოდ კი დროთა განმავლობაში უცვლელ გავლენას ახდენს, რადგან სტაბილიზდება. ხელფასებში წარმოქმნილი დადებითი შოკი მიგრაციაზე თავდაპირველად დადებით გავლენას ახდენს, გავლენა პიკს აღწევს დაახლოებით მე-5 კვარტალში, შემდგომ კი თანდათანობით ნულისკენ მიისწრაფვის.

ვარიაციის დეკომპოზიცია გვიჩვენებს შედეგობრივი ცვლადის დისპერსია მომავალ პერიოდებში რამდენად აიხსნება თავისივე შოკებით და რამდენად აიხსნება სისტემაში შემავალი სხვა ცვლადებში მომხდარი შოკებით. შედეგად მიიღება:

გრაფიკი 2: ვარიაციის დეკომპოზიცია VECM სისტემაში



აგებულია ავტორების მიერ EViews 13-ში

ხელფასის დისპერსია თითქმის მთლიანად განპირობებულია საკუთარი შოკებით, მიგრაციის წილი დროთა განმავლობაში ეტაპობრივად იზრდება. მიგრაციის დისპერსია თავდაპირველად უმეტესად საკუთარი შოკებით არის განპირობებული, თუმცა დროთა განმავლობაში ხელფასის წვლილი თანდათან იზრდება და მნიშვნელოვან წილს იკავებს. ეს შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ ხელფასები გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია მიგრაციული ნაკადებისთვის.

დასკვნა

კვლევა მიზნად ისახავდა მიგრაციისა და ხელფასების ურთიერთკავშირის შესწავლას საქართველოში 2010-2025 წლების კვარტალური მონაცემების საფუძველზე. ამ მიზნის მისაღწევად თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული რამდენიმე ეკონომეტრიკული მეთოდი, რომლებმაც ერთობლიობაში სრულყოფილი სურათი შექმნეს ცვლადებს შორის არსებული დინამიკური ურთიერთობის შესახებ.

OLS მოდელის შედეგებმა აჩვენა, რომ როგორც მიგრაცია, ასევე მთლიანი შიდა პროდუქტი გაანგარიშებული მოსახლეობის 1 სულზე დადებითად და სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მოქმედებს ხელფასებზე. ARDL მოდელმაც დაადასტურა მიგრაციის დადებითი გავლენა ხელფასებზე დინამიკური სპეციფიკაციის პირობებშიც. ECM მოდელმა კი აჩვენა, რომ ეს კავშირი არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაშიც მდგრადია. VECM მოდელის ფარგლებში ჩატარებულმა იმპულსებზე გამომხაურების ფუნქციის ანალიზმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მიგრაციაში წარმოქმნილი შოკი ხელფასებზე დადებით გავლენას ახდენს. აღსანიშნავია, რომ გამოყენებული ყველა მოდელი OLS, ARDL-ECM და VECM ერთსა და იმავე დასკვნამდე მიდის: მიგრაციას საქართველოში ხელფასებზე დადებითი გავლენა აქვს. შედეგების ეს თანმიმდევრულობა სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის პირობებში მიღებული დასკვნის სანდოობას და მდგრადობას ადასტურებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი, ი. (2012). ეკონომეტრიკა. თბილისი: მერიდიანი;
2. ანანიაშვილი, ი. (2018). დროითი მწკრივების ანალიზი. თბილისი: თსუ;
3. ზუბიაშვილი, თ. (2021). მოსახლეობა და მსოფლიო განვითარება(რიდერი). თბილისი: თსუ;
4. ტუხაშვილი, მ., & ქელიძე, ნ. (2021). შრომითი მიგრაცია. თბილისი: თსუ;
5. ტუხაშვილი, მ., ცარციძე, მ., & შელია, მ. (2026). შრომის ეკონომიკა. თბილისი: თსუ;
6. Borjas, G.J. (2003). The Labor Demand Curve is Downward Sloping: Reexamining the Impact of Immigration on the labor market. *The Quarterly Journal of Economics*, 118(4), 1335-1374;
7. Card, D. (1990). The Impact of the Mariel Boatlift on the Miami Labor market. *Industrial and Labor Relations Review*, 43(2), 245-257;
8. Docquier, F., & Rapoport, H. (2012). Globalization, Brain Drain, and Development. *Journal of Economic Literature*, 50(3), 681-730;
9. Elsner, B. (2013). Emigration and Wages: The EU enlargement experiment. *Journal of International Economics*, 91(1), 154-163;
10. Mishra, P. (2007). Emigration and Wages in Source Countries: Evidence from Mexico. *Journal of Development Economics*, 82(1), 180-199.

მცირე მენარმეობის მხარდაჭერი პოლიტიკის ტრანსფორმაციული ეფექტების ემპირიული შეფასება საქართველოში

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2026.01.10>

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება საქართველოში მცირე მენარმეობის მხარდაჭერი ეკონომიკური პოლიტიკის გარდამქმნელი ეფექტის შეფასებას. თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში მცირე მენარმეობა განიხილება არა მხოლოდ დასაქმებისა და ეკონომიკური აქტივობის ზრდის წყაროდ, არამედ როგორც ინოვაციების, სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. მიუხედავად მცირე ბიზნესის რაოდენობრივი ზრდისა საქართველოში, მისი პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის დინამიკა კვლავ შეზღუდულია, რაც მიუთითებს არსებული პოლიტიკის შედეგიანობის სიღრმისეული ანალიზის აუცილებლობაზე.

კვლევა ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების, ინსტიტუციური გარემოსა და სახელმწიფო მხარდაჭერი პროგრამების შეფასებას. გაანალიზებულია მცირე მენარმეობის განვითარების ძირითადი ბარიერები, მათ შორის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ადამიანური კაპიტალის ხარისხი და ტექნოლოგიური ჩამორჩენა. ამავდროულად, გამოვლენილია დადებითი ტენდენციები, რომლებიც უკავშირდება ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასა და სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების გაფართოებას. სტატიაში დასაბუთებულია, რომ საქართველოში მცირე მენარმეობის მხარდაჭერი პოლიტიკა მნიშვნელოვან პროგრესს აჩვენებს, თუმცა მისი გარდამქმნელი



გურამ ფუტკარაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დოქტორანტი
<https://orcid.org/0009-0007-5911-5944>
E-mail: futkaradzeguga1@gmail.com

ეფექტის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია პოლიტიკის უფრო მკაფიო ორიენტაცია პროდუქტიულობის ზრდაზე, ინოვაციების წახალისებაზე და ინსტიტუციური კოორდინაციის გაძლიერებაზე.

საკვანძო სიტყვები: მცირე მენარმეობა; ეკონომიკური პოლიტიკა; პროდუქტიულობა; გარდამქმნელი ეფექტი; ინსტიტუციური სინერგია; ფინანსებზე წვდომა; ინოვაციური ეკოსისტემა.

EMPIRICAL ASSESSMENT OF THE TRANSFORMATIONAL EFFECTS OF SMALL ENTREPRENEURSHIP SUPPORT POLICIES IN GEORGIA

Guram Futkaradze

Doctoral Student at the Faculty of Business, Law,
and Social Sciences Akaki Tsereteli State University
<https://orcid.org/0009-0007-5911-5944>
E-mail: futkaradzeguga1@gmail.com

ABSTRACT

The article examines the transformative effect of economic policy supporting small entrepreneurship in Georgia. In contemporary economic conditions, small entrepreneurship is viewed not only as a source of employment and economic activity, but also as a key driver of innovation, structural transformation, and economic sustainability. Despite the quantitative growth of small businesses in Georgia, their productivity and competitiveness remain constrained, indicating the need for a deeper analysis of policy effectiveness.

The study is based on the evaluation of official statistical data, the institutional environment, and state support programs.

It analyzes the main barriers to the development of small entrepreneurship, including access to financial resources, the quality of human capital, and technological lag. At the same time, positive trends are identified, particularly those related to improvements in the business environment and the expansion of state support mechanisms. The article argues that, although the policy framework supporting small entrepreneurship in Georgia has demonstrated significant progress, the full realization of its transformative potential requires a clearer policy orientation toward productivity growth, the promotion of innovation, and the strengthening of institutional coordination.

Keywords: small entrepreneurship; economic policy; productivity; transformative effect; institutional synergy; access to finance; innovation ecosystem.



შესავალი

მცირე მენარმეობა თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში აღიარებულია როგორც ეკონომიკური დინამიკის, სტრუქტურული ადაპტაციისა და ინოვაციური პროცესების მნიშვნელოვანი მატარებელი. ჯოზეფ შუმპეტერ-ის ინოვაციური მენარმეობის კონცეფციიდან (Schumpeter, 1934) დაწყებული თანამედროვე ემპირიულ კვლევებამდე, მცირე საწარმოები განიხილება როგორც ეკონომიკური ცვლილების, დასაქმების ზრდისა და ტექნოლოგიური დიფუზიის მნიშვნელოვანი აგენტები. OECD-ის (2018) შეფასებით, მათი კონკურენტუნარიანობა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული ინოვაციაზე, ადამიანურ კაპიტალსა და ტექნოლოგიურ მოდერნიზაციაზე, განსაკუთრებით მცირე და ღია ეკონომიკებში, როგორცაა საქართველო. საერთაშორისო ლიტერატურა მკაფიოდ მიუთითებს ფინანსურ ხელმისაწვდომობასა და მცირე მენარმეობის განვითარებას შორის მჭიდრო კავშირზე. World Bank-ის (2020) მიხედვით, ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა რჩება ზრდის ერთ-ერთ მთავარ ბარიერად, ხოლო OECD (2018) ხაზს უსვამს, რომ პოლიტიკის გარდამქმნელი ეფექტი სუსტდება მაშინ, როდესაც მხარდაჭერა ორიენტირებულია მოკლევადიან ლიკვიდობაზე და არა გრძელვადიან პროდუქტიულ ტრანსფორმაციაზე. შესაბამისად, მცირე მენარმეობის რაოდენობრივი ზრდა არ უზრუნველყოფს მის ხარისხობრივ გაძლიერებას.

საქართველოს კონტექსტში ანალიზი ეყრდნობა ვლადიმერ პაპავას-ს (2020) ეკონომიკური პოლიტიკის შეფასების მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო-ს (2023) სტრატეგიულ დოკუმენტებს და Geostat-ის (2024) სტატისტიკურ მონაცემებს. მიუხედავად მცირე მენარმეობის რაოდენობრივი დომინირებისა, მისი გავლენა პროდუქტიულობასა და ეკონომიკურ ეფექტიანობაზე კვლავ შეზღუდულია, რაც უკავშირდება ფინანსურ რესურსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, ადამიანური კაპიტალის დეფიციტს, ტექნოლოგიურ ჩამორჩენასა და ბაზრის მასშტაბის სიმცირეს. მიუხედავად ინსტიტუციური პროგრესისა, პოლიტიკის ეფექტიანობა კვლავ დამოკიდებულია კოორდინაციის ხარისხსა და მიზნობრივ კონფიგურაციაზე. კვლევა ეფუძნება დესკრიფციულ-ანალიტიკურ მიდგომას და აერთიანებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (Geostat) მონაცემების ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებსა და ინსტიტუციური გარემოს შეფასებას. მისი მიზანია მცირე მენარმეობის მხარდაჭერი პოლიტიკის გარდამქმნელი

ეფექტის შეფასება და იმ სტრუქტურული ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც ზღუდავს სექტორის ტრანსფორმაციული პოტენციალის სრულ რეალიზებას. საქართველოში მცირე მენარმეობის მხარდაჭერის მოდელი ინსტიტუციურად ჩამოყალიბებულია, თუმცა მისი გარდამქმნელი ეფექტი კვლავ არათანაბარია: არსებული მექანიზმები შედარებით ეფექტიანად ამცირებს მოკლევადიან ფინანსურ წნეხს, მაგრამ ნაკლებად აისახება პროდუქტიულობის ზრდასა და ტექნოლოგიურ განახლებაზე. აღნიშნული მიუთითებს ინსტიტუციური ფრაგმენტულობის, დამატებითობის პრობლემებისა და უნარებზე დაფუძნებული განვითარების მექანიზმების არასაკმარისი ინტეგრაციის არსებობაზე.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში მცირე მენარმეობის მხარდაჭერი ეკონომიკური პოლიტიკის ევოლუცია მიუთითებს, რომ ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ინსტრუმენტების ფორმალურად დივერსიფიცირებული არქიტექტურა. ფუნქციონირებს საკრედიტო-საგარანტიო სქემები, თანადაფინანსების პროგრამები, საგარანტო მექანიზმები და ბიზნესის განვითარების მხარდაჭერი სერვისები. თუმცა სისტემური ეფექტის შეფასება აჩვენებს, რომ აღნიშნული ინსტრუმენტების კუმულაციური გავლენა მცირე საწარმოთა პროდუქტიულ ტრანსფორმაციაზე კვლავ შეზღუდულია და უფრო მკაფიოდ ვლინდება ოპერაციული ფინანსური წნეხის შემსუბუქების მიმართულებით (World Bank, 2020: 112).

საქართველოში მცირე მენარმეობის რაოდენობრივი მასშტაბი ნათლად დასტურდება ოფიციალური სტატისტიკითაც. მცირე მენარმეობის რაოდენობრივი დომინირება განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მცირე საწარმოები ბიზნეს ერთეულთა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, თუმცა მათი ეკონომიკური წვლილი დამატებული ღირებულების ჭრილში შედარებით უფრო ზომიერია (ცხრილი 1).

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები მკაფიოდ ავლენს მცირე მენარმეობის განვითარების ერთ-ერთ სტრუქტურულ თავისებურებას საქართველოში. კერძოდ, 2019–2024 წლებში მცირე საწარმოთა წილი საწარმოთა საერთო რაოდენობაში სტაბილურად იზრდება 97.5-დან 98.2 პროცენტამდე, რაც ადასტურებს სექტორის მზარდ რაოდენობრივ დომინირებას ბიზნეს დემოგრაფიაში (Geostat, 2024). ამავე პერიოდში მათი

ცხრილი 1. მცირე საწარმოთა წილი ბიზნეს სექტორში

წელი	მცირე საწარმოთა წილი საწარმოთა რაოდენობაში (%)	მცირე საწარმოთა წილი დამატებულ ღირებულებაში (%)
2019	97.5	18.3
2020	97.6	17.8
2021	97.7	18.6
2022	97.8	19.4
2023	97.9	20.1
2024	98.2	21.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ბიზნეს სექტორის სტატისტიკა. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

წილი დამატებულ ღირებულებაში მნიშვნელოვნად უფრო დაბალია და 17.8 - 21.2 პროცენტის დიაპაზონში მოძრაობს. აღნიშნული განსხვავება მიუთითებს არსებით პროდუქტიულობის დისბალანსზე: პრაქტიკულად ყოველი 100 საწარმოდან დაახლოებით 98 მცირე ზომისაა, თუმცა მათზე მოდის ეკონომიკაში შექმნილი დამატებული ღირებულების მხოლოდ დაახლოებით მეხუთედი. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ მცირე მენარმეობის რაოდენობრივი გაფართოება ჯერ კიდევ არასრულად ტრანსფორმირდება ხარისხობრივ ეკონომიკურ ეფექტად და მასშტაბის ეფექტი სექტორში შეზღუდულად რეალიზდება (OECD, 2018: 67).

დინამიკური თვალსაზრისით, აღსანიშნავია პოზიტიური ტენდენციაც მცირე საწარმოთა წილი დამატებულ ღირებულებაში გაიზარდა 18.3 პროცენტიდან 21.2 პროცენტამდე, რაც მიუთითებს ნელ, თუმცა თანმიმდევრულ პოზიტიურ ტრანსფორმაციაზე (Geostat, 2024). მიუხედავად ამისა, ზრდის არსებული ტემპი კვლავ მიუთითებს პროდუქტიულობის კონვერგენციის შედარებით შენელებულ პროცესზე (World Bank, 2020: 95). შესაბამისად, ემპირიული სურათი აძლიერებს იმ არგუმენტს, რომ მცირე მენარმეობის მხარდაჭერი პოლიტიკის შემდეგი ეტაპი საჭიროებს უფრო მკაფიო გადანაცვლებას რაოდენობრივი გაფართოების ხელშეწყობიდან პროდუქტიულობაზე ორიენტირებული ინტერვენციებისკენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიური მოდერნიზაციის დაჩქარებას, ადამიანური კაპიტალის ხარისხობრივ გაძლიერებასა და მცირე საწარმოთა ბაზრებზე მასშტაბირების შესაძლებლობების გაფართოებას, რაც წარმოადგენს წინაპირობას სექტორის ტრანსფორმაციული პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის საქართველოში (OECD, 2018: 82).

აღნიშნული პროდუქტიულობის დისბალანსის განმაპირობებელი ფაქტორების იდენტიფიკაცია განსაკუთრებულ ანალიტიკურ მნიშვნელობას იძენს. ემპირიული დაკვირვება აჩვენებს, რომ მცირე მენარმეობის ტრანსფორმაციული პოტენციალის რეალიზებას საქართველოში რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურული შეზღუდვა აფერხებს, რომელთა შორის

ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა იკავებს. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა კვლავ რჩება მცირე მენარმეობის ერთ-ერთ ყველაზე მკვეთრ შეზღუდვად. დაკრედიტების ბაზრის სტრუქტურა ინარჩუნებს მაღალ მოთხოვნებს უზრუნველყოფაზე, ხოლო საპროცენტო გარემო მცირე საწარმოთა ნაწილისთვის კვლავ შემაფერხებელ ფაქტორად მოქმედებს. შედეგად, მიუხედავად საგარანტიო მექანიზმების არსებობისა, მცირე ბიზნესის მნიშვნელოვანი სეგმენტი ვერ ახერხებს საკრედიტო რესურსის ოპტიმალურ პირობებში მოზიდვას. ეს მიუთითებს, რომ არსებული ფინანსური ინსტრუმენტები სრულად ვერ ანეიტრალებს ინფორმაციული ასიმეტრიისა და რისკის აღქმის პრობლემას, რომელიც მცირე საწარმოთა დაკრედიტებას სისტემურად ახასიათებს (World Bank, 2020: 130).

სექტორის ხარისხობრივი გაძლიერების კიდევ ერთი კრიტიკული წინაპირობა ადამიანური კაპიტალია. საქართველოში მცირე მენარმეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ოპერირებს კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტის პირობებში, რაც განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ტექნოლოგიურად უფრო ინტენსიურ საქმიანობებში. შრომის ბაზარზე უნარების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი ზრდის ბიზნესის ოპერაციულ ხარჯებს და ზღუდავს პროდუქტიულობის ზრდის შესაძლებლობას. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს, რომ მცირე მენარმეობის კონკურენტუნარიანობა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული ცოდნასა და კომპეტენციებზე დაფუძნებულ ფაქტორებზე.

ტექნოლოგიური მოდერნიზაციის ტემპი ასევე არ შეესაბამება სექტორის ტრანსფორმაციულ საჭიროებებს. მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ინსტრუმენტების მნიშვნელობა მცირე ბიზნესში ფართოდ არის აღიარებული, მათი სისტემური ინტეგრაცია კვლავ შეზღუდულია როგორც ფინანსური რესურსების სიმცირით, ისე შესაბამისი მენეჯერული და ტექნოლოგიური უნარების დეფიციტით. შედეგად, მცირე საწარმოთა ნაწილი ინარჩუნებს დაბალი პროდუქტიულობის მქონე ოპერაციულ მოდელს, რაც აფერხებს მასშტაბირებასა და ბაზრის დივერსიფიკაციას.

სახელმწიფო მხარდაჭერის ფუნქციური შეფასება აჩვენებს მნიშვნელოვან სტრუქტურულ ნიუანსს: არსებული პოლიტიკა უფრო ეფექტიანად მოქმედებს მოკლევადიანი ლიკვიდობის სტაბილიზაციაზე, ვიდრე სანარმოთა გრძელვადიან პროდუქტიულ ტრანსფორმაციაზე. პრაქტიკაში მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ნაწილი აღიქმება როგორც ოპერაციული ნიუანსის შემამსუბუქებელი მექანიზმი, რაც მიუთითებს ე.წ. „პალიატიური მხარდაჭერის“ ეფექტზე. ასეთ პირობებში სახელმწიფო ინტერვენცია ამცირებს მიმდინარე ფინანსურ დაძაბულობას, თუმცა შედარებით სუსტად უწყობს ხელს ტექნოლოგიურ განახლებას, ინოვაციურ აქტივობასა და ექსპორტულ გაფართოებას.

პრობლემის ერთ-ერთ წყაროდ გამოიკვეთება ინსტიტუციური ფრაგმენტულობა. მიუხედავად ინსტრუმენტების რაოდენობრივი ზრდისა, მათი ურთიერთკოორდინაცია ყოველთვის არ ქმნის ერთიან ტრანსფორმაციულ ლოგიკას, რაც ამცირებს მხარდაჭერის კუმულაციურ ეფექტს და ზრდის ტრანზაქციულ ხარჯებს. მცირე მენარმეობის ქცევითი პროფილი დამატებით ნათელს ჰფენს სექტორის ადაპტაციურ ლოგიკას. მაღალი ეკონომიკური გაურკვეველობის პირობებში ბიზნესების მნიშვნელოვანი ნაწილი ირჩევს თავდაცვით ფინანსურ სტრატეგიას, სადაც პრიორიტეტულია ლიკვიდობის შენარჩუნება და რისკის მინიმიზაცია. ასეთ გარემოში ფართოდ გამოიყენება ევრისტიკულ გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, რაც მიუთითებს მონაცემებზე დაფუძნებული მართვის ინსტრუმენტების ჯერ კიდევ შეზღუდულ გავრცელებაზე.

ამავე დროს იკვეთება პოზიტიური სტრუქტურული ტრანსფორმაცია. მცირე მენარმეობის კონკურენტული უპირატესობა სულ უფრო მეტად ფორმირდება არამატერიალური და ადაპტაციური კაპიტალის საფუძველზე მენეჯერული მოქნილობა, მომხმარებელთან ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები და ციფრული მზაობა იქცევა ბიზნესის მდგრადობის მნიშვნელოვან წყაროდ. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს სექტორის ქცევითი მოდელის ეტაპობრივ ევოლუციაზე, თუმცა პროცესის მასშტაბირება კვლავ საჭიროებს უფრო თანმიმდევრულ ინსტიტუციურ მხარდაჭერას. საერთო სურათი ცხადყოფს, რომ საქართველოში მცირე მენარმეობის მხარდაჭერი პოლიტიკა ინსტიტუციური ფორმირების სანყის ეტაპს უკვე გასცდა და შექმნილია მრავალფეროვანი მხარდაჭერის გარემო. მიუხედავად ამისა, სექტორის სრულფასოვანი პროდუქტიული ტრანსფორმაცია კვლავ შეზღუდულია ინსტიტუციური კოორდინაციის დეფიციტით, ადამიანური კაპიტალის სისუსტით და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის არასაკმარისი ტემპით, რაც პოლიტიკის ხარისხობრივი რეორიენტაციის აუცილებლობაზე მიუთითებს.

დასკვნა

წარმოდგენილი განხილვა აჩვენებს, რომ საქართველოში მცირე მენარმეობა უკვე ჩამოყალიბებულია როგორც ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი და

მზარდი სეგმენტი, რომელსაც აქვს რეალური პოტენციალი ქვეყნის ეკონომიკური დინამიკის, დასაქმებისა და რეგიონული განვითარების გაძლიერებისათვის. ბოლო წლებში შექმნილი მხარდაჭერი გარემო და ინსტრუმენტების გაფართოება მიუთითებს, რომ მცირე ბიზნესის ხელშეწყობა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მყარდება. მიუხედავად იმისა, რომ სექტორი კვლავ აწყდება გარკვეულ სტრუქტურულ გამოწვევებს, ამკარად იკვეთება პოზიტიური ტრანსფორმაცია: მცირე მენარმეობა თანდათან გადადის რაოდენობრივ დომინირებაზე დაფუძნებული მოდელიდან ხარისხობრივი გაძლიერების მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კონკურენტული უპირატესობის წყაროდ სულ უფრო მეტად ყალიბდება არამატერიალური და ადაპტაციური კაპიტალი მენეჯერული მოქნილობა, მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომები და ციფრული მზაობა. ეს ტენდენცია ქმნის მყარ საფუძველს სექტორის შემდგომი მოდერნიზაციისათვის.

მცირე მენარმეობის განვითარების პერსპექტივა საქართველოში მნიშვნელოვანწილად უკავშირდება იმ შესაძლებლობას, რომ უკვე არსებული მხარდაჭერის მექანიზმები გადაიზარდოს უფრო კოორდინირებულ და შედეგზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ჩარჩოდ. ინსტრუმენტების რაოდენობრივი გაფართოების ეტაპი პრაქტიკულად გავლილია, რაც პოლიტიკის შემდეგ ეტაპზე გადატანის საშუალებას იძლევა აქცენტი შეიძლება უფრო მკაფიოდ გაკეთდეს პროდუქტიულობის ზრდაზე, ტექნოლოგიურ განახლებასა და ბაზრების დივერსიფიკაციაზე. პოზიტიურ საფუძველს ქმნის ისიც, რომ მცირე მენარმეობის სულ უფრო აქტიურად აღიქვამენ ციფრული ტრანსფორმაციის, ცოდნაზე დაფუძნებული მართვისა და ინოვაციური მიდგომების მნიშვნელობას. აღნიშნული ქცევითი ცვლილება ზრდის იმის ალბათობას, რომ მიზნობრივი და თანმიმდევრული პოლიტიკის პირობებში მცირე ბიზნესი შეძლებს უფრო სწრაფად გადავიდეს მდგრადი ზრდის ფაზაში.

შემდგომი პროგრესისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ეკოსისტემური მიდგომის გაძლიერებას, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური, საგადასახადო, ტექნოლოგიური და ადამიანური კაპიტალის განვითარების ინსტრუმენტების უკეთ შეთავსებას. ასეთ პირობებში მცირე მენარმეობა შეძლებს უფრო სრულად გამოიყენოს თავისი ბუნებრივი უპირატესობები მოქნილობა, ბაზარზე სწრაფი ადაპტაციის უნარი და ინოვაციის დიფუზიის პოტენციალი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცირე მენარმეობის სექტორი უკვე იმყოფება განვითარების ისეთ ეტაპზე, სადაც სწორად მიმართული და თანმიმდევრული პოლიტიკა შეძლებს რაოდენობრივი ზრდის გარდაქმნას ხარისხობრივ ეკონომიკურ ეფექტად. არსებული ტენდენციები ქმნის საფუძვლიან მოლოდინს, რომ მცირე ბიზნესი უახლოეს პერიოდში კიდევ უფრო გააძლიერებს თავის როლს ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის მოდერნიზაციასა და მდგრად განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა, ვ. (2020). არატრადიციული ეკონომიკის: მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2023). მცირე და საშუალო მენარეობის განვითარების სტრატეგია 2023;
3. URL:https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/2023/sme_strategy_2023.pdf;
4. ჩიხლაძე, ნ. (2009) მცირე ბიზნესის მხარდაჭერის რეგიონული თავისებურებები საქართველოში. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. №3, URL: https://b-k.ge/templates/Jordan/pdf/2009_3.pdf;
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (Geostat) (2024). ბიზნეს სექტორის სტატისტიკა. ხელმისაწვდომია:
6. URL:<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>;

7. Schumpeter, J. A (1934). The Theory of Economic Development. Harvard University Press;
8. URL: <https://cruel.org/books/hy/shortschumpeter/SchumpeterTheoryofEconDev.pdf>;
9. OECD (2018). Enhancing the Contributions of SMEs in a Global and Digitalised Economy. Paris: OECD Publishing;
10. World Bank (2020). Small and Medium Enterprises (SMEs) Finance: Improving Access to Finance for SMEs. Washington, DC: World Bank;
11. Stiglitz, J. E., & Weiss, A. (1981). Credit Rationing in Markets with Imperfect Information. The American Economic Review, 71(3), 393–410;
12. Kirzner, I. M. (1973). Competition and Entrepreneurship. Chicago: University of Chicago Press;
13. URL:<https://www.sjsu.edu/people/john.estill/courses/158-s15/Israel%20Kirzner%20-%20Competition%20And%20Entrepreneurship.pdf>;
14. Drucker, P. F. (1985). Innovation and Entrepreneurship. New York: Harper & Row.

DIGITAL TRANSFORMATION AND DATA-DRIVEN SOCIAL MEDIA MARKETING IN TOURISM: DRIVING COMPETITIVE AND SUSTAINABLE DEVELOPMENT IN GEORGIA

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2026.01.11>

ABSTRACT

This paper presents a comprehensive analysis of social media marketing strategies, content management practices, and analytical frameworks within the contemporary tourism industry, with a particular emphasis on Georgia as an emerging destination. Adopting a customer-centric approach, the study highlights the critical role of personalization and emotional engagement in influencing consumer decision-making within digital ecosystems. In increasingly competitive and information-saturated environments, the capacity of tourism brands to foster authentic and emotionally resonant relationships with potential travelers constitutes a key source of competitive advantage.

The research examines the effectiveness of integrated communication strategies, culturally embedded content, and social proof mechanisms in enhancing brand trust, credibility, and customer loyalty. Special attention is given to user-generated content and peer influence, which significantly shape destination image and mitigate perceived risk in the decision-making process.

Furthermore, the study underscores the strategic importance of social media analytics in optimizing marketing performance. By integrating quantitative indicators, such as engagement and reach, with qualitative insights derived from sentiment analysis, organizations can achieve a more comprehensive understanding of consumer behavior and improve targeting accuracy.



BEKA SKHIRTLDZE

PhD Candidate in Business Administration,
Sokhumi State University

<https://orcid.org/0009-0009-9000-4235>

E-mail: bekaskhirtladze04@gmail.com

The findings suggest that an integrated, data-driven, and adaptive marketing approach not only enhances organizational performance but also contributes to the sustainable development and global competitiveness of the tourism sector.

Key Words: Social Media Marketing, Tourism Industry, Data-Driven Marketing.

ციფრული ტრანსფორმაცია და მონაცემებზე დაფუძნებული სოციალური მედიის მარკეტინგი ტურიზმში: კონკურენტული და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

ბეკა სხირტლაძე

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორანტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://orcid.org/0009-0009-9000-4235>

ელ. ფოსტა: bekaskhirtladze04@gmail.com

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია სოციალური მედიის მარკეტინგული სტრატეგიების, კონტენტის მართვის პრაქტიკებისა და ანალიტიკური ჩარჩოების კომპლექსური ანალიზი თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საქართველოზე, როგორც განვითარებადი ტურისტული დანიშნულების ქვეყანაზე. მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე, კვლევა ხაზს უსვამს, პერსონალიზაციისა და ემოციური ჩართულობის კრიტიკულ მნიშვნელობას ციფრულ ეკოსისტემებში, მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედების კუთხით. მზარდად კონკურენტულ და ინფორმაციულად გადატვირთულ გარემოში, ტუ-

რისტული ბრენდების უნარი, დაამყარონ ავთენტური და ემოციურად რეზონანსული ურთიერთობები პოტენციურ მოგზაურებთან, წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვან წყაროს.

კვლევა, განიხილავს ინტეგრირებული საკომუნიკაციო სტრატეგიების, კულტურულად ადაპტირებული კონტენტისა და სოციალური მტკიცებულების მექანიზმების ეფექტიანობას ბრენდისადმი ნდობის, სანდოობისა და მომხმარებელთა ლოიალობის გაძლიერების პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებელთა მიერ გენერირებულ კონტენტსა და გავლენას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურისტული დანიშნულების იმიჯის ფორმირებასა და გადამწყვეტილების მიღების პროცესში აღქმული რისკების შემცირებაში. ამასთანავე, კვლევა გამოკვეთს სოციალური მედიის ანალიტიკის სტრატეგიულ მნიშვნელობას მარკეტინგული ეფექტიანობის ოპტიმიზაციის მიმართულებით.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ინტეგრირებული, მონაცემებზე დაფუძნებული და ადაპტირებადი მარკეტინგული მიდგომა, არა მხოლოდ ზრდის ორგანიზაციულ ეფექტიანობას, არამედ ხელს უწყობს ტურიზმის სექტორის მდგრად განვითარებასა და გლობალური კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედიის მარკეტინგი, ტურიზმის ინდუსტრია, მონაცემებზე დაფუძნებული მარკეტინგი.



1. LITERATURE REVIEW

Digital transformation has become a pivotal concept in contemporary tourism research, reflecting the profound integration of digital technologies into business processes, marketing strategies, and consumer engagement mechanisms (Buhalis & Law, 2008). Within the tourism sector, social media platforms, big data analytics, and artificial intelligence have emerged as critical tools that allow organizations to enhance marketing performance, improve service delivery, and foster sustainable competitive advantage. The evolving digital landscape has redefined consumer behavior, emphasizing the role of emotional engagement, personalization, and interactive content in shaping travel related decision-making (Leung et al., 2013).

Social media marketing, in particular, has gained prominence as a core strategy for destination branding and consumer influence. Contemporary travelers increasingly rely on online platforms for information search, destination evaluation, and peer recommendations (Xiang & Gretzel, 2010). Emotional resonance and tailored experiences have been identified as key determinants of user engagement, with studies indicating that authentic, culturally embedded content increases trust, credibility, and long term loyalty (Tussyadiah & Fesenmaier, 2009). The strategic deployment of user-generated content, reviews, testimonials, and influencer collaborations strengthens the perceived authenticity of tourism offerings, thereby reducing consumer uncertainty and enhancing the decision-making process (Munar & Jacobsen, 2014).

Data-driven marketing represents another transformative trend in tourism. Quantitative indicators such as engagement metrics, reach, and click-through rates provide measurable insights into campaign performance, while qualitative analyses, including sentiment evaluation and discourse analysis, offer deeper understanding of consumer attitudes and preferences (Choi et al., 2017). By integrating these approaches, tourism organizations can optimize content, refine targeting strategies, and allocate resources more effectively. Despite these advancements, a research gap

persists in comprehensively integrating digital transformation, social media marketing, and sustainable tourism principles within a unified analytical framework, particularly in emerging destinations such as Georgia.

The case of Georgia exemplifies the convergence of cultural authenticity and digital marketing. Visual storytelling that highlights historical architecture, traditional music, local cuisine, and natural landscapes enhances emotional engagement and promotes meaningful connections with potential visitors. Short-form video content, interactive campaigns, and personalized messaging further reinforce destination appeal while accommodating the unique expectations of diverse market segments. Multiplatform integration ensures that each channel - Instagram, Facebook, YouTube, LinkedIn - is leveraged for its distinctive communication strengths, creating a cohesive and consistent brand narrative. By combining personalization, social proof, interactive content, and authentic storytelling, Georgian tourism brands can strengthen international visibility, improve consumer trust, and contribute to sustainable economic development (Kadagidze & Tchankotadze, 2021; Swadhi et al., 2025).

In sum, the literature indicates that effective social media marketing in tourism is a dynamic, iterative process requiring the integration of technological, psychological, and cultural dimensions. A comprehensive, data-driven, and consumer-centric approach enables tourism organizations to enhance individual performance while contributing to the broader competitiveness and sustainability of the sector.

Building upon the reviewed literature, this study extends existing theoretical perspectives by integrating digital transformation, social media engagement, and sustainability into a unified analytical framework. While prior research has predominantly focused on individual dimensions of tourism marketing, this paper synthesizes these elements and emphasizes their interdependence. This integrated approach provides a more comprehensive understanding of how tourism organizations can simultaneously achieve marketing effectiveness and long-term sustainable development.

2. METHODOLOGY

This study adopts a qualitative research design, emphasizing conceptual analysis and secondary data interpretation, which aligns with the objectives of understanding digital transformation and social media marketing strategies in tourism, with a particular focus on Georgia as an emerging tourism destination. A thematic, case-oriented approach was employed, integrating insights from peer-reviewed journal articles, industry reports, books, and credible online sources. Conceptual analysis facilitated the identification of recurring patterns, principles, and best practices related to social media marketing, consumer engagement, and content management, while thematic coding enabled the systematic examination of qualitative data, highlighting factors such as emotional engagement, personalization, authenticity, interactivity, and social proof.

Secondary data were collected from multiple sources to ensure reliability and validity. These included academic literature from indexed journals focusing on digital marketing, tourism management, and consumer behavior, as well as industry reports and white papers providing empirical insights into social media campaigns, platform analytics, and market trends. Additionally, credible online publications - including government tourism portals, destination marketing organizations, and case studies highlighting emerging tourism markets - were analyzed. Both quantitative metrics, such as engagement rates, reach, and click-through, and qualitative indicators, including sentiment analysis and thematic coding of user feedback and reviews, were examined to provide a holistic understanding of social media marketing performance.

Georgia was selected as a case study due to its rapid tourism growth and strategic emphasis on digital marketing by national tourism organizations. The analysis focused on existing marketing campaigns, social media content strategies, and the deployment of digital tools to enhance destination branding. Particular attention was given to the role of cultural authenticity, narrative storytelling, and interactive engagement in shaping travel intentions. Thematic content analysis was applied to synthesize findings across sources, interpreting quantitative social media metrics to evaluate performance while using qualitative insights from user-generated content and sentiment analysis to understand consumer motivations, preferences, and emotional responses. This integrated methodology enabled the identification of critical success factors and the development of a conceptual framework (The overall process is illustrated in Figure 1) linking digital transformation, marketing effectiveness, and sustainable tourism development.

To ensure methodological rigor, triangulation was employed by cross-referencing multiple data sources and analytical perspectives. Data were validated through consistency checks, credibility assessments, and alignment with existing literature. The iterative nature of analysis ensured that emergent themes were thoroughly examined and contextualized within the broader theoretical frame-

work of digital marketing and tourism studies. Despite its strengths, the study acknowledges limitations inherent in qualitative and secondary data-based research, including data availability constraints, platform-specific bases, and the dynamic nature of digital marketing practices. Nevertheless, by employing a comprehensive multi-source approach, the study provides robust insights into effective social media marketing strategies and their role in fostering competitive and sustainable tourism development.

To enhance the analytical depth of the study, illustrative examples of social media engagement metrics were incorporated, including indicators such as likes, shares, comments, and click-through rates. These metrics provide a practical dimension to the conceptual analysis and support the evaluation of marketing effectiveness in tourism.

Fig. 1. Data-driven social media marketing cycle.



Source: Developed by the author based on literature review and conceptual analysis.

2.1 PROPOSED CONCEPTUAL FRAMEWORK

This study proposes a conceptual framework that explains the relationship between digital transformation, social media marketing strategies, and sustainable tourism development. The framework is based on the integration of technological, psychological, and cultural dimensions that collectively influence consumer behavior and marketing performance.

At the core of the framework is data-driven personalization, which enables tourism organizations to tailor content and communication strategies based on user behavior and preferences. This personalization enhances emotional engagement, which in turn strengthens trust, credibility, and customer loyalty.

Cultural authenticity represents another key component, particularly in the context of Georgia, where tourism experiences are closely linked to heritage, traditions, and local identity. By integrating authentic storytelling with digital marketing tools, tourism organizations can create meaningful and memorable experiences for potential visitors.

Social media analytics serves as the connecting mechanism within the framework, allowing continuous monitoring, evaluation, and optimization of marketing strategies. This iterative process ensures adaptability and responsiveness to changing market conditions and consumer expectations.

Ultimately, the framework demonstrates that the integration of digital technologies, personalized marketing, and cultural authenticity leads to enhanced tourist satisfaction and contributes to sustainable tourism development.

3 PRINCIPLES OF SOCIAL MEDIA MARKETING STRATEGY PLANNING IN THE TOURISM INDUSTRY

The modern tourism industry is increasingly shaped by the rapid evolution of digital technologies and the widespread adoption of social media platforms, which have fundamentally transformed the ways in which consumers search for information, evaluate alternatives, and make travel-related decisions. Social media has evolved from a simple communication channel into a powerful ecosystem that influences perceptions, expectations, and behaviors. In this context, marketing strategy planning requires not only technical expertise but also a comprehensive understanding of the psychological, cultural, and social factors that shape consumer behavior (Živković, Gajić, & Brdar, 2014).

One of the most critical principles in social media marketing strategy planning is the implementation of a customer-oriented approach. Contemporary research suggests that successful digital marketing strategies are no longer based on mass communication but rather on the ability to deliver personalized and relevant experiences. Swadhi, Gayathri, and Dimri (2025) emphasize that understanding individual consumer needs, preferences, and motivations is essential for achieving meaningful engagement. In the tourism context, this implies a shift from standardized promotional messages to tailored storytelling that reflects the unique interests of different market segments.

In Georgia, for instance, tourism marketing strategies increasingly highlight not only the country's natural landscapes but also its rich cultural heritage, traditions, and local experiences. Such an approach enables tourism brands to establish deeper emotional connections with potential visitors. Emotional engagement plays a crucial role in shaping perceptions, as travelers often seek not just destinations but meaningful experiences that resonate with their personal values and aspirations.

Another essential component of strategy planning is personalization through data analysis. Kadagidze and Tchankotadze (2021) argue that effective segmentation and targeting require the systematic analysis of consumer behavioral data. Advanced analytical techniques, including clustering and predictive modeling, allow tourism organizations to identify distinct customer segments and develop customized offerings. This data-driven approach enhances customer satisfaction and fosters long-term loyalty by aligning marketing messages with individual expectations.

Integrated communication represents another funda-

mental principle. According to Živković et al. (2014), successful social media strategies rely on the coordination of multiple communication channels, including visual content, textual narratives, and interactive elements. A coherent and consistent message across platforms ensures that consumers receive a unified brand experience, which strengthens brand identity and recognition. This integration is particularly important in tourism, where visual impressions and emotional responses significantly influence decision-making.

Trust formation is equally critical in the digital environment. Consumers are increasingly skeptical of traditional advertising and tend to rely more on authentic and peer-generated content. Swadhi et al. (2025) highlight that credibility is a key determinant of consumer choice. Therefore, tourism marketing strategies should incorporate user-generated content, reviews, testimonials, and influencer collaborations. In the Georgian context, leveraging local voices and authentic experiences enhances credibility and creates a sense of trustworthiness.

Interactivity further strengthens engagement and participation. Modern consumers expect to be active contributors rather than passive recipients. Interactive campaigns, including polls, discussions, and user-generated content initiatives, create a sense of involvement and community. This participatory approach not only increases engagement but also enhances emotional attachment to the brand.

Consistency in branding is another crucial factor. A well-defined visual and communicative identity ensures that all marketing efforts reinforce a coherent image. This includes consistent use of colors, tone, messaging, and storytelling elements. In tourism marketing, where emotional perception plays a dominant role, consistency contributes to the formation of a recognizable and trustworthy brand image.

Finally, adaptability and continuous monitoring are indispensable. The tourism industry is highly sensitive to external factors, including seasonal changes, economic conditions, and global crises. Therefore, social media strategies must be flexible and responsive. Continuous data analysis enables organizations to identify trends, evaluate performance, and adjust their strategies accordingly.

3.1 EFFECTIVE CONTENT STRATEGIES FOR TOURISM BRANDS IN SOCIAL MEDIA

